„-დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№4 (220)
აპრილი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## გილოცავთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს!

„არის ისტორიული მოვლენები, ისტორიული თარიღები, რომელნიც აღემატებიან თავის მნიშვნელობას, აღემატებიან, როგორც ისტორიულ მოვლენას. აი, ასეთი ზეთარიღი, ზეისტორიული თარიღი არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

საქართველოს ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია მე-5 საუკუნეში. დიდი ღვაწლი, დიდი შრომა გასწია მეფე ვახტანგ გორგასალმა, როცა იერუსალიმის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დადგენილი იყო პირველი კათალიკოსი პეტრე. რა იქნებოდა საქართველო, რომ არ გვქონოდა ჩვენ ავტოკეფალია - ძალიან ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ წყალობამ ღვთისა და მადლმა ღვთისა ინება და საქართველოს მიეცა ავტოკეფალია“.

*ილია მეორე*





## სახარება მარკოზისა

წინასწარმეტყველთა ადრევე თქმისამებრ, უდაბნოში გამოჩნდა კაცი, – სახელად იოანე, რომელსაც ემოსა აქლემის ბეწვი, წელზე ტყავის სარტყელი ერტყა და ველური თაფლითა და კალიებით იკვებებოდა.

მთელი იუდეის ქვეყანა, მდინარე იორდანეში ნათელს იღებდა მისგან.

იოანე ხალხს ამცნობდა, რომ მის შემდგომ მომსვლელი მასზე უძლიერესია და ის სულიწმიდით სცემს ნათელს მათ.

და აი, გამობრწყინდა გალილეის ნაზარეთელი იესო „და ნათელ იღო იორდანეში იოანესგან“.

წყლიდან ამოყვანისთანავე გაისმა ზეცაში ხმა: „შენა ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელშიაც კეთილად გამოვჩნდი მე“. სულმა უდაბნოში გაიყვანა იესო, სადაც ორმოცი დღე დაჰყო მხეცებში და გამოიცდებოდა სატანისაგან, ამასთან „ანგელოზები ემსახურებოდნენ მას“.

შეიპყრეს იოანე, ხოლო იესო გალილეაში დაბრუნდა და „ქადაგებდა სახარებას ღმერთის სასუფევლისას“ და ხალხს მოუწოდებდა მოენანიებიათ ცოდვები, ერწმუნათ სახარება, რადგან მოახლოვებული იყო უფლის სასუფეველი. იესომ მალე გალილეის ზღვის პირას მებადური ძმები, – სიმონი და ანდრია იხილა, დაპირდა გაყოლოდნენ მას და კაცთა მებადურებად აქცევდა.

ძმები უსიტყვოდ გაჰყვნენ იესოს.

შემდეგ ძმები იაკობ და იოანე ზებედესის ძეებიც იესოს მოწაფეები გახდნენ.

იესო მოწაფეებთან ერთად, შაბათს კაპერნაუმში სინაგოგაში შევიდა და ხალხი დამოძღვრა; ყველას უკვირდა მისი ძალმოსილება. ზუსტად მაშინ, სინაგოგაში იყო „უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი“, რომელმაც მაცხოვრის დანახვისას შეჰყვირა, ხოლო იესომ თავის მხრივ უწმინდური სულისაგან გაანთავისუფლა ის.

გაოცდა ამის შემყურე ხალხი; ის ამბავი კი სასწრაფოდ მოედო მთელ ქვეყანას.

სინაგოგიდან გამოსული ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად, სიმონისა და ანდრიას სახლში მიბრძანდა და ცხელებით შეპყრობილი სიმონის სიდედრი განკურნა.

მანვე საღამომდე უამრავი ავადმყოფი მოარჩინა იმ ქალაქში, ხოლო გამთენიისას უდაბურ ადგილას მივიდა სალოცავად, სადაც მოწაფეებიც გამოეცხადნენ.

ამის შემდეგ, მთელ გალილეაში ქადაგებდა იესო და ეშმაკისგან ათავისუფლებდა ხალხს.

კაპერნაუმში ერთი კეთროვანი განკურნა; თან უთხრა მისულიყო მღვდელთან და შეეწირა განწმენდისათვის. მან კი არ ისმინა, არ შესწირა მღვდელთან და მთელ ქალაქს ამცნო ის ამბავი, ამიტომ იესო იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი, რადგან უამრავი ხალხი მიეძალა.

ამის შემდეგ იესოს სარეცელით მიუყვანეს დავრდომილი ავადმყოფი. მათივე რწმენის მხილველმა იესომ წარმოსთქვა:

„შვილო, მოგეტევოს შენი ცოდვანი“.

დავრდომილი მაშინვე წამოდგა.

არ მოეწონათ მწიგნობრებს ეს და იფიქრეს: „ამას რას ამბობს? ღმერთსა ჰგმობს! ვის შეუძლია ცოდვათა მიტევება, გარდა ერთის – ღმრთისა?“

მიხვდა მათ ნაფიქრს მაცხოვარი და უთხრა, დღეიდან სცოდნოდათ: „რომ ძეს კაცისას ძალი შესწევს ამ ქვეყნად ცოდვათა მიტევებისა“.

უკვირდათ იესოს სასწაულები და აღიარებდნენ: „არასდროს ამგვარი რამ არ გვინახავსო“.

მალე, ლევი ალფესიც შეემატა იესოს მოწაფეთა რიცხვს. უამრავ ადამიანს ასწავლიდა მაცხოვარი, მათ შორის მწიგნობრებსა და ფარისევლებსაც, მათთან ერთად ჭამდა კიდეც, ამიტომ სხვა სარწმუნოების ხალხი ეკითხებოდა, რას ნიშნავდა მისი საქციელი; რაზედაც იესო პასუხობდა: „კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ; მართალთა სახმობლად კი არ მოვედი, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

იმაშიც სდებდნენ ბრალს, რომ მისი მოწაფეები არ მარხულობდნენ, ხოლო ფარისევლები – კი; ამაზე იესომ ბრძანა: „განა შეიძლება მარხულობდნენ მექორწილენი, ვიდრე მათთანაა სიძე? სანამდის სიძე გვერდითა ჰყავთ, ვერ იმარხულებენ“.

ფარისევლებმა იესოს ბრალდებად წაუყენეს, რომ მისმა მოწაფეებმა შაბათს ყანაში თავთავის კრეფა დაიწყეს, ხოლო შაბათი ისრაელიანებისათვის უქმ დღედ ითვლებოდა, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს: „შაბათი კაცისათვის შეიქმნა და არა კაცი შაბათისათვის. ასე რომ, ძე კაცისა შაბათის უფალიც არის“ და სწორედ შაბათს, სინაგოგაში მყოფი ხელგამხმარი კაცი განკურნა მაცხოვარმა.

მაშინ, ფარისევლებმა და ჰეროდელებმა გასწირეს იესო და მოითათბირეს თუ როგორ მოეკლათ.

იესო კი კვლავინდებურად უამრავს ჰკურნავდა, მასთან საშველად მოდიოდნენ ქვეყნის ყველა მხრიდან და ველარც აუდიოდა მათ, ამიტომ „აირჩია თორმეტი, რათა ყოფილიყვნენ მასთან, და საქადაგებლად წარეგზავნა ისინი“, – მიჰმადლა მათ სნეულთა განკურნების და ეშმაკის განდევნის ძალა. სწორედ მაშინ უწოდა იესომ სიმონს სახელად პეტრე, ხოლო იაკობსა და იოანეს, – ბოანერგე, „რაც ნიშნავს: ქუხილის ძენი“.

იესოს რჩეული თორმეტი მოწაფე გახლდათ: პეტრე, იაკობი, იოანე, ანდრია, ფილიპე, ბართლომე, მათე, თომა, იაკობ ალფესი, თადეოსი, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი; სწორედ ამ უკანასკნელმა შემდგომ უღალატა იესოს.

ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იესოზე ხმა გაავრცელეს

„უწმინდური სული ჰყავსო“, რაზედაც მაცხოვარმა წარმოსთქვა:

„ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევება კაცთა, რამდენსაც უნდა ჰგმობდნენ. მაგრამ ვინც იტყვის სულის წმიდის გმობას, არა აქვს მიტევება უკუნისამდე, არამედ ღირსია საუკუნო სასჯელისა“.

ერთხელ, იესოს მოახსენეს, შენი დედა და ძმები გეახლნენო, მან „თვალი მოავლო ირგვლივ მსხდომთ და თქვა: აი, დედა ჩემი და ძმები ჩემი. რადგან ვინც აღასრულებს ღმერთის ნებას, იგია ჩემი ძმაც, ჩემი დაცა და დედაც“.

დიდძალი ხალხი შეგროვდა ზღვის პირას. იესო იგავებით ელაპარაკებოდა მათ.

როცა ხალხი დაიშალა იესომ უახლოეს მოწაფეებს მიუგო, რომ მათ მიეცათ უფლის სასუფევლის საიდუმლოთა ცოდნის საშუალება, ხოლო უცხოთა მიმართ ყოველთვის იგავებით მოუწევდა ქადაგება.

ნავის კიჩოზე მშვიდად მყოფ იესოს მოწაფეებმა ჰკითხეს: როგორ ინარჩუნებდა სიმშვიდეს, ზღვაზე ხომ საშინელი ქარი ბობოქრობდა და დაღუპვა ემუქრებოდათ. იესომ მშვიდად მიმართა ქარს და ისიც დაცხრა, მოწაფეებს კი უთხრა: „რატომ ხართ ასე მოშიშარნი? რატომ არ გაქვთ რწმენა?“

გაოცებული მოწაფეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ იყო იგი, ზღვაც და ქარიც რომ ასე დაემორჩილა?

მშვიდობით გავიდნენ ნაპირზე, სადაც შეეგებათ უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი, რომელსაც ჯაჭვითაც კი ვერ აკავებდნენ, მთელი დღე დაძრწოდა, ქვებს ახეთქებდა თავს და ღრიალებდა; და აი, ასეთმა ადამიანმა, რომელსაც სახელად ლეგიონი ერქვა, თაყვანი სცა იესოს, რომელმაც მაშინვე განკურნა იგი.

სინაგოგის წინამძღვარი, სახელად იავიროსი მიეახლა იესოს და სთხოვა სახლში წაჰყოლოდა სიკვდილის პირას მისული მისი თორმეტი წლის გოგონას გადასარჩენად.

იესო უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას.

გზაში მიმავალთ უამრავი ხალხი შემოეხვია. მათგან ერთმა,

– მრავალი ხნის ავადმყოფმა ქალმა მოახერხა იესოს სამოსზე ხელით შეხება და მაშინვე განიკურნა.

სინაგოგის წინამძღვარს აცნობეს, შენი გოგონა დაიღუპაო. მაცხოვარმა დააიმედა ის და უთხრა: „ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს“.

მივიდნენ სახლში და მართლაც, გოგონა გარდაცვლილი დახვდათ.

მაცხოვარი შეეხო ბავშვს და

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

# სახარება მარკოზისა



◀ დასაწყისი გვ. 1

„გოგონაც მაშინვე აღდგა და სიარულს მოჰყვა“. განცვიფრდა ხალხი; გააფრთხილა ისინი იესომ ის ამბავი არ გაეხმაურებინათ და საჭმელი მიეცათ ბავშვისათვის, საკუთარ მამულში დაბრუნებული იესო, შაბათობით სინაგოგაში ასწავლიდა ხალხს; ხელის შეხებით რამდენიმე ადამიანი განკურნა, არ მოუხდენია სასწაულები და ძალიან უკვირდა ხალხის ურწმუნოება. მალე კი, თავისი თორმეტი მოწაფე წყვილ-წყვილად დაგზავნა სოფლებში უწმინდურობის აღმოსაფხვრელად.

ჰეროდემ იესო იოანედ მიიჩნია და ჩათვალა, რომ მკვდრეთით აღდგა იგი, რადგან საკუთარი ბრძანებით მას ხომ თავი მოჰკვეთეს, ჰეროდიადას, მისი ძმის ფილიპეს ცოლის სურვილით, რომელიც ახლა უკვე მისი ცოლი იყო. იოანე გულახდილად მიუთითებდა ჰეროდეს ცოდვაზე, რადგან ძმის ცოლი შეირთო ცოლად, მაგრამ ეშინოდა მისი, იცოდა როგორი წმინდა კაციც იყო და ვერ სჯიდა.

ერთხელ ნადიმზე, იმდენად მომხიბვლელად იცეკვა ჰეროდიადას ასულმა, რომ მეფემ წინადადება მისცა ეთხოვნა რაც სურდა.

ქალწული დედას შეეკითხა, რა ეთხოვნა მეფისათვის.

დადგა ჰეროდიადასთვის ნანატრი მომენტი, მას შეეძლო შური ეძია იოანეზე და დაუფიქრებლად დაავალა ქალიშვილს... მეფისათვის იოანეს მოკვეთილი თავი მოეთხოვა.

შეწუხდა ამაზე მეფე, თუმცა რაღას იზამდა, სიტყვის გატეხვას ყველაფერი ერჩივნა და გაგზავნა ხალხი ბრძანების შესასრულებლად.

მიადგნენ იოანეს საპყრობილეში და თავი მოჰკვეთეს, შემდეგ კი ლანგარზე დადებული მიართვეს ქალწულს.

ასეთი ბედი ეწია იოანე ნათლისმცემელს, რომლის მოკვეთილი ტანი მისმა მოწაფეებმა სამარხში მოათავსეს.

დაბრუნდნენ იესოს მიერ სინანულისა და სწავლების საქადაგებლად გასული მოციქულები და მოძღვარს უამბეს „რაც ექმნათ და რაც ესწავლებინათ“.

ხუთი ათასამდე კაცმა მოიყარა თავი იესოსთან. გვიანი იყო. საჭმელად ხუთი პური და ორი თევზი ჰქონდათ.

დაარიგებინა იესომ მოციქულებს საკვები და მოხდა სასწაული: მცირედით დაკმაყოფილდა იმდენი ხალხი; უფრო მეტიც, პურისა და თევზის ნარჩენებით, კალათებიც კი გაავსეს და ისე გაისტუმრეს ისინი.

მაცხოვარმა ზღვის გაღმა, ბეთსაიდაში გაგზავნა მოციქულები, თვითონ კი მთაზე ავიდა სალოცავად.

ერთხელ, ნავში მსხდომ მოწაფეებს ძლიერი ქარი დაატყდათ თავს.

დასაღუპად განწირულებმა ზღვაზე ფეხით მათკენ მომავალი იესო დაინახეს.

თავიდან ეგონათ მოჩვენება, შემდეგ შეეხმიანა მათ იესო და მიმართა: „მხნედ იყავით, მე ვარ, ნუ გეშინიათ“ და გაოგნებულებს ნავში ჩაუჯდა. ქარი ჩადგა, დამშვიდდა ზღვა „და მიადგნენ გენესარეთის მხარეს“; იცნეს იქაურებმა იესო. სარეცლებით მიჰყავდათ მასთან სნეულნი და სთხოვდნენ, ნება მიეცა შეხებოდნენ მისი სამოსის კალთას „და ყველა, ვინც მას ეხებოდა იკურნებოდა“. ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იესოს ჰკითხეს, რატომ ჭამდნენ მისი მოწაფეები დაუბანელი ხელით, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს: „ნუთუ არ გესმით, რომ არაფერს, გარედან შემავალს კაცში, არ შეუძლია მისი შებილწვა?“ და რომ, მხოლოდ „კაცისაგან გამომავალი შებილწავს კაცს. ვინაიდან შიგნიდან, კაცის გულიდან გამოვლენ: ბოროტი ზრახვანი, მრუშობანი, პარვანი, კაცის კვლანი, სიძვანი, ანგარებანი, უკეთურებანი, მზაკვრობანი, გარყვნილება,

თვალის სიავე, გმობა, ქედმაღლობა, უგუნურება“.

იესო ყველა განკურნებულს სთხოვდა არ გაეხმაურებინა მისი ნამოქმედარი, „მაგრამ რაც უფრო მეტს უბრძანებდა, მით უფრო მეტად ამხელდნენ“ მის კეთილ საქმეებს.

რამდენიმე დღის შემდეგ იესოსთან ქადაგებაზე ოთხიათასამდე კაცმა მოიყარა თავი. ასწავლიდა მათ იესო და როდესაც სამი დღე გავიდა, მოწაფეებს ხალხის დაპურება დაავალა,

ვინაიდან მშივრები იყვნენ. მხოლოდ შვიდი პური და ცოტაოდენი თევზი აღმოაჩნდათ. იესომ დატეხა თითოეული მათგანი, დაურიგა მოწაფეებს, რომლებმაც თავის მხრივ, შეკრებილთ დაურიგეს. მოხდა სასწაული, ყველას ეყო საჭმელი, ხოლო ნარჩენებით შვიდი კალათაც კი გაავსეს. ამის შემდეგ, ჩაჯდა იესო მოწაფეებთან ერთად ნავში „და მივიდა დალმანუთას მხარეს“, სადაც ფარისევლებმა რაიმე სასწაულის მოხდენა მოსთხოვეს; მან კი უპასუხა, რომ მათ მოდგმას არ მიეცემოდა სასწაული და იქაურობას გაშორდა.

იქედან ბეთსაიდაში ჩავიდნენ, სადაც მრავალი განკურნა და გადავიდნენ ფილიპეს კესარიას მხარეში. სწორედ მაშინ ჰკითხა მოწაფეებს: რას ამბობდა მასზე ხალხი, მიუგეს რომ, ზოგს იოანე ნათლისმცემელი ჰგონია, ზოგს კი წინასწარმეტყველი.

მაშინ იესომ ჰკითხა მათ, თვითონ რას ფიქრობდნენ მასზე და „მიუგო პეტრემ და უთხრა მას, შენა ხარ ქრისტე“ და „მაშინ უბრძანა მათ არავისთან გაეთქვათ იგი“.

იესომ გაუმხილა მოწაფეებს, რომ დევნას დაუწყებდნენ მას და მრავალი დამცირება, ხოლო ბოლოს ტანჯვით სიკვდილი ელოდა, თუმცა აღსდგებოდა მესამე დღეს; რაზედაც პეტრემ უსაყვედურა კიდეც იესოს, რაზედაც სამაგიეროდ გაკიცხვა ერგო წილად: – შენ ღმერთისას კი არა, კაცისას ფიქრობო, მიუგო იესომ და მოწაფეებთან ერთად მიმართა უამრავ ხალხს:

– „ვისაც სურს მე მომსდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე. რადგან ვისაც სურს სულის ხსნა დაჰკარგავს მას, და ვინც ჩემი და სახარების გულისათვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას. რას არგებს კაცს, თუ მოიგებს მთელ ქვეყანას და სულს კი წააგებს?“

ექვსი დღის შემდეგ იესომ მოწაფეთაგან გამოარჩია სამი: პეტრე, იაკობი და იოანე. აიყვანა ისინი მთაზე და მათ თვალწინ ფერი იცვალა; მოწაფეებმა იხილეს ელიასა და მოსესთან მოსაუბრე იესო, რომლის სამოსი თოვლივით სპეტაკი და მოელვარე გახდა.

გაოცებულმა პეტრემ უთხრა იესოს, იქვე დაედგათ სამი კარავი, „ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას“; იმ დროს, ზეციდან მოესმათ ხმა: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი; უსმინეთ მას“.

უკან დაბრუნებისას იესომ მოწაფეებს უთხრა არ გაემხილათ რაც იხილეს „ვიდრე ძე კაცისა არ აღდგებოდა მკვდრეთით“.

მართალია მათ დაიმახსოვრეს ნათქვამი, მაგრამ ვერ გაიგეს რას ნიშნავდა მკვდრეთით აღდგომა.

მთიდან დაბრუნებულებმა დაინახეს იესოს მოწაფეები ფარისევლებთან მოკამათე. ერთმა მათგანმა მუნჯი შვილის განკურნება სთხოვა იესოს, რადგან ის ვერ შესძლეს მისმა მოწაფეებმა. იესომ მაშინვე შეუსრულა იმ კაცს თხოვნა, ხოლო თავის მოწაფეებს ასე მიმართა: „ო, ურწმუნო მოდგმავ, როდემდის ვიქნები თქვენთან? მოწაფეებმა მორიდებით ჰკითხეს მოძღვარს, რატომ თვითონ ვერ შესძლეს ავადმყოფის განკურნება? იესომ მიუგო მათ:

„ამ მოდგმას ვერაფრით ვერ განდევნი, თუ არა ლოცვით და მახვილით“.

ერთხელ, იესოს მოწაფეებს დავა შეექნათ ერთმანეთში იმაზე, „თუ ვინ არის უფრო დიდი“; იესომ თორმეტივეს მიუგო, რომ

„ვისაც სურს პირველი იყოს, ყველაზე უკანასკნელი იქნება და ყველას მსახური“.

შემდეგ მოიყვანა პატარა ბავშვი და ბრძანა, ვინც შეიწყნარებდა თუნდაც ერთ ისეთ ბავშვს მისი სახელით, მას შეიწყნარებდა, ხოლო მის შემწყნარებელს კი, მისი მომავლინებელი შეიწყნარებდა. ეს კაპერნაუმში ყოფნისას მოხდა.

ფარისევლები კვლავინდებურად უამრავ კითხვას აძლევდნენ საცდუნებლად იესოს; აი ერთ-ერთი: „აქვს თუ არა ქმარს ცოლის გაშვების ნება“.

იესომ კითხვითვე მიმართა, რა ემცნოთ მოსესგან? ფარისეველმა უპასუხა, რომ „ჩვენ დაგვრთო გაყრის წერილის დაწერისა და გაშვების ნება“.

თქვენი გულქვაობის გამო მოგცათ მოსემ ეს მცნებაო, ბრძანა იესომ და დაუმატა: „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“, რადგან ცოლ-ქმარი ორნი კი აღარ არიან ქორწინების შემდეგ, „არამედ ერთ ხორც“.

მშობლებს ბავშვები მიჰყავდათ იესოსთან ხელის დასადებად და მადლის მისაღებად. ერთხელ, იმ მიზნით მასთან მიმავალთ, გზაზე მოწაფეები გადაეღობნენ; განრისხდა ამაზე იესო და უბრძანა მათ: მიეშვათ ბავშვები მასთან, რადგან სწორედ მათნაირებისათვისაა ღმრთის სასუფეველი.

მდიდარი კაცი მიეახლა იესოს და მის წინაშე მუხლმოყრილმა ჰკითხა, როგორ დაემკვიდრებინა საუკუნო სიცოცხლე. იესომ ჰკითხა, იცავდა თუ არა მცნებებს: არ იპარო, არა კაც-ჰკლა, არა ცილი სწამო და ასე შემდეგ, რაზედაც კაცმა სიხარულით უპასუხა, რომ სიყრმიდან იცავს მათ. მაშინ იესომ მიუგო, გაეყო მთელი სიმდიდრე და დაერიგებინა ღატაკთათვის, აეღო ჯვარი და გაჰყოლოდა მას. მაშინვე გუნება წაუხდა იმ კაცს და უხმოდ გაშორდა იესოს, რომელმაც „თავის მოწაფეებს უთხრა: რარიგ ძნელია მდიდრისათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა“.

კი მაგრამ, ვინღა ცხონდება? უკვირდათ მოწაფეებს. იესომ კვლავ შეახსენა მათ, რომ რაც ადამიანისათვის შეუძლებელია, ყველაფერი შესაძლებელია ღმრთისათვის და ჭეშმარიტად, ყველა მისი მიმდევარი, რომელიც გაჰყვება მას, მიატოვებს ყველაფერს რაც გააჩნია, ასმაგად ახლავე მიეზღვება, „ხოლო მომავალ საუკუნეში – საუკუნო სიცოცხლე“ არის მისი ხვედრი.

იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე, იესომ კიდევ ერთხელ შეახსენა მოწაფეებს თავისი ხვედრი; მაშინვე, იაკობმა და იოანემ ერთი თხოვნის შესრულება სთხოვეს მოძღვარს. ჰკითხა იესომ რას ითხოვდნენ. მათ კი სთხოვეს ნება მის დიდებაში, ერთი მარჯვნივ, მეორე კი მარცხნივ დამჯდარიყო. იესომ უპასუხა: იყო თუ არა შესაძლებელი სასმისის შესმა, რომლითაც თვითონ სვამდა და ნათლობა, რითაც თვითონ ინათლებოდა? მიუგეს რომ, შეიძლებოდა. და მაშინ, იესომ უპასუხა: „მაგრამ მე როდი მომეცა, თუ ვინ დაჯდება ჩემს მარჯვნივ და ვინ – მარცხნივ, არამედ ვისთვისაც გამზადებულია ეს“.

ამის გამგონე ათი მოწაფე განურისხდა იაკობსა და იოანეს. იესომ კი გააგრძელა მათთან საუბარი და სთქვა, „რომ ხალხთა მთავრებად მიჩნეულნი მბრძანებლობდნენ მათზე და დიდებულნი ძალადობით განაგებენ მათ“, ხოლო თქვენს შორის, ვინც უფროსობას მოისურვებს, სწორედ ის იყოს თქვენი მსახური „და ვინც თქვენში მოისურვებს პირველობას, ის იქნება ყველას მონა“; და სწორედ ამიტომ, მოგევლინეთ მე, – ძე კაცისა, რომ გემსახუროთ და მივსცე საკუთარი „სული მრავალთა გამოსახსნელად“.

იერიხონიდან გამოსვლისას იესომ ბრმა ბარტიმეოსს მხედველობა დაუბრუნა, რითაც შეუსრულა მას გულწრფელი თხოვნა და დიდად გაახარა „და იესომ უთხრა მას: წადი, შენმა რწმენამ გადაგარჩინა, და მაშინვე აეხილა თვალი და გაჰყვა იესოს გზად“.

იესო და მისი მოწაფეები იერუსალიმს მიუახლოვდნენ. მაცხxოვარმა გაგზავნა ორი მოწაფე და დაავალა მიეყვანათ მისთვის ჩოჩორი, „რომელზედაც ჯერ კაცი არ მჯდარა“; ხოლო თუ ვინმე შეეწინააღმდეგებოდათ, ეთქვათ რომ, უფლისათვის სჭირდებოდათ.

მოწაფეებმა თხოვნა შეასრულეს; ჩოჩორს ზურგზე თავიანთი სამოსელი დაუფინეს და ზედ იესო შესვეს. ჩოჩორზე შემჯდარ იესოს, გზაზე ბევრი საკუთარ სამოსელს უფენდა, ზოგი კი – ხის ტოტებს და ღაღადებდნენ: „კურთხეულია მომავალი უფლის სახელით. კურთხეულია სასუფეველი მამის ჩვენის დავითისა, მომავალი უფლის სახელით! ოსანა მაღალთა შინა!“

იერუსალიმის წმიდა ტაძარში შესვლისას, იესომ ვერ მოითმინა უმსგავსოება, რომელიც იქ იხილა, – უფლის სახლში ვაჭრობა გაეჩაღებინათ, ყიდულობდნენ და ყიდდნენ სხვადასხვა ნივთებს. უფალმა გამორეკა ისინი იქედან და ბრძანა: „განა დაწერილი არ არის, რომ ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება ყველა ხალხისთვის? თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“.

სწორედ მაშინ, საბოლოოდ გადაწყვიტეს მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა, მოეძებნათ რაიმე საბაბი და დაესაჯათ იესო, რადგან ხალხი მისდევდა მის მოძღვრებას. იესო მოწაფეებს შთააგონებდა ლოცვად დგომისას, სხვათათვის ცოდვათა მიტევებას, რათა თვითონაც მიტევებოდათ შეცოდებანი და ბრძანა: „თუ არ მიუტევებთ, არც მამა თქვენი ზეციერი მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს“.

მოძულენი ჩასაფრებულნი იყვნენ იესოზე, ფეხდაფეხ დასდევდნენ მას და ეძებდნენ საბაბს, რათა სიკვდილით დაესაჯათ. მიზნის განსახორციელებლად ისინი სხვადასხვა კითხვით მიმართავდნენ მაცხოვარს, რომელიც იგავებით პასუხობდა მათ და ამხილებდა ავკაცობასა და უმეცრებაში. აი, ერთი იგავთაგანი:

კაცმა ვენახი გააშენა, გაამზადა საწნახელი და ყველაფერი მევენახეებს მისცა იჯარით, თვითონ კი იქაურობას გაეცალა. დადგა მოსავლის ჩაბარების დრო და ამიტომ მონა გაუგზავნა მევენახეებს, რომლებმაც სცემეს და ხელცარიელი გაუშვეს ის. მაშინ, მეორე მონაც გააგზავნა იმ კაცმა და მასაც იგივე ბედი ეწია. მესამედაც გაგზავნა ვენახის პატრონმა მეიჯარეებთან კაცი, რომელსაც მთლად საშინლად მოექცნენ, – მოკლეს და ვენახის გარეთ დააგდეს.

იძულებული გახდა ვენახის პატრონი დაეხოცა მეიჯარენი, ხოლო ვენახი სხვებისათვის მიეცა და იგავი ასეთი შეკითხვით დაასრულა: „ნუთუ არ ამოგიკითხავთ წერილში: ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდვა? უფლის მიერ იქმნა ეს, და საოცრებად უჩანს ჩვენს თვალს“.

მიხვდნენ მღვდელმთავრები და მწიგნობრები, რომ იგავი მათზე იყო წარმოთქმული და სურდათ იესოს შეპყრობა, მაგრამ ხალხის შეეშინდათ.

სინაგოგაში ყოფნისას იესომ შეამჩნია, რომ მდიდრები უხვად ყრიდნენ საგანძურში ფულს, ხოლო ერთმა საწყალმა ქვრივმა ძალიან მცირედი გაიღო; მაშინ იესომ მიუგო მოწაფეებს, რომ ყველაზე მეტი იმ ღარიბმა ქალმა გაიღო, „ვინაიდან ყველა აგდებდა იმას, რაც ზედმეტი ჰქონდა“, მან კი მთელი თავისი საბადებელი გაიმეტა.

ზეთისხილის მთაზე, ტაძრის წინ მჯდომარე იესომ თავის მოწაფეებს: პეტრეს, იაკობს, იოანესა და ანდრიას ამცნო ფხიზლად ყოფილიყვნენ და ცთუნებას არ აჰყოლოდნენ, რადგან მოახლოვდა დრო, როცა ყველაფერი დაინგრეოდა, ხოლო ქვეყანას მისი სახელით მრავალი თვითმარქვია მოევლინებოდა, ხალხი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აღდგებოდა, იქნებოდა მრავალი ომი, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავდა დასასრულს. იესო მოწაფეებს მათ მომავალ მძიმე ხვედრზეც წინასწარ ეუბნებოდა: „მათრახით გცემენ თქვენ, და მიგიყვანენ ჩემს გამო მთავრებისა და მეფეების წინაშე, რათა უმოწმოდ მათ. და პირველად ყველა ხალხს უნდა ექადაგოს სახარება“ და აფრთხილებდა, რომ სამართალში მიცემისას, ადრევე არ ეზრუნათ პასუხისთვის, „არამედ რაც მოგეცემათ იმჟამად, ის ილაპარაკეთ, რადგან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ სული წმინდა“. გავა ხანი და ასეთი გაჭირვების შემდეგ, მზე და მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს, მიმართა იესომ მოწაფეებს „და მაშინ იხილავენ ძეს კაცისას, ღრუბლებზე მომავალს დიდებით და მრავალი ძალით“; თუმცა, იმასაც ბრძანებდა, რომ ეს მოულოდნელად მოხდებოდა, ამიტომ ყოველწამიერად ფხიზლად ყოფნისკენ მოუწოდებდა მათ. პასექისა და უფუარობის დღესასწაულამდე ორი დღეღა რჩებოდა.

ერთმა მოწაფემ, – იუდა ისკარიოტელმა გულში ჩაიდო იესოს ღალატი და დასასმენად მღვდელმთავრებთან მივიდა. მათ კი ვერცხლი აღუთქვეს საჩუქრად. იუდა ისკარიოტელი ხელსაყრელ მომენტს ეძებდა იესო ქრისტეს გასაცემად.

იესომ მოამზადა პასექი თავის მოწაფეებთან ერთად და დასხდნენ სერობად.

სწორედ მაშინ, საიდუმლო სერობაზე გაუმხილა მაცხოვარმა საკუთარ მოწაფეებს, – მათგან ერთი რომ გასცემდა მას. შეწუხებულმა მოწაფეებმა სათითაოდ დაუწყეს შეკითხვა – „მე ხომ არაო?“ და იესომ დაასრულა:

– „მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა; ერჩია, სულაც არ შობილიყო ის კაცი“. შემდეგ თითოეულს, იესომ საკუთარი ხელით აჭამა ნაკურთხი პური, შეასვა ღვინო „და უთხრა მათ: ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული“.

შემდეგ ერთად იგალობეს და ზეთისხილის მთაზე ავიდნენ. იქ სამ მოწაფესთან: პეტრესთან, იაკობთან და იოანესთან ერთად ასული, ცოტათი განერიდა მათ და ილოცა, თუ შესაძლებელი იყო ასცდენოდა წამების მძიმე საათი, „თუმცა არა რაც მე მნებავს, არამედ რაც შენ“, წარმოსთქვა და გაბრუნდა მოწაფეებისაკენ, რომლებსაც ჩასძინებოდათ.

უსაყვედურა მათ: „ერთ საათსაც ვერ გასძელით ფხიზლად?“ და სიფხიზლისაკენ მოუწოდა. გაშორდა და უკან დაბრუნებულს იგივე სურათი დახვდა, – კვლავ ჩასძინებოდათ მოწაფეებს.

ასე განმეორდა მესამედაც.

ამასობაში უამრავი შეიარაღებული კაცი შემოეხვია იესოსა და მის მოწაფეებს. იუდა ისკარიოტელს ნიშანი ჰქონდა მიცემული მღვდელმთავრებისა და მწიგნობრებისათვის, ვისაც ეამბორებოდა, სწორედ ის იქნებოდა იესო და ეამბორა კიდეც იესოს.

შეიპყრეს იესო, რომლის ერთმა მოწაფემ ხმალი იშიშვლა და მღვდელმთავრის მონას ყური ჩამოათალა.

შეპყრობილი მაცხოვარი მღვდელმთავარს წარუდგინეს. ბრბოდ გადაქცეული ხალხი იესოს უსინდისოდ სწამებდა

ცილს და მის მოკვლას მოითხოვდა.

მღვდელმთავარმა თავის გამართლება სთხოვა იესოს, რომელმაც მშვიდად წარმოსთქვა, რომ ქრისტეა, ძე კურთხეულისა. მღვდელმთავარმა კი ჭეშმარიტება ღვთის გმობად მიიჩნია, განრისხდა კიდეც, შემოიხია „სამოსი და თქვა: რაღად გვინდა მოწმეები? ხომ მოისმინეთ ღვთის გმობა“.

ყველამ სიკვდილით დასჯის

გაგრძელება გვ.10 ▶

# სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი გახსნისა და ფუნქციონირების დასაწყისიდანვე საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა მჭიდრო სასწავლო-სამეცნიერო კონტაქტები მეზობელ სახელმწიფოებთან. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა ჩვენი თანამემამულეების საქმიანობის შესწავლასა და პოპულარიზაციას, იმართებოდა მათი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. მსგავსი კონტაქტები კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ამოქმედდა სადოქტორო პროგრამები. ამ საქმიანობის გაგრძელება იყო 2017 წლის 28 თებერვლიდან 4 მარტამდე თურქეთში განხორციელებული ვიზიტი.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდს, ბიბლიოთეკასა და არქივს უნივერსიტეტიდან სამეცნიერო მიზნებით ესტუმრა სამკაციანი ჯგუფი: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, პროფესორი **როინ ყავრელიშვილი**, ასოცირებული პროფესორი **მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე** (რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში). მიზანი იყო იმ საარქივო მასალის გაცნობა და შემდგომში შესწავლა, რომელიც ფონდშია დაცული. ვიზიტის დეტალები გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე ზუსტდებოდა რექტორსა და პოლ ზაზაძეს შორის უშუალო მიმოწერის საშუალებით.

მიუხედავად მცირე დროისა, სტუმრობა აღმოჩნდა უაღრესად საინტერესო, მნიშვნელოვანი, წარმატებული, ემოციური და, შესაბამისად, დაუვიწყარი. ღირსეული ქართველების, **პავლე** და **სიმონ ზაზაძეების** დაწყებულ საქმეს დღესაც დიდი რუდუნებით აგრძელებს ბატონი **პოლ ზაზაძე** და მისი ოჯახი.

სტამბოლში ჩასულები ბიბლიოთეკამდე მიგვაცილა ბატონმა **ნეჯმეთინ იუქსელმა**, ადამიანმა, რომელსაც, როგორც თავად აღნიშნა, ათეული წლების ურთიერთობები აკავშირებდა ზაზაძეების ოჯახთან. დრომ საქმიანი კონტაქტების გარდა თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჩამოაყალიბა მასა და ზაზაძეების ოჯახის ყველა წევრს შორის. დღემდე ერთგულებითა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა საკითხს, რომელიც ამ ოჯახის საქმიანობას ეხება. ბატონმა **ნეჯმეთთინმა** მიგვიღო, როგორც საკუთარი სტუმრები და სტამბოლში ყოფნის პერიოდში მისი ყურადღება ჩვენს ჯგუფს არ მოჰკლებია.

მშვიდი, სასიამოვნო და მყუდრო გარემო დაგვხვდა ბიბლიოთეკაში. მოზრდილ აბრაზე თურქულ და ქართული ენებზე შესრულებული წარწერა იუწყებოდა, რომ: *„დოქტორ სიმონ-ალექსანდრე ზაზაძის მიერ შექმნილ კულტურის კერაში დოქტორ შუშანა ფუტკარაძის მიერ განსათავსებლად მომზადებული სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა და ფონდის ნაამაგარი კულტურული მემკვიდრეობა ეძღვნება აქვე მოღვაწეთა ხსოვნას“.* სულ რამდენიმე სიტყვაში მოექციათ მადლიერება, სიყვარული და დიდი მოწიწება. იქვე პავლე და სიმონ ზაზაძეების სურათები ამოვიცანით.

ისტორიას სამუდამოდ დარჩება ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა სავანის მოვლა-პატრონობის საქმეში მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების დიდი დამსახურება. პავლე ზაზაძე წარმოშობით მესხეთიდან (სოფელ უდიდან) იყო. 1913 წელს მღვდელ ბენედიქტე ვარდიძეს წაუყვანია იგი სტამბოლში, ფერიქოის მონასტრის სასწავლებელში, სამღვდლოდ მოსამზადებლად, მაგრამ მალე პირველი მსოფლიო ომი დაწყებულა და ცხოვრება არეულა. ბევრი ქართველი მოსწავლე გერმანიაში გაუმგზავრებიათ სასწავლებლად, მაგრამ პავლე ზაზაძე სტამბოლში დარჩენილა, ვაჭრობა შეუსწავლია და ცნობილი პიროვნება გამხდარა. 1966 წლიდან, როცა მონასტერი დაცარიელდა, ბოლო მონაზონი გარდაიცვალა, პავლე ზაზაძეს უთავია ფერიქოის ქართველთა სავანის პატრონობა. იგი ღრმად მოხუცებულიც კი დადიოდა თურმე ეკლესიაში და მზრუნველობას არ აკლებდა ამ წმინდა ადგილს. მისი გარდაცვალების შემდეგ (1987წელი) მამის ანდერძის შესაბამისად, ამ მამულიშვილურსა და კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა პავლე ზაზაძის შვილი სიმონ ზაზაძე.

სტამბოლში. ჩვენი ვიზიტის პირველივე დღეს. მობრძანდა ბატონი პოლ ზაზაძე ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის რექტორთან შესახვედრად. საქართველოდან ჩასული სტუმრებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ამითაც დაადასტურა მასპინძელმა. ახალგაზრდა, წარმატებული ბიზნესმენის სახით რექტორს ესაუბრებოდა ადამიანი, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა გააზრებული საკუთარი პასუხისმგებლობა წინაპართა დანატოვარის წინაშე, ადამიანი, რომელიც ქართველთა მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას ღირსების საქმედ მიიჩნევდა. სიმონ ზაზაძის ქალიშვილი, ნატალი ზაზაძე შვილიშვილთან ერთად ბიბლიოთეკაში მაშინ მოვიდა, როდესაც ბატონი პოლი უნივერსიტეტიდან საჩუქრად ჩამოტანილ კლიპს უყურებდა. ყველას თვალწინ გაცოცხლდა 2000-იანი წლების დასაწყისი, როდესაც ბატონი სიმონ ზაზაძე მეუღლესთან ერთადE ესტუმრა ახალციხეს, მუზეუმს, უნივერსიტეტს, მშობლიურ სოფელს. კადრებმა შემოინახა პავლე ზაზაძის სახელობის კაბინეტის გახსნა (უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი იყო ბატონი შოთა ზაზაშვილი). ზაზაძეების შთამომავლებმა იხილეს უნივერსიტეტში მათი წინაპრების მიერ დაფინანსებული საკონფერენციო დარბაზის დღევანდელი სახე (კეთილმოეწყო ქალბატონი თინა გელაშვილის რექტორობის დროს). პროფესორმა მერაბ ბერიძემ სიმონ ზაზაძესთან შეხვედრის ეპიზოდები პირადადაც გაიხსენა. წაიშალა დროისა და სივრცის საზღვრები, რამდენიმე წუთი აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ვიზიტის მიზანი გარკვეულიყო, გამოიხატა სრული მხარდაჭერა, სრული თანადგომა...

ისტორია კიდევ ერთხელ მაშინ გაცოცხლდა, როდესაც მინებიან კარს მიღმა, სპეციალური ტემპერატურის ქვეშ დაცული, ბიბლიოთეკისათვის ჩვეულ თაროებზე განთავსებული ლიტერატურის დათვალიერება დავიწყეთ. მასპინძლებმა არაერთხელ აღნიშნეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ **შუშანა ფუტკარაძის** უდიდესი ღვაწლი და დამსახურება. *წლების განმავლობაში სიყვარულით, რუდუნებით უკეთებია ქალბატონ შუშანას საშვილიშვილო საქმე და ამისთვის ნებისმიერი ქართველისგან იმსახურებს უდიდეს პატივისცემასო.* გამოითქვა აზრი და ყველა დაეთანხმა, რადგან თითოეულ წიგნს ეტყობოდა ქართველი პროფესორის მუშაობის კვალი. ქალბატონი შუშანას წერილიდან შევიტყვეთ, რომ ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა სავანეს საკუთარი სტამბა ჰქონია, სადაც ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვა დაუწყიათ 1870 წლიდან. ამ სტამბაში დაუბეჭდავთ 100-ზე მეტი წიგნი ისტორიული, გეოგრაფიული, ლიტერატურული, პოლიტიკური, სამედიცინო, ფილოსოფიური, ლინგვისტური შინაარსისა.

ჩვენ ვათვალიერებდით თაროებზე განთავსებულ ქართველ კათოლიკეთა სავანის უმდიდრეს ბიბლიოთეკას. ვნახეთ ათასობით წიგნი ქართულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ, თურქულ, რუსულ, სომხურ ენებზე. აქვე შენახული იყო მე-19, მე-20 საუკუნეების ქართული ჟურნალ-გაზეთები საფრანგეთსა და საქართველოში დაბეჭდილი.

თაროებს შორის დავდიოდით და წიგნებს ისე შევცქეროდით, როგორც ეკლესიაში ხატებს შებედავ შეხედვას: სასოებით, მოკრძალებითა და მდუმარებით.

ბიბლიოთეკას დაბლა სართულზე კიბე ჩაუყვება. საკმაოდ მოზრდილ დარბაზში ისევ თაროები დგას, თუმცა ცარიელები – დგას წიგნების მომლოდინე თაროები. ბევრი წიგნი კი ჯერ კიდევ გაუხსნელ ყუთებშია. დიდი იყო ცდუნება იმისა, რომ მუშაობა იმ დღესვე, იქვე დაგვეწყო, მაგრამ... შეუძლებელი აღმოჩნდა უარის თქმა ბატონი პოლის შემოთავაზებაზე – სა-



ქართველოდან ჩამოსული სტუმრები დედისთვის, ქალბატონი კლაუდიასთვის წარედგინა. მივიღეთ შეთავაზება და ვეწვიეთ ქალბატონ კლაუდიას ოჯახში. სტამბოლის მიწაზე, ქართულ ოჯახში სტუმრობისას გავხდით მოწმენი, როგორ ინახავდა ოჯახური ტრადიცია თბილი მასპინძლობის წესს, მოგონებებს საქართველოში ვიზიტზე, საქართველოსთან დაკავშირებული ყველა წუთის, წამის განსაკუთრებულ აღქმას, სიამაყეს ქართული გენითა და ჯიშით, წყურვილს მეტის გაგებისა და, რაც მთავარია, ენით აღუწერელ პატივისცემას ოჯახის უფროსების მიმართ. სტუმრებს, როგორც უკვე შინაურ ადამიანებს, მასპინძლები ეკითხებოდნენ ყველაფერზე: ქართველთა წარმომავლებაზე, ისტორიაზე, ბუნებაზე, ზაზაძეების გვარის წარსულსა და მომავალზე. აღმოჩნდა, რომ ბატონი პოლის კიდევ ერთი უფროსი და, ქალბატონი პაულა უფრო ხშირად ჩამოდის საქართველოში. ოჯახის წევრებმა რექტორს პირობა ჩამოართვეს, ისიც დაჰპირდა, რომ ზაზაძეების გვარის ისტორიას მეცნიერულად შეისწავლიდა და გაუზიარებდა მათ.

სტამბოლისადმი, როგორც ევროპის და აზიის დამაკავშირებელი ხიდისადმი, როგორც მსოფლიოს ხალხთა კულტურისა და განათლების ერთ-ერთი კერისადმი, ქართველების დიდი ინტერესი უხსოვარი დროიდანვეა ცნობილი.

სტამბოლელი ქართველების ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანად მიიჩნევა ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. მონასტერი ბიბლიოთეკის გვერდითაა. მყარად დგას ტაძრის კუშტი, მაგრამ კოხტა შენობა. ეკლესიის ბაღიც კარგადაა მოვლილი, განახლებული. განცდას, რომელიც ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ გეუფლება, ზუსტად ასახავს პროფესორ შუშანა ფუტკარაძის სიტყვები:*„ამ სავანეში შემოსული ყოველი ადამიანი, რა რწმენისაც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად მიიღებს ზეციურ სიმშვიდეს, იგრძნობს სულიერ კმაყოფილებას და, მართლაც, ღმერთის სალოცავი სახლია, ესთეტიკურად შემკული, სულიერად ამაღლებული, ბედნიერ მომავალზე მეტყველი“.*

ლამაზ ეზოში ვიწრო ბილიკი მიუყვება ტაძრის შესასვლელთან მიმავალ გზას. 12 საათამდე ეკლესიის კარი ყოვედღე იღება, შემდეგ საგანგებოდ მიჩენილი დაცვის სამსახურის თანამშრომელი პატრონობს იქაურობას. ადრეული გაზაფხულის მიუხედავად მწვანეში ჩაფლული დაგვხვდა ტაძრის მოვლილი ეზო. გადააბიჯებ ეკლესიის ზღურბლს და...

წინაპართა სულების გარემოცვაში მოექცევი. Iმის გააზრება, რომ მათ ნატერფალზე დააბიჯებ, მათ ნამოღვაწარს ხელით ეხები, მათი ლოცვის მადლს შეიგრძნობ, ერთიანად ავსებს შენს არსებას, გავსებს გამოუთქმელი სიამაყით და ეს იმდენად ძლიერი გრძნობაა, რომ გთრგუნავს კიდეც. გიმორჩილებს უცხო მიწაზე ქართველთა ნაღვაწთან პირისპირ შეხვედრა.

შტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ტაძრის საკუთხეველთან ვერ მიხვალ, თუ ფეხს არ დააბიჯებ მონასტრის დამაარსებელი მამის **პეტრე ხარისჭირაშვილის** საფლავს. მისი გული დღემდე შენახულია სპეციალურად სპირტის ქილაში, ქვას კი აწერია*: „საფლავსა ამას მდებარეა პ.მ. პეტრე ხარიჩარიანთი. დამფუძნებელი ქართველთ კათოლიკე სავან. მონათა და მხევალთა უმანკო ჩასახებისათა“.* ჭარწერა მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებსაც ინახავს. Eკლესიის შესასვლელშივე, დაფაზე ტაძრის ისტორიის შესახებ მოკლე ცნობებია განთავსებული, საიდანაც ვგებულობთ, რომ ეკლესიის დამაარსებელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი დაიბადა 1818 წელს ახალციხეში, 24 წლისა პეტერბურგში ეკურთხა მღვდლად. მასწავლებლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1857 წელს სალოცავად წავიდა საზღვარგარეთ, ლოცულობდა იერუსალიმის, იტალიის წმინდა ადგილებში. შემდეგ მოვიდა სტამბოლში და დაიწყო ზრუნვა ეკლესიის ასაშენებლად. ვიღაც კე|თილშობილ კაცს შეუწირავს ათას არშინზე მეტი მიწა, შემდეგ მამა პეტრეს თავის მოწაფეებთან ერთად ამაზე სამჯერ მეტი შეუძენია. მამა პეტრეს მიერ დაწერილი ანდერძიდან ცნობილია, რომ სავანის მიწა, სამლოცველო, უძრავ-მოძრავი ქონება მისი სიკვდილის შემდეგ საზოგადოების ყველა წევრის, კათოლიკე მრევლის საკუთრებას წარმოადგენს. 1861 წელს მამა პეტრემ საძირკველი ჩაუყარა წმინდა მარიამის სახელობის ეკლესიას და სავანეს, სადაც ის გარდაიცვალა. ამ სავანეში მოღვაწე მღვდლები, სამღვდელონი, მონაზვნები მესხეთიდან იყვნენ.

1869-1871 წლებში პეტრე ხარისჭირაშვილმა დააარსა დედათა და მამათა მონასტერი, სასულიერო სასწავლებელი და სტამბა. სასაწავლებელში სასულიერო საგნების გარდა ასწავლიდნენ ექიმობას, წამლების კეთებას, უცხო ენებს და მასწავლებლობას. ამ სკოლაში აღიზარდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და მწერლები – **მიხეილ თარხნიშვილი, ივანე გვარამაძე, ბენედიქტე ვარდიძე** და სხვები.

მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე დააწესებინა. ფერიქოის ქართული სავანე (სალოცავი ადგილი) სახელგანთქმული ყოფილა ოსმალეთში. ქართველი მღვდლები მღვდელმსახურებასთან ერთად მკურნალობასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ამიტომ აქ დადიოდნენ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ადამიანები.

ყვავილებით მოკრძალებით შევამკეთ მონასტრის დამაარსებლის საფლავი. საკურთხევლის მარცხენა მხარეს გაცხადებულია ქართველ კათოლიკეთა მთავარი ვედრება: *„მარიამ ღვთისმშობელო იბერიის მოციქულო მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა“.*

ფერიქოის ქართული სავანე იყო არა მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც. დაფაზე განთავსებული ინფორმაცია გვამცნობს, რომ 1911 წელს აქ დაარსდა ქართული კლუბი, სადაც იმართებოდა შეხვედრები, საღამოები. თითო შეკრებას 150-ზე მეტი ქართველი მაინც ესწრებოდა თურმე. აქ მოდიოდნენ სტამბოლის მოწინავე მოქალაქეები, ფაშები, გენერლები, ვექილები, მოხელეები, სტუდენტები. კლუბი მუშაობდა ოსმალეთის მთავრობის მიერ დაწესებული წესდებით. რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, საქართველოსთვის მძიმე წლებში, სტამბოლში ფერიქოის სავანე ქცეულა ქართველთა მშობლიურ კერად, საიმედო თავშესაფრად. 1921 წლიდან მონასტერმა შეიფარა საქართველოდან ბოლშევიკების მიერ დევნილი ბევრი ქართველი. საფრანგეთში ჩასვლამდე სამ თვეს აქ ცხოვრობდნენ ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ საქართველოდან ემიგრაციაში წასული დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის წევრები ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ფერიქოის წმინდა მარიამის სახელობის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიას დაარსებიდან დღემდე რამდენიმე წინამძღვარი ჰყავდა. მათი გვარები თეთრი მარმარილოს ქვაზეა ამოტვიფრული და ეკლესიის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს. არ არის დაკარგული არცერთი მოღვაწის ღვაწლი, მათი საქმე სამუდამოდაა შენახული შთამომავლობისათვის.

მეორე დღეს არქივში რუდუნებით შეკრულ, მაგრამ ჯერ დაუმუშავებელ ტექსტებზე დავიწყეთ მუშაობა. განსაკუთრებული განცდა ახლდა გადაყვითლებულ, ხშირად გაცრეცილ წერილებთან შეხვედრას. ვაცნობიერებდით, რომ ვეხებოდით უნიკალურ დოკუმენტაციას, ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველს. ვეხებოდით მესხთა ისტორიას, დიდებულ, გამორჩეულ შვილთა ისტორიას. ბატონი მერაბი არჩევდა გადასაღებ მასალას. ბატონ როინ ყავრელიშვილთან ერთად ვცდილობდით, შეძლებისდაგვარად მეტი მასალა გადაგველო და ჩამოგვეტანა საქართველოში, უნივერსიტეტში. წარსულის ლანდებთან გადაძახილში ველარ ვგრძნობდით, როგორ სწრაფად გადიოდა დრო. გადარჩევისას გადავაწყდებოდით რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, გასაოცარს, ხმამაღლა ამოვიკითხავდით ასი წლის წინ განცდილ დარდსა და სიხარულს. ვერ ვმალავდით ემოციას. ვიღებდით ფოტოებს და გონებში ფოტოფირებივით აღიბეჭდებოდა ჩვენი წინაპრების მიერ ულამაზესი კალიგრაფიით გამოყვანილი ქართული ასოები, თუმცა არა მხოლოდ ქართული. ისინი მაღალ დონეზე ფლობდნენ ევროპულ ენებს და ამ ენებზე თავად ქმნიდნენ ლიტერატურას. ეს იყო დაუვიწყარი დრო...

წამოვიღეთ 1000-მდე ფოტო, ეს რისი დათვლაც შესაძლებელია, თორემ რა გაზომავს იმ სიამაყეს, ჩვენი თანამემამულეების ნაკვალევთან მიახლოებამ რომ აღძრა თითოეულ ჩვენგანში.

როგორც აღვნიშნეთ, ის, რომ ქართველ კათოლიკეთა სალოცავი და მასთან არსებული ბიბლიოთეკა დღემდე არსებობს, ზაზაძეთა უფროსი თაობის დამსახურებაა. დავბრუნდით საქართველოში ღრმად დარწმუნებულები იმაში, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ, ქართველთა საუნჯეს, სტამბოლის მიწაზე, კვლავაც ღირსეული პატრონი ჰყავს ბატონი პოლ ზაზაძის სახით. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბატონი პოლის მიერ მამისა და პაპის საფლავთან ღირსებით ნათქვამი სიტყვები: ვამაყობ, რომ მათი შთამომავალი ვარო.

სულ რამდენიმე დღიანმა ვიზიტმა ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. როგორც ბატონი პოლ ზაზაძე და უნივერსიტეტის რექტორი შეთანხმდნენ, სამეცნიერო კონტაქტები გაგრძელდება მემორანდუმის ფარგლებში, დაიგეგმა სამომავლოდ გადასადგმელი ნაბიჯებიც. საქმე ბევრია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ დაიშურებს ძალასა და რესურსს, რათა დღის შუქი მოჰფინოს იმ ადამიანების ნაღვაწსა და ნააზრევს, რომლებიც *„ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა სავანეში 100-ზე მეტი წლის მანძილზე სამშობლოდან გადმოხვეწილნი მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მშობლებსა და ახლობლებს მოკლებულნი, მშობლიურ მიწა-წყალს დანატრებულნი, მამულის საკეთილდღეოდ შრომაში სანთელივით იწვოდა თანდათან მათი სიცოცხლე, მაგრამ ტოვებდა ისეთ ღვთაებრივ სინათლეს, რომლითაც დღემდე განათებულია ამ სავანის ასწლოვანი ისტორია. მისი ნათელი მზის შუქივით დღესაც ათბობს ობლად დარჩენილი სავანის გაციებულ კედლებს. ძველი წიგნებისა და ხელნაწერების გაყვითლებული ფურცლების შრიალში შენახულია მათი სუნთქვა. იდუმალ სიჩუმეში ისმის ჩვენი წინაპრების წმინდა სულების სამადლობელი ლოცვა, სავანის მზრუნველისა და ქომაგისადმი (შ.ფუტკარაძე)“.*

*მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე,*
*ასოცირებული პროფესორი,*
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში*

## ბელა ალანია

# საჩუქარი

ჩემი მეგობარი დიმიტრი და მე ძველ, თბილისურ ეზოში გავიზარდეთ. დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთი არ გვენახა. მონატრებულ სახელოსნოში ვესტუმრე. კარგა დრო დამჭირდა მისი ნახატების დასათვალიერებლად. ბევრი საინტერესო ნამუშევარი დამხვდა. უამრავ რამეზე ვისაუბრეთ. ცოტა წითელი ღვინოც გვახლდა. სასმელისგან გამოწვეულმა ალმურმა გულახდილი საუბრის ხასიათზე დაგვაყენა. ადრე კრინტსაც თუ ვერ დააცდენინებდი მეგობარს, ახლა ენაწყლიანობდა და სიტყვამრავლობდა. დიმიტრიმ ბევრი საინტერესო ეპიზოდი მომიყვა თავისი ბავშვობიდან:

– სკოლაში ვსწავლობდი, როცა ერთი გოგო შემიყვარდა. მგონი, მიყვარდა, თუმცა არც კი ვიცი. ვიცოდი კი შვიდი წლის ბიჭმა, რა იყო სიყვარული?! მის დანახვაზე სულ ერთიანად ვწითლდებოდი. მერე ამ სიწითლის მრცხვენოდა და სახეარეული მისგან გავრბოდი. ყურები მიწიოდა, მეწვოდა. რომ არავის დავენახე, ჩრდილში შეყუჟული ვიდექი. ნერვიულობისგან ფრჩხილები სულ დაკვნეტილი მქონდა. არადა, ერთი მანჭია გოგო იყო ტატა – გრძელკისერა, ორი კიკინით და დიდი ბაფთებით. მის სახეზე ჭორფლები ცელქობდნენ, მეჩვენებოდა, რომ დაწინწკლული სახიდან ზოგი მეჯღანებოდა და მაჯავრებდა კიდეც. მისი გაფუებული, მაცდური ტუჩები მეწამულისფრად ყვაოდა. ყელზე წყლისფერი ძარღვი უფეთქავდა და თითქოს მეც მესმოდა მისი სასურველი ტიკტიკის ხმა. ლოყებზე კი ორი პაწია ღრმული ჰქონდა. ჩემ დანახვაზე უჩნდებოდა, რადგან სულ მიღიმოდა. მათრობელა ტუჩებს ენით ილოკავდა, გეგონება, ჩემი დაგემოვნება უნდაო. ამას ისე მადისაღმძვრელად აკეთებდა, რომ მე ჯერ ვშეშდებოდი, მერე ვიშმუშნებოდი და კვლავ ჩემს სიმორცხვეში ვიკარგებოდი. არ ვიცი რატომ, მაგრამ გულაჩუყებული და არაქათგამოცლილი ვხდებოდი იმ წუთებში. გზაში აზრებს ვახუჭუჭებდი, ვალაგებდი, სხვა დროს როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რა უნდა მეთქვა, რომ მასთან დალაგებული საუბარი გამომსვლოდა; როგორ უნდა გავმკლავებოდი ჩემს კუდამოძუებულ მდგომარეობას. ასეთი ტლანქი, მოუქნელი, ჭირვეული საიდან გაჩნდი? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს. როცა ტატა ასე იცინის, ხომ არ დამცინის-მეთქი, ნუთუ ეს ყალბი ღიმილია მხოლოდ, – არ მასვენებდა გამალებული, თავმომაბეზრებელი ფიქრები. ჩემს წარმოსახვაში მის კიკინას ვეხებოდი და სიყვარულით ვქაჩავდი. ლოყაზე ვკოცნიდი და ყურში ვეჩურჩულებოდი. მერე თვალს ვახელდი და ისევ თავიდან იწყებოდა ჩემი ტანჯული მოუსვენრობა. ვაიმე, როგორ მძულდა იმ წუთებში საკუთარი თავი! ბრაზისგან სახეალეწილი, სახედალმეჭილი დავდიოდი. გაკვეთილებს არ ვსწავლობდი, სისულელეებს ვჩმახავდი, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და ბოლოს ოროსანიც კი გავხდი.

ერთხელაც, ტატას დაბადების დღე ახლოვდებოდა და მინდოდა, მისთვის თავი მომეწონებინა. ბევრი ვიბორიალე, რომ რამე მეყიდა, მაგრამ საკმარისი ფული არ აღმომაჩნდა. სახლში რომ დავბრუნდი, დედას ვკითხე, დაბადების დღეზე რა გაგიხარდებოდა საჩუქრად-მეთქი. მან შემომხედა და მითხრა: შენი ხელით დამზადებული რამე ნივთი, ყვავილი, ან სულაც არაფერი, უბრალო კოცნაო... რადგან დედას მოეწონება, ტატაც არ დაიწუნებს ასეთ საჩუქარს-მეთქი, გავიფიქრე.

იმ დღეს უთენია ავდექი. წავედი ტყეში. დავკრიფე ბალახი, ავკრიფე გირჩები, ნაფოტები, ფოთლები და გამხმარი კენკრა თუ ბალი... დავჯექი და დავიწყე პატარა გოგონას აწყობა. ფოთლებისგან კაბა ჩავაცვი, თავზე ყვავილების გვირგვინი დავადგი, ფეხზე გირჩის ნაწილებისგან ფეხსაცმელები „შევუკერე“, მწვანე ბალახისგან ნაწნავი დავუწანი და ბევრი ვეფერე კენკრის ტუჩებში და შავი მაყვლის თვალებში... იმდენი სითბო და სიყვარული ჩავაქსოვე ამ თოჯინაში, მეგონა, სადაცაა ალაპარაკდებოდა და გამთქვამდა. როცა დავამთავრე ტატას თოჯინა, უკვე საკმაოდ შებინდებული იყო. შინმისულს, ნახევრად ჩამოშლილი კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი დედა დამხვდა. თავი მხრებში ჩაერგო და რატომღაც თავწაკრული და თვალებამოღამებული ჩანდა. არც არაფერი მითხრა, უსიტყვოდაც მიმიხვდა. თავზე ხელი გადამისვა და გულში ჩამიკრა.

მეორე დღეს სკოლის ეზოში ჩემი ჭორფლიანი დავინახე. გარს უამრავი ბავშვი ეხვია. საჩუქრებს და დაბადების დღის მოლოცვებს იღებდა. მომერიდა მათი თანდასწრებით მილოცვა. დიდხანს ველოდი. ზარი დაწკარუნდა, ბავშვები კლასებში გაიქცნენ და ისიც ორ-სამ მეგობართან ერთად ეზოში დარჩა. მივუახლოვდი და ჩემი შექმნილი თოჯინა გავუწოდე. მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა, ბაიამ, ტაში შემოჰკრა და აღფრთოვანდა. ტატა კი იდგა ქედმაღალი, გოროზი და ჩემს გაწვდილ საჩუქარს ისე უცქერდა, თითქოს უმნიშვნელო რამ ყოფილიყო. არ ვიცი, ალბათ, ეჩოთირებოდა. გასუსული, პირდაფჩენილი შემოგვყურებდნენ იქვე მდგარი სხვა მხლებლებიც. გაწვდილი ხელით, თითქოს გაქვავებული ვიდექი. სიწითლეც სადღაც გაქრა. ფერმკრთალი, თავჩაქინდრული, მობუზული და პირმოკუმული, არ ვიცი, რას ველოდი.

უცებ ბაიამ გამომართვა თოჯინა და ხმამაღლა თქვა: რა ლამაზია, ეს ხომ შენ ხარ, ტატა, ნახე, რა საყვარელია! ნეტავ, ჩემი თოჯინა იყოს?! ტატა ხმას არ იღებდა. იქვე ყუთი გახსნა და ამოიღო სხვა თოჯინა, რომელიც მაღაზიაში იყო ნაყიდი, ვარდისფერი კაბით და გრძელი ნაწნავით. ეს უფრო ლამაზია და მე ეს მეტად მომწონს. ეს თოჯინა კი შენთვის მიჩუქნიაო, დაჟინებული მზერა მიაპყრო და ხმამაღლა დასჭყივლა შეშინებულ, გაჩხიკულ ბაიას, რომელიც დაზაფრული იდგა. მალე ბაია, ჩემი თოჯინით ხელში ჩაბღუჯული, შურდულივით გაიქცა სადღაც.

არაფერი მესმოდა... რა ნაცრისფერი იყო ქალაქი. მეხსიერებიდან არ ამოდიოდა და სულ ტივტივებდა მისი სახე და ჩემი გაწვდილი ხელი... საგულდაგულოდ ჩაირაზა ჩემი გული. რაღაც ინტერვალებით მეორდებოდა მჭახე ბგერები... მესმოდა ახითხითებული ბავშვების ხმები, მარწუხა ბოღმა მებჯინებოდა ყელზე და სულში ადგილს არ მიტოვებდა. აქვითინებული მიწაზე პირქვე დავემხე და უმწეოდ ვფართხალებდი. არც კი მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე.

ჩემი გაუმაძღარი სული დიდხანს ვერ ნაყრდებოდა. ქუთუთოებშეწითლებული თვალებით დიდხანს დავდიოდი. ხან მამას, ხან დედას ვუხმობდი საშველად. უფრო ხშირად წმინდანებს ვაწუხებდი ჩემი ფიქრებით და გულში საუბრებით. მიძინებული ნაღველი ხშირად შემახსენებდა ხოლმე თავს. განცდებით გათანგული ტყე-პარკებში დავდიოდი. ჩიტების სტვენას ვუსმენდი. მათი გალობა მამშვიდებდა.

თანდათან რუხი ღრუბლები გაიფანტნენ. გამოჩნდა ულამაზესი ხედების გამოსახულებები, რომელსაც ცოტა ხნის წინ ვერც კი ვამჩნევდი. გავიდა დრო და თვალი ამეხილა. ნელ-ნელა მიჩუმათდა და დალაგდა ყველაფერი. ნაღველი განიდევნა ჩემგან მოუსავლეთში. მუდამ პირმოცინარი, მაგრამ გულცივი სიყვარულიც სადღაც გაქრა. ჩემი მოჩვარული სიყვარული შორს გადავაგდე. ბზარგაჩენილი სული ნელ-ნელა მოშუშდა.

სკოლის გამოსაშვები საღამო ერთ-ერთ თანაკლასელთან გადავიხადეთ. კარგი ხედი იყო აივნიდან. გარეთ გავედი. ბაიაც გამომყვა. სამომავლო გეგმებზე მესაუბრა. მე ვუთხარი, რომ სამხატვრო აკადემიაში მინდოდა ჩამებარებინა. – შენ აუცილებლად მოეწყობი, მე ვიცი, – ისეთი თავდაჯერებულობით მითხრა, რომ საკუთარი თავის რწმენა გამიძლიერდა. მერე, ხელჩანთიდან ჩემი ნახელავი თოჯინა ამოიღო, რომელიც ათი წლის წინ შეყვარებულმა დამიწუნა. რუდუნებით ეპყრობოდა, გულში იკრავდა, ეფერებოდა, ბევრ რამეს მივხვდი... მე კი თითქოს თვალი ამეხილა იმ წუთას.

მას მერე აკადემიაში ჩავირიცხე და ახლა ბაიას ცოლად შერთვა მინდა. ირაკლი, რას მეტყვი, ხომ ვარ მართალი გადაწყვეტილებაში? – მკითხა დიმიტრიმ მოციმციმე თვალებით.

– დიმიტრი, მართლა გიყვარს ბაია? – დაბნეულმა ვკითხე.

– მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. მინდოდა, შენთვის მეჯვარედ გამოყოლა მეთხოვა, – პასუხის მოლოდინში ისევ თითი მოიკვნიტა, ისე, როგორც ბავშვობაში იცოდა.

– რა თქმა უნდა, გამოგყვები, – ვუთხარი და თითქოს რაღაც მომეშვა გულზე. მიხაროდა, რომ სევდამორეული დიმიტრი სადღაც გამქრალიყო. აი, თურმე რა აწუხებდა ამდენი წელი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ბავშვური სიყვარული სერიოზულად ატკენდა გულს.Gმიხაროდა, რომ ასე გაიხსნა და გამენდო.

ახლა სულ სხვა ადამიანი იჯდა ჩემ წინ. თან ყვებოდა და თან თავჩაღუნული და ცხვირჩარგული თიხის ქანდაკებას დიდი მონდომებით აკეთებდა. გულმოდგინედ ვადევნებდი თვალს. მზად ვიყავი, მისი ქანდაკებადქცეული სიყვარულისთვის მეცქირა. თეძოზე კოხტად ავლებდა ხელს და ჩემ თვალწინ, თეთრად მოთხვრილი ხელებით, ულამაზესი ქალი იძერწებოდა. სახე ისევ ეწვოდა დიმიტრის, ყურები ისევ ალისფერი ჰქონდა და ჩემი სული თბებოდა. სიხარულატანილი, ხმამაღალი ღიღინით დავბრუნდი სახლში. ლამაზი განცდები ყველას ულამაზებს ცხოვრებას. ამ მოუსვენარ სამყაროში მეგობრის ბედნიერება გადამდებია და მეც სიხარული დამეუფლა. შინ დაბრუნებულს შემოქმედებითმა აღმაფრენამ შემიპყრო და მათ სიყვარულზე ნოველის წერა დავიწყე.

# მეეზოვე ხანა

ყოველ დილით, ხუთ საათზე რეკავდა მაღვიძარა. ხანა გააჩუმებდა. მერე ნელა აიძურწებოდა საწოლიდან, ძლივს აითრევდა ტანს. ჩამოჯდებოდა. ჯერ კიდევ ბინდბუნდში თვალს მოავლებდა კედელს, რომელზეც სურათი ეკიდა, კაშკაშა მზით და ზღვის ტალღებით. ეს სურათი მეუღლემ აჩუქა, როცა პირველი ვაჟი გაუჩინა... ძალიან მოსწონდა.

ფაჩუჩებში ფეხებს გაუყრიდა. ზოლებიანი პიჟამოთი ფანჯარასთან, განიერ რაფაზე ჩამოჯდებოდა და ისე სვამდა ახალდაყენებულ ჩაის. სწორედ ამ დროს, ყოველ დღე, მატარებელი ჩაივლიდა. გაფაციცებით უცქერდა ლიანდაგებს. მემანქანის საყვირის ხმაზე ბავშვური მიამიტობით გაეღიმებოდა. გააცილებდა ვაგონთა რიგს. როცა ბოლო ვაგონი თვალს მიეფარებოდა, ახლა უკვე დრო იყო, სასწრაფოდ ესაუზმა და სამსახურში გაქცეულიყო. დაგვიდა ხანა ქალაქს. ალაგებდა ყოველდღე, ასუფთავებდა. სიჩუმეს არღვევდა მისი ცოცხის ხმა. მუშაობდა გულმოდგინედ და თავაუწევლად. ყოველთვის დაუზარელი ხანა არ ტოვებდა არც ერთ გოჯს დაულაგებელს. მისთვის უცხო იყო ფუქსავატობა. როცა სამუშაოს მორჩებოდა, სკამზე ჩამოჯდებოდა, გეგონება, თავის ნაშრომით ტკბებაო, გაფაციცებული ათვალიერებდა არემარეს.

როცა ბავშვები ქუჩებში ჯგუფად მიმოდიოდნენ, ხანა უთითებდა, აი, ურნა დგას, ბავშვებო, და გადასაყრელი რაც გაქვთ, იქ ჩაყარეთო. ერთხელ, დედა-შვილმა ჩაიარა. ბიჭმა ბანანის ნაფცქვენი ძირს დააგდო. დედამ კი მისცა შენიშვნა, მაგრამ არც აღება აიძულა, ისე ჩაიარეს. ხანას გული ეტკინა. მიაძახა, – ქალბატონო, ქუჩებს ნუ ანაგვიანებთ, ეს ხომ ჩვენი ქალაქიაო. ქალმა კი, ვითომ ვერ გაიგო, ისე გააგრძელა გზა.

– ვინ აღზრდის ბავშვებს, როცა მშობელი აღსაზრდელია, – ჩაიბურტყუნა დანანებით გულნატკენმა მეეზოვემ.

ხანა თანდათან ქალაქის სისუფთავის ინსპექტორად გადაიქცა. მთელი დღით გარეთ გასული ჭკუის დარიგებით იყო დაკავებული. ზოგი აქებდა, უწონებდა, ზოგი კი ისე მწარედ ლანძღავდა, არც კი ვიცი, რა ძალა ედგა.

– ხანა, აქ რას უზიხარ? შენ ვერ მომწყემსავ მთელ ქალაქს, წადი, დაისვენე! შენი ამბავი რომ ვიცი, დილის ხუთი საათიდან ფეხზე იქნები, ამ უმადურ საქმეს რას გადაეკიდე. ჭრა-კერვაც ხომ იცი, ჰოდა, მიდი, კერე! – უთხრა მეზობელმა. ხანამ თავი ჩაქინდრა და მოიბუზა.

– მერე, ამ საქმეს, ჩემ გარდა, ვინ გააკეთებს? – კითხულობდა გულდაწყვეტით.

ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ერთხელაც დილაუთენია, როცა თავის საქმეს შეუდგა, ხანამ ძირს დაგდებული ოქროს ბეჭედი იპოვა. საკმაოდ დიდი თვალი ჰქონდა და ისე ელავდა, თვალებს სჭრიდა. შესაძლოა, დიდი ბრილიანტიც იყო. გაიხედ-გამოიხედა, არავინ იყო. დაბნეული ჩანდა. იდგა გაქვავებული. არ ვიცი, ვის ელოდა, რას ელოდა. ბოლოს დაიხარა, აიღო, კაბის ქამარი მოიძრო, ბეჭედს გაუყარა და გულზე დაიკიდა. ეგებ ვინმემ ძებნა დაუწყოს და რომ შეხედავს, იმწამსვე იცნობსო. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ისე ეუხერხულებოდა რაღაცის. ნივთი გულზე ეკიდა და გულს სწვავდა. მთელი დღე გარეთ გაატარა. გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა, ვინმემ რამე ხომ არ დაკარგეთო. ხალხი გაოცებული მიმოდიოდა, ვერაფერი გაეგოთ. დაკარგული ნივთების ბიუროში დარეკა, იქაც შეატყობინა, რომ ნაპოვნი ბეჭედი მასთან იყო.

დრო გადიოდა. მომკითხავი არავინ იყო. ხანას კი რცხვენოდა. ყოველთვის ამბობდა:

– ის, რაც მე არ მეკუთვნის, მე არ მჭირდება!

იმ დილით ქალაქი დაალაგა. ქუჩები დახვეტა. ერთი სიმღერა ამოიჩემა და იმას ღიღინებდა:

სისუფთავე ისეთია, რომ ეს ყველას სჭირდება,
ღარიბი ხარ თუ მდიდარი, დალაგება გიხდება.
მოდი, ერთად მოვუაროთ ამ ქალაქის ხეივნებს,
სისუფთავით გაგახარებთ, სანამ თქვენ გაიღვიძებთ...

ამ ღიღინში ლიანდაგების მხრიდან ვიღაცის ხმამაღალი ტირილი მოესმა. წამიც არ დააყოვნა, ისე გაიქცა ხანა და ლიანდაგებზე ჩამომჯდარი ქალი დაინახა. მას მშობიარობა დასწყებოდა. სახლიდან უთენია გამოსულა, მაგრამ ტკივილებისგან გზა ვერ გაუგრძელებია და იქვე ჩაკეცილა.

ხანამ რამდენიმე წუთში ის სამშობიაროში მიიყვანა. მისულს ფულის გადახდას სთხოვდნენ. მშობიარის ახლობლებს კითხულობდნენ. ხანამ ოჯახს მიაკითხა, მაგრამ, როგორც ჩანდა, შეჭირვებულებს სამშობიარო კი არა, ლამის პურის ფულიც არ აღმოაჩნდათ.

ხანამ ოქროს ბეჭედი გაყიდა. მასში ოქრომჭედელმა ფული არ დაზოგა. ამ ფულით უცნობის სამშობიარო ხარჯებიც დაიფარა და დარჩენილი თანხაც აჩუქა.

ახლა გულზე აღარ ეკიდა ოქრო-ბრილიანტის დიდი თვალი. თუმცა, რად უნდოდა, რაში სჭირდებოდა, ის ხომ ისედაც ლამაზ გულს ატარებდა.

დილის მაღვიძარა ისევ რეკავდა. ხანა ისევ შესცქეროდა კედელზე ზღვას. არადა, არასოდეს ყოფილა ზღვაზე. მეუღლეც ქურთი ჰყავდა. სიკვდილამდე ჰპირდებოდა, ერთად წავალთ, ცოტაც მაცადეო, მაგრამ ვერ მოასწრო. მასზე დაწერილ ლექსებს ბუტბუტებდა და თან სურათს უცქეროდა:

არ მემორჩილება ეს ცელქი ფიქრები,
გამირბის, ვეწევი და ველარ ვაკავებ.
ვიცი, რომ არასდროს ერთად არ ვიქნებით,
ვიწყებ შემართებით, სათქმელს ვერ ვამთავრებ...

მართლაც ვერ ამთავრებდა. ცრემლები ახრჩობდა. ასე გამოიტირებდა ხოლმე ხანა თავის სიყვარულს ყოველდღე...

ქალაქს ეძინა. მქრქალი ლამპიონები სუსტად ანათებდა ქუჩებს... ხანას კი მიეჩქარებოდა იმ დღის თავგადასავლებისკენ. მიეჩქარებოდა, რომ ახალგაღვიძებული თბილისელებისთვის სუფთა ქალაქი დაეხვედრებინა. ამ საქმეს მის გარდა ხომ ვერავინ გააკეთებდა?!

# ქალი - გულში ქინძისთავით

აჩიკო ჩემი მეზობელი იყო. სულ კალათბურთს თამაშობდა ეზოში. მთელი უბნის ბიჭები შემოეხვეოდნენ ხოლმე და იდგა ერთი ამბავი. ერთხელ, სკოლის ეზოშიც მოაწყვეს კალათბურთელთა შეჯიბრი. ბევრიBბავშვი ვიყავით. გვაფრთხილებდნენ, როცა დიდები თამაშობენ, ფეხებში ნუ ებლანდებითო. მე მაინც დავიხლართებოდი შორიახლოს და მარცხიც მომივიდა. აჩიკო შემთხვევით შემეჯახა და წამაქცია. ფეხი გასისხლიანებული და გადაგლეჯილი მქონდა, საშინლად მეწვოდა. სიმწრისგან და ტკივილისგან ვღრიალებდი.

– რა გჭირს, გოგო, ეს რა მიქენი, შე ლაწირაკო, არ იტირო, გეხვეწები, მაჩვენე, სად გტკივა, – თავზე დამდგომოდა შეშინებული აჩიკო და მტკივან ფეხს აკვირდებოდა. რაც ძალა და ღონე მქონდა, გავკიოდი. თანაკლასელები და სხვა ცნობისმოყვარეები გარს შემომხვეოდნენ. ყველა მიცოდებდა. მერე აჩიკომ ცხვირსახოცი შემომახვია ფეხზე და ხელში ატატებული სახლისკენ გამაქანა. თამაში სხვებმა გააგრძელეს, მაგრამ აჩიკოს გუნდმა, „განთიადმა“, წააგო და ამაში მე დამადანაშაულეს. ამის შემდეგ, რამდენჯერაც ვნახავდი აჩიკოს, იმდენჯერ მავნებელს მეძახდა, ჯერ ფეხს მოიკითხავდა, მერე კი, ჩემს წარმატებებს სწავლაში. კარგა ხანს დავდიოდი მუხლშეხვეული, შებინტული. ახლაც მეტყობა ნაწიბურის კვალი.

ამბობდნენ, აჩიკოს მასზე ბევრად უფროსი ქალი უყვარსო. ლამაზი კი იყო ის ქალი. ქერა, გრძელი თმა ჰქონდა. თვალები ფერს იცვლიდა, ხან მწვანე იყო და ხანაც რუხი. – ცოლად არ მოიყვანს, აბა, ოჯახს თავს ხომ არ მოსჭრის, მასზე 15 წლით უფროს ქალს როგორ შეირთავს, მშობლებს ასე როგორ შეარცხვენსო, – ამბობდნენ.

ხალხში ერთად არ ჩნდებოდნენ. მხოლოდ ერთხელ ვნახე ლიანდაგებზე. აჩიკო და მისი საყვარელი ქალი ერთად მოდიოდნენ, ხელიხელჩაკიდებულები. ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ და გულიანად იცინოდნენ. ისე ჩამიარეს, ვერც კი შემამჩნიეს. მე კი თვალი გავაყოლე, ავათვალიერ-ჩავათვალიერე. მათ შორის განსხვავება ასაკში ვერც შევამჩნიე, უხდებოდნენ ერთმანეთს. იმ ქალს გულზე დიდი ქინძისთავი ეკეთა და ყურებზე – გრძელი საყურეები, თვალის გუგის გამოსახულებით. მეც მინდოდა ასეთი დიდი ქინძისთავი და საყურეებიც, მაგრამ მსგავსი არსად იყიდებოდა. ბებიამ მითხრა, ქინძისთავს იმიტომ იკეთებენ, რომ თვალი არ ეცეთ, თვალსაც ამიტომ იკიდებენო.

რამდენ ქალს აცნობდნენ აჩიკოს, რამდენს ურიგებდნენ, რამდენს მოსწონდა, მაგრამ არ ირთავდა. ასე გადიოდა წლები...

რკინიგზის ხაზი სახლთან ახლოს იყო. მეც ძალიან მიყვარდა ლიანდაგებზე სირბილი, ამიტომაც ხშირად ვსტუმრობდი. ყველა მატარებლის მოსვლით მაშინებდა. მაინც დავდიოდი, დავბოდიალობდი, ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა მატარებელი, სწორედ ეს წამები მხიბლავდა, ის განსაცდელი მომწონდა, მისი ხმა რომ თესავდა ჩემში... და კიდევ გზა, რომელიც მიდიოდა, მიდიოდა და არ ვიცოდი, სად მთავრდებოდა...

ერთხელ აჩიკო შემხვდა ლიანდაგებზე. ამჯერად მარტო იყო. მიცნო. თვალი მუხლისკენ გაექცა და გაეცინა, მეც გამეცინა.

– არ გეშინია, მავნებელო, მატარებლის? – მკითხა. თავი გავაქნიე, არა-მეთქი. მეტი არაფერი უთქვამს, არც მოვუკითხივარ. სულ ეს იყო. თავჩაქინდრული, მოწყენილი მიაბიჯებდა. ეგებ, იმ ლამაზ ქალთან მიდიოდა, ასე რომ მალავდა საგულდაგულოდ. დიდი ნაღველი იდგა მის თვალებში.

ახლახან გავიგე, აჩიკო მომკვდარა. მასთან ყოფილა იმ დღეს, იმ ლამაზ ქალთან სახლში, როცა სიკვდილმა მოაკითხა და წაიყვანა. რაღაც მეტკინა სულში. გულმა ლიანდაგებისკენ გამიწია. მივდიოდი. მატარებელი არ ჩანდა. სიწყნარე იყო ირგვლივ. მარტო ვიყავი. ზურგში ვიღაცის მზერა ვიგრძენი. მოვიხედე, მიცქერდა. უშვილოდ, უქმროდ, უიმისოდ ძალიან დაბერებული. გულზე ქინძისთავი ეკეთა, ყურზე ორი თვალი უელავდა... ვინ იცის, ეგებ იმიტომაც, რომ თვალი არ სცემოდა.

ის მატარებლის მოლოდინში დარცენილი ქალი იყო, ქალი - ლიანდაგები... მიაბიჯებდა უშიშრად რელსებზე, არ ენაღვლებოდა და არ ჰქონდა მატარებლით სიკვდილის შიში. დაკარგული სიყვარულის შიშზე მეტი რა უნდა ყოფილიყო!

რა ნაცნობი იყო ეს თვალები, აჩიკოს თვალებიდან გადმოსული და მისთვის საჩუქრად დატოვებული ნაღველით – ხან რუხი, ხანაც მწვანე ფერებით.

ბატონო ავთანდილ,

მოგმართავთ, როგორც ქართული კულტურის, ქართული მხატვრული სიტყვის მოამაგე კაცს! 2008 წლიდან (ჩვენი პირველი შეხვედრიდან) ვაკვირდები, თუ როგორი რუდუნებით ეძებთ ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედებს, რათა გააცნოთ საზოგადოებას, გზა გაუხსნათ მკითხველისაკენ.

სულ ახლახანს, „ფეისბუკით“, აღმოვაჩინე ახალგაზრდა პოეტი ქალი ნათია ჭინჭარაული. ორი თვის მანძილზე ისეთი ლექსები „მოაყოლა“ ერთმანეთს, დავრწმუნდი: ახალი შესანიშნავი პოეტის დაბადების მოწმე გავხდი.

თუ დამეჯერება, ასეთი ლექსებით პირველი განაცხადი ძალზე ცოტას თუ გაუკეთებია.

გიგზავნით მისი ლექსების ერთ ნაწილს და მისსავე ფოტოებს. მოხარული ვიქნები, თუ „ლიტერატურული მესხეთი“ თავის ფურცლებს დაუთმობს ნათია ჭინჭარაულის შემოქმედებას.

*ულრმესი პატივისცემით,*

*დიმიტრი კორძაია*

თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი



# ნათია ჭინჭარაული

***

მე არც არასდროს არაფერს ვმალავ,
ყველა ტკივილი უნდა იტირო.
მერე ყოველთვის მონახავ ძალას
იარო ქარის საპირისპიროდ.
ეხლა როდესაც ძველ წერილებს
ვკითხულობ,
ვსუნთქავ,
მძაფრად ვგრძნობ მამის ჩამოქნილ თითებს,
და ის, რაც არის ყველასთვის მუქთა,
ასე უბრალოდ არ მაქვს და
ვითმენ.

***

დღეს კი არა წვიმს, ცა ქალივით
უფრო სლუკუნებს,
არ გაგეყინოს ცხელი გული მიწის ციებით.
თორემ ხომ ხედავ
დედამიწა და საუკუნე
სავსეა ხალხის უმართავი ამბიციებით.
გამონაკლისებს თუ იპოვი
ისიც იშვიათ,
მიწის ზედაპირს ვინც დაურჩა
თავს არ დაზოგავს.
მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთის ჩუმი შიშია
და ერთი დიდი სასაცილო
ოინბაზობა...
შენ არ იდარდო,
არც მე ვდარდობ, ფეხზე მკიდია
ვკითხულობ
ვაჟას,
ჯაბუშანურს,
ანას,
ტიციანს.
თუ ეს სამყარო ვიღაცისთვის ძალზე დიდია,
მისი სიმწირე, დამიჯერე, მკვდრებმა იციან..

***

მზე
გამჭვირვალე
ჭიუხების
ჭებში,
ბრჭყვიალებს.
წელზე ეხსნება ოქროსფერი
სხივთა ბალთები.
წინათ ღრუბლებმა
იყიალეს,
იხეტიალეს
და ზეწრებივით აიფარეს მთების კალთები.
აქ ჩვეულებრივ
ტანსაცმელი
ბალახის სუნით,
გაგეჟღინთება და სიზმრები
სხვის ძილს ბარდება,
შემოდის ნისლი ქისტეთიდან,
როგორც მუსლიმი
და შენს თვალებთან
შეხვედრისას ქრისტიანდება.
დრო მოჭმულ მიწას წვიმა ალბათ
ყელსლა დაულბობს,
წლების წვალება სწრაფლწარმავალ
წყალმა წალეკა
შენ ვერ გაიგებ, თუ არ ნახე,
რაზე ვსაუბრობ,
ქარი ვარსკვლავებს შეუბრუნდა
გადმოსარეკად,
გაღმით...

***

შენ სვამ ბევრ კითხვას, უფრო ნაკლებს
ილებ პასუხებს...
შენ სვამ....
მე ვამბობ: უფრო მეტად უნდა გჯეროდეს!
ნუ შეგაწუხებს
ნურაფერი, ნუ შეგაწუხებს –
ქრისტეშობისას მისი მოკვლა სურდა ჰეროდეს
და ეს ვერ შეძლო...
რა მოხდებოდა, რომ გვეფიქრა ამაზე ადრე...
და უფრო ნაკლებ დაეჯერა „სხეულს სისრულე
“...
და თუ წასვლაა, მოიხურე ნისლის ნაბადი,
მზის ჩასვლასავით დიდებულად წასვლას
გისურვებ!
რა მოხდებოდა უფრო მეტად გვჯეროდეს
გზების?!
რაც გინდა მითხრა, მე ყველაფერს ვერ
მოვინელებ,
ჩვენი სულები, როგორც მინდვრის
მზესუმზირები,
დგანან
და ცაში ნაწილ-ნაწილ მიაქვთ ფრინველებს...

***

ჩემზე ნუ დარდობ, დედაჩემო,
ჩემზე ნუ დარდობ,
ჩემს ყველა სიზმარს
ფეხაკრეფით ნუ მოსდევ უკან,
მე ამ სიცოცხლეს ვთანაფარდობ,
ყველა პირობით,
რომ შენი ხსოვნაც არ გავხადო
სიკვდილის ლუკმა.
არა ვარ ისე, ზოგიერთი
გზას რომ ვერ აგნებს,
რაღა დანაკარგს
დავიჩივლებ
ხილვამდე მიზნის...
შენ ნუ იღელვებ,
ჩემს ცოდვებზე პასუხს მე ვაგებ:
მხარზე ლექსებზე დაგეშილი
მიმინო მიზის!

***

სიტყვების ნაცვლად ამომდის ორთქლი..
გაყინული მაქვს თვალების უპე.
ნატყვიარივით ღრმასა და მოქნილს
ვგრძნობ იმ დღეს, როცა
შენ დაიღუპე.
გულის მაგივრად
მე ქვა მაქვს რადგან,
მსგავსი სიმძიმე არ მოიძებნა...
დღეს ისევ მტვრიან ქარივით ჩადგა
ჩემი უშენოდ გამოღვიძება...

***

ჩემი სიცოცხლე სასწორზე დავდე
(აქ ირონია არც ერთი გრამი)...
უბრალოდ, მინდა ძალიან გგავდე
რომ დანაკლისი შევივსო რამით.
მზე ქალწულივით გაუშიშვლდება
ოთახს, როდესაც გადავწევ ფარდას...
შენ ხელს ვერაფრით ვერ შემიშლიდი
შენი არყოფნის გარდა...

## მამაჩემი

ერთმანეთს თურმე ვგავართ ძალიან...
თუმც ჩემი წილი სიყვარული ვერ დაიცავი...
ღმერთმა განსაჯოს, ვისი ბრალია,
რომ ერთმანეთი
ვერ გავიცანით...
შემომრჩა ფოტო
დრომოჭმული
და გაცრეცილი,
მაქვს შენი სახის მოყვანილობა,
შენ არ გიგრძვნია ჩემი სიცილი,
მე არ მიგრძვნია შენი ჭრილობა...
და ვინც კი მიცნობს,
ამსგავსებს იერს,
იერს, რომელსაც მოედო ჭირხლი,
მითხრეს,
სამშობლო გიყვარდა ძლიერ
და აფხაზეთში დაღვარე სისხლი...
სხვა რაც შემომრჩა
სულ ყველა ხედავს,
არ ვლაპარკობ
სისხლსა და გენზე,
დიდხანს ვუყურე შავოსან დედას,
სანამ მეორედ გათხოვდა შენზე...
ერთმანეთს თურმე ძალიან ვგავართ!
ასე ამბობენ,
უნდა ვისმინო...
იქნებ მეც სწორედ შენს გზაზე ვდგავარ
და ეს სიცოცხლე ვერ მოვითმინო?!

***

ზამთარმაც თოვლი თუ არ ჩამოცრა
არ გაიყოლო
წყენა სამი თვის,
ყველა ვგრძნობთ რაღაც ისეთ საოცარს,
რაც გვინდა მხოლოდ ჩვენი თავისთვის!

***

გამბედაობა ჭირდება ისე,
თუკი მიმიზნებ
მომიღე ბოლოც....
რადგან ზურგს უკან მოზიდულ ისრებს
ხელის გაშვება აკლია მხოლოდ.
ადრე თუ გვიან
მიწას გავცდები,
როგორც ეს წყალი ცდება კალაპოტს,
გამიცივდება ცაში განცდები
და მოვა თოვლი სალაპარაკოდ...

***

გასაკვირია,
ხელს არ მიშლიდეს
მუქთა დღეების წესი, რიგობა?!
ვხედავ ქაოსშიც ჩემს წილ სიმშვიდეს
და სიმშვიდეში უწესრიგობას..
ვგრძნობ, ყველაფერი კარგად იქნება
და მაინც ღმერთმა თუ არ ინება,
სხვა გზა ისწავლეს ძველმა ფიქრებმა,
ახლანდელებმა კი – მოთმინება!

***

კვლავ აგიშალა გზნებამ ახლიდან
ძალაუფლების ფართე ფაფარი
(სიტყვით, რომელიც შენი სახლია,
შენი ჭერი და თავსეშაფარი)!
რადგან ჩემდამი ღელვა და რიდი
შენში ყველაფერს სანამ შეცვლიდა,
როგორც ფრინველი, ისე გავფრინდი
შენი თვალების ლურჯი ზეციდან...

***

*(სიზმრისეული მოზაიკის ფრაგმენტები)*

კარგად ვცნობ მზერას თვალში მოხვედრილს
ზოგისთვის სწორს
და ზოგისთვის მრუდეს...
შენ საკმარისად გვიან მოხვედი,
იმისათვის რომ უკან დაბრუნდე.
....
ადამიანებს არაფერი არ უნდა მისცე...
მხრებზე ისედაც ამ ცხოვრების
აწევთ სიმძიმე.
ვცხოვრობ ქალაქში,
სადაც ისე ცოტაა სივრცე,
რომ ამ ღამითაც შენ სიზმრებში გამოვიძინებ.
....
დგანან და დგანან
არა მყარად, ჩემსავით უჭირთ...
სხვა ბედისწერის ზღაპრებს ყვება ვიღაც
ტეტია...
ამ ცხოვრებაში ოცნებაა ყველაზე ფუჭი
და ასრულება, ალბათ, უკვე, მეტისმეტია!
...
მძიმედ ვაბიჯებ ჩემს ბილიკებს,
ცის იქით სავალს...
ბედის წერილებს აღარც ვუცვლი უკვე
თარიღებს,
მე მეამბოხედ დავიბადე და ასე წავალ,
წავალ და თქვენთვის დამითმია ეს სიღარიბე!

***

მან რომ დამტოვა,
ომი იყო, ნამდვილი ომი!
და დედა დარჩა შავოსანი, ამორძალივით...
გახდა ქვეყანა ჯერ ბნელი და მერე სოდომი...
გახდა ქვეყანა ჯერ უცხო და მერე ძაღლივით
მოგვიგდეს ლუკმად:
ეს დღეები, წუთები, წლები...
დრომ თავისი ქნა, ნაადრევად დაგვაფრთიანა...
იყო სიცივე, უშუქობა, მილეწ-მოლეწილ
სახლებს ვათბობდით და მერე კი, მერე
მთლიანად,
გადაივიწყეს ყველაფერი... ის რაც გვეძნელა
და დარჩა ოხრად მიწის გულში ჟანგიც და
რკინაც,
ცუდი დრო იყო... იყო ომი... ტყის პირს ენძელებს
მაინც ვკრიფავდი, გული უფრო,
რომ არ მეტკინა
დედაჩემისთვის...
რომ მაწვდიდა ლუკმას უბიდან,
და მერე ერთად ვაგროვებდით ფიჩხებს,
გირჩებსაც...
ვანთებდით ღუმელს და ...
ვფიქრობ რომ
იმ საუბრიდან
ამ საუბრამდე
ის ტკივილი არ მომირჩება..



***

ასე ყოველთვის ბევრი ხალხი
ირევა ჩემს წინ,
არ არის ჩემთვის
ჩარჩოები,
წესები,
ნორმა,
მერე რა, თუკი თქვენს სიმდაბლეს
ჯერაც ვერ შევწვდი
და ტყვიასავით გამიარა
ბეჭებში ჭორმა!
სიზმრებიც ისე შავთეთრი მაქვს
სიცივე ატანს...
წყალი მითრევდა
ამღვრეული
და გაორება...
დღეს ისევ მოვა ღამე,
როგორც გრძნეული კატა,
მოვა და ისევ ჩემს ფეხებთან გაიზმორება..

****

დეკემბრის ქარი
არ მითმობს წუთს რომ
მომგვაროს შვება,
გამიქროს ურვა,
და უკულმართი ჩემი საწუთრო
ახლა სხვებისთვის აგრძელებს ბრუნვას.
ჩემი ნაწილი
უკვე განვდევნე,
უკვე დატოვა მიწის საუფლო,
შენ კი მოდიხარ და მერამდენედ
ცდილობ რამეზე
გამესაუბრო...
იგრძნეს ფიქრებმაც შიში ირემის –
ნატყვიარ გულზე მიწის შეხება...
და როგორც ღამის ნანადირევი
ისე მოგიგდე ლექსი ფეხებთან!

***

*გელა არაბულს*

ვართ სხვა ჰაერით გაჟღენთილნი...
სისხამ დილიდან
ვსვამთ და
ყველაფერს ხომ ცოტა ხნით მაინც მოვეშვით...
მე არ მეგონა თუკი ვინმე შემომივლიდა
ამ უდღეურ და გაუსაძლის
სიმარტოვეში...
დღეს შემოდგომა მომიკაზმავს
ზამთრისთვის ლეჩაქს,
ფხვიერი მიწა ფოთოლთ ფერით დაიფარება,
მამის ნაქონი პერანგივით ალალად შეგრჩა
პოეზიასთან სიმარტოვის აღიარება..

***

ამ ლექსებისთვის ტყუილად მაქებთ
ვის გაუგია გიქონ ტკივილი?!
თითქოს დაღმართზე დაეშვა თავქვე
კივილი მძაფრი ქარტეხილივით.
ველარ ვანსხვავებ ცხადსა და ბურანს,
გამიძელ სახლო, მიწით ნაშენო...
ეს დედამიწაც, თუ კიდევ ბრუნავს,
იბრუნოს ჩემი სიტყვის გარშემო!

***

ისეთი ჩუმი ღამეა ახლა,
რომ ჩემი ფიქრიც კი
ხმაურს ბადებს,
მე მინდა ვიყო თოვლი შენს სახლთან
და ამ თოვლივით მართალი ცამდე.
მაგრამ ვეკუთვნი ავბედით ქარებს
ან მათ აჩრდილად დარჩენილ სიოს,
რომ შეუკერეს თოვლის სტიქარი
და ამზადებენ საეკლესიოდ.
შენ არ გენიშნოს სიჩუმე ავად,
ეს მე ვგრძნობ,
ფიქრი როგორ ხმაურობს,
სადღაც ეს ლექსიც კი მე ვარ თავად –
უადგილო და უსათაურო....
განა მჭირდება ნუგეში ყოვლის
ამდენი ცუდის და ცოდვის ჩამდენს?!
ეს შენთან მინდა რომ ვიყო თოვლი
და ამ თოვლივით მართალი ცამდე.

## ძმა

ამაზე არცვინ არ კამათობდა
რომ დავიბადეთ ორნი
სხვადასხვა,
შენა ხარ როგორც სიტყვა – დათმობა,
და მეკი უფრო სიტყვა – თავდასხმა!
ანგელოზებმა წილი იყარეს,
ეშმაკს აუგდეს ვერცხლის მონეტი,
რადგან შენ გაჩნდი როგორც – სიწყნარე,
მე დავიბადე – როგორც პოეტი!
არ გვაქვს მიზეზი ეს ხელს გვიშლიდეს
( უწონადობა მიწის ხაოსი),
რადგან შენა ხარ სიტყვა – სიმშვიდე,
და მე ვარ როგორც სიტყვა – ქაოსი!
შენ როგორც
მტკნარი ზღვა, ისე დგახარ
და ერთ ოქროს თევზს იზრდი უბეში,
მე ვისმენ
ქვეყნის ბორგვას და ხარხარს
შენი მკლავების
სიმსუბუქეში.
შენ ყველაფერი გერგო ორმაგად,
ორჯერ იწვნიე სიკვდილის ხელი,
მეც ჯაშუშივით კარზე მომადგა
როგორც მოკეთე და
მომკითხველი...
თავებს ვერაფერს ველარ ვშველოდით
ან ერთმანეთის ველარ გავიგეთ:
შენა ხარ, როგორც სიტყვა – შემოდი,
და მეკი, როგორც სიტყვა – წავიდეთ!

# როლანდ თოფჩიშვილი

## *(ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში)*

*(გაგრძ, დასაწყ. იხ. N 11-12 2016; 1-3 2017 წ.)*

ჯავახეთიდან ქართლში მიგრაცია ასახულია 1785 წლის ყმის დაყენების წიგნში, რომელშიც ვკითხულობთ: „ესე წიგნი მოგეცი მე... შვილმა შენ, ივანე მჭედელსა და შენს ძმასა ბერსა და შვილსა თქვენსა მახარასა და გოგიასა და იასესა; – ასე რომ, პაპა ჩემს საამს ორი საკონმლო მამული ეყიდა *ეზატსა* და (?) *გუდალეთს დავით ზაალიშვილისაგან*. ამ ივანე მჭედლის მამა ზედ დასახლებულიყო. **აწაყა ამ ივანეს მჭედლის მამა ჯავახეთიდამ გადმოსული იყო.** მე აღარ მეყმო. ჩემი მამული მე დავიჭირე და ამა კაცს თავი დავანებე, ვისაც უნდა ეყმოს, ნება ხემწიფისა არის და თავისი“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, თბ., 1953, გვ. 135-136). ცნობისათვის, *გუდალეთი* და *ეზატი* ქართლის გაღმა მხარის სოფლებია *კავთისხევში.* საბუთი 1785 წელსაა შედგენილი, მაგრამ ჯავახეთიდან ივანე მჭედლისა და მისი ძმის, ბეროის მამა უფრო ადრე ყოფილა გადმოსახლებული.

საინტერესოა, 1792 წლის „არზა მიცემული *მჭადიჯვრელი გიორგი როსეფაშვილის* მიერ *ერეკლე II*-ისადმი“: „ქ, ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მჭადიჯვარს მოსახლე *როსეფაშვილს გიორგის* მოსცეს. ჩემო მოწყალევ, მე ჯავახეთიდამ *ვარძიის* დეკანოზიშვილი გახლავარ. ერთი ყმაწვილი შვილათ ამიყვანია და გამიზდია. *ციციშვილი ზაქარია* რომ აქედან გაიქცა, მაშინ *მჭადიჯვარს* ამ ჩემის შვილით გეახელ. ახლა *ბეჟან რატიშვილი* მეჭიდება და ამ ჩემს გაზრდილს შვილს მართმევს, ჩემის ყმის ბიძაშვილი არისო. ჩემო ხელმწიფევ, მე არც მაგისი ყმობით წამომიყვანია და არც სხვისა. **ჯავახეთს ობოლი ამიყვანია და შვილათ გამიზრდია და ამაგი დამიდვია.** მაგას რა საქმე აქვს, ეს ბიჭიც დაკარგვის გზაზე დამდგარა“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, თბ., 1953, გვ. 168).

როგორც ჩანს, *თარხნიშვილები* აქტიურად ავსებდნენ თავიანთი ყმების რაოდენობას ჯავახეთიდან გადმოსახლებულებით. ამის დამადასტურებელი რამდენიმე დოკუმენტი ზემოთ მოვიყვანეთ. ჯავახი გლეხის *თარხნიშვილებთან* მოსვლას ადასტურებს 1794 წლის „ბატონყმობის წიგნი, მიცემული *ოქრუა ზერაკიძის* მიერ *ლუარსაბ თარხნიშვილისადმი*“: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე *ზერეკიძე ოქრუამ* თქვენ, *თარხნიშვილს ზაზას* შვილს *ლუარსაბს*; – ასე რომე, **კოთელიიდამ გეახელ და პური გთხოვე.** სამი კოდი პური მიბოძე. არც მიყიდნია და არც რუსი გისაყვედურებს. ამ მიზეზით, რომ შენი ბატონობა მინდა. **მაისს გადმოვიდე *კოთელიიდამ* და თქვენ *ზაზაშვილებს თარხანოვს* გეყმოთ. თქვენ გარდა არავისთან არ მივიდე**“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, თბ., 1953, გვ. 172). ამრიგად, ამ საბუთიდან აშკარაა, რომ ჯავახეთის სოფელ *კოთელიიდან* გლეხი *ოქრუა ზერეკიძე* ჯერ დროებით გადმოდის. *თარხნიშვილი* მას სამ კოდ პურს უბოძებს. ჯავახი გლეხი პირობას აძლევს *თარხნიშვილს,* რომ მაისის თვეში გადმოვა *კოთელიიდან* სამუდამოდ და მას ეყმობა.

სამცხის სოფელ *აწყურიდან* შიდა ქართლის ფრონეების ხეობის სოფელ *ღოღეთში* გადმოსახლებაზეა საუბარი 1645 წლის „შეწირულობის წიგნში მიცემული *როსტომ მეფის* მიერ სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი.“ გადმოსახლებულებს თან წამოუღიათ აწყურის ღვთისმშობლის ხატები და ჯვრები: „...მას ჟამთა ვითარებისაგან **სამცხიდამე *აწყურის* მღთისმშობლის საყმო აზნაურშვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყვნეს და *ღოღეთს* დაესახლებინათ** და, რაც ხატი, ჯვარი ყოფილიყო თქუენს ტაძარში დაესვენებინათ და სამაწყუერელოს კაცს თქვენთვის ემსახურათ და სხუას კაცს, არც ამირეჯიბის ნათესავსა და არც აგრე რიგს ვისმე, ღალის მეტს საქმეზედ *ღოღეთს* ჴელი ჰქონდეს და ამ წესით ემსახუროს. ვინ იცის, და სოფლის საქმე ასრე მოჴდეს, რომე საათაბაგიშვილოს ქრისტიანე მეპატრონე გამოუჩნდეს და აწყურის მღთისმშობლის ჯუარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მიასვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ დაუჭიროს, თუ არა და სხუას კაცს ჴელი არა ჰქონდეს. *რუსიშვილი რუსი*, სხუანი აზნაურშვილნი და გლეხნი თქუენთვის სამსახურად მოგიუხსენებია. ამის გარდაისად, რაც აგრე რიგი საყდრის ყმას გარეთ ანუ აზნაურშვილი და გლეხი ესახლოს, ისინიც ისრევ მოუშლელად იყუნენ და ნურცა სად დაიფანტვიან“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ნ. ბერძენიშვილის გამოცემა. თბ. 1949, გვ. 29). საბუთიდან აშკარაა, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ცდილობდა სამხრეთ საქართველოდან კომპაქტურად აყრილი და ამ შემთხვევაში ღოღეთში დასახლებული გლეხები პირველი შესაძლებლობისთანავე აწყურის ღვთისმშობელს დაბრუნებოდნენ.

სამხრეთ საქართველოდან ქართლში მოსახლეობის მიგრაციას XVII საუკუნეში ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი. ესაა 1695 წლის „ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული *გიორგი მეფის* მიერ *ბეჟან ჩივაძისადმი*“, რომელშიც ვკითხულობთ: „...ახლა ეს მამული კიდევ ჩვენ შემოგიმატეთ და გიბოძეთ კავთისჴეველს *თელათუბანს* ჯავახი *მექანარიშვილი* და *დათუნასშვილი თევდორა*...“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, თბ., 1949, გვ. 95).

1646 წლის საბუთით როსტომ მეფემ (1633-1668 წწ.) სუფრაჯ *ბაინდურ ტერაშვილს თრიალეთის* უწყალობა „ოხერი“ და სახასო *ახალქალაქის* აშენების ნება დართო და **უწყალობა მისი მოურაობა იმ პირობით, რომ სამცხიდან, ჯავახეთიდან და ლორედან მოესხა და აქ დაესახლებინა თავიანთი სურვილით წამოსული გლეხები**“ (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I. თბ. 1991, გვ. 343). იმავე როსტომ მეფემ 1654 წელს სვეტიცხოველს *თრიალეთში* შესწირა სახასო სოფელი *ზემო ბეშქენაშენი* **იმ პირობით, რომ თუ *ზემო ბეშქენაშენში* ჯავახეთიდან აყრილი კაცი შეეხიზნებოდა, მასზე სვეტიცხოველს არავინ შეეცილებოდა** (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 348-349). 1656 წლის საბუთით *ელიაშვილი პაპუნა* და **მისი შვილები: *ზაზუტა, ბერიკა, გიორგი ელისე თბილელს* ჯავახეთიდან მოუყვანია და *წინარეხში* დაუსახლებია.** აქედან მისი ოჯახი აყრილა და კახეთში წასულა. შემდეგში, თბილელის ბრძანებით, კვლავ *წინარეხში* დაბრუნებულან. ხოლო მოგვიანებით, თბილელს ისინი *კისისხევში,* დედოფლის მიერ ნაბოძებ მამულში დაუსახლებია (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 122).

1712 წლის „პირობის წიგნიდან მიცემული *გიგო მაჭავარიანის* მიერ *გიორგი დავითაშვილისადმი*“: „უნდა მოგაბარო მე *გიგო მაჭავარიანმა* შენ, *დავითაშვილს გიორგის* ერთი თუმანი თეთრი, ერთი ხბოიანი ძროხა. ორ კვირაზე მოგცე. თუ ვერ მოგცე, ისევ შენი *შიო ჯავახი* მოგცე“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, თბ., 1940, გვ. 149). ე. ი. აზნაური *მაჭავარიანი* ყიდულობს თავად *დავითაშვილისაგან შიო ჯავახს*, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის დროზე ჯავახეთიდან იყო გადმოსახლებული.

1750 წლის საბუთიდან: „*თარხნიშვილს ზაზას თაზიშვილი პაატა საგინაშვილს ივანესა* და მისი შვილებს *იესესა* და *რამაზას* ყმობის პირობაზე ელაპარაკებოდა, რომ ჩემი მკვიდრი *ხეკორძს* ნასახლები ყმა არისო და ავის დროისაგან ჯავახეთს გადასულიყო და დასახლებულიყოვო. მოვიდნენ ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს *მეფის ძეს ანტონთან ზაზა და პაატა*. ჩვენ ეს სამართალი განუსაზღვრეთ: ორს კაცსში ერთი კაცი შეუგდოს ზაზამა და თუ ის კაცი პაატამ შეაფიცოს ეს საგინაშვილები პაატას დარჩეს. და თუ ვერ შაფიცოს და ზაზას დარჩეს; რომ სხვას კაცს ამ *საგინაშვილთან* ხელი არავისა ქონდეს. **რადგან მკვიდრი ჯავახი ყოფილა და ზაზას გამოუყვანია, ისევ *ზაზასვე* დარჩეს**“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 387).

1760 წლის განჩინებით ასევე სადავო გამხდარა ჯავახეთიდან გადმოსული *ჩუტკერაშვილი ბერუას* კომლი, რომელიც აცხადებდა, რომ **„ჯავახეთიდამ გადმოვედით *ატენს,* ბატონის სამსახურში მოვედით და სამ წელიწად იქ ვიყავით“** (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 472). ამ საბუთში საუბარია იმაზე, რომ ჯავახეთიდან შიდა ქართლში *ჩუტკერაშვილი ბერუას* პაპა ყოფილა გადმოსახლებული.

1769 წლის განჩინებიდან *თამაზა სავანელის* სასისხლო საქმეზე: „ესე განაჩენის წიგნი დაგიწერე და გიბოძე მე, მილახვარმა ძმამ *აბაშიძე ნიკოლოზ* შენ, *სავანელს თამაზს,* ასე რომ **ჯავახეთიდამ ორი ამოსული ბიჭი მყავდა – *ხიზანა* და *ივანიკა.*“**

1766 წლის არზა *სვიმონ ამირეჯიბის* ყმის თაობაზე *ერეკლე II*-ის ოქმით: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი *სვიმონ ამირეჯიბს* მოსცეს. მერე ამას მოვახსენებ ჩემს ხელმწიფეს. მამის ჩემის წილი მამული ჩემს ძმას უბოძეთ. *ასპანის* წილი *მახვილაძეს* უჭირავს. ხუთი წელიწადი არის წართმეული მაქვს და ჯერ ხელმწიფისათვის არ მამიხსენებია, რომ არ ეწყინოს. აგრე როგორ გავგიჟდი, რომ შენს სახასო ყმას გომარელს კაცს შემოგეცილე. *ნაღვლი* და *გომარეთი* დიაღ შორიშორს არის. ჩემი ყმა *ჩაჩანიძე* აყრილიყო, ჯავახეთს გადასულიყო. **ჯავახეთი აიყარა, წამოვიდა. *ორჯონიკიძეს პაპუას* მოსლოდა. თათრები ყოფილიყო, პაპუა დაენათლა.** ხუთი წელიწადი იმასთან ყოფილიყო, ამისი არაფერი არ ვიცოდი რა. ამ ბიჭის ბიძა თამაზა მოვიდა, იმან შეგვატყობინა: შენი მემკვიდრე ყმა ვარ და *ორჯონიკიძე* არ მიშვებსო. მივედი და არ დაგვანება. თქვენ რომ აზატ ხანზე წაბძანდით ერევანს, ვიჩივლეთ მეფესთან. ასე უბძანა: ეს კაცი ამის ყმობას ამბობს, მემკვიდრე ყმა ვარო და ამას როგორ წავართოვო. ხიდირბეგ იასაულათ მომცა, ავყარე და წამოვიყვანე. სანამ *ალი* წახდებოდა, *ნაღვლს* მახლდა. *ალის ციხეში* რომ დავილუპე, მე ველარ შევინახე, დავითხოვე, კახეთს წავალ, მოჯამაგირედ დავდგებიო. *ჩალაუბანს* იდგა სხვისშვილათ. ცოლი შეურთეს. ახლა თქვენთვის მოუხსენებია, გომარელი ვარო. თქვენიმც თავი გამიწყრების, თუ ამის მეტად გამეგონოს. გუშინწინ ლავარსაბ ოთხ თუმანი მაძლივა, ეგეც არ ახლდა და არ მივეცი; თუ ჩემი მემკვიდრე არ იყო რათ მაძლივა“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 103).

ეს საბუთი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში საუბარია ჯავახეთიდან მოსახლეობის აყრაზე. როგორც ჩანს, ქართლში ჯავახეთიდან მხოლოდ ქრისტიანები როდი გადმოსახლდებოდნენ. მაჰმადიანი ქართველებიც მიგრირდებოდნენ და გადმოსახლების შემდეგ ქრისტიანდებოდნენ (**„ჯავახეთი აიყარა. წამოვიდა. *ორჯონიკიძე პაპუას* მოსლოდა. თათრები ყოფილიყო. პაპუა დაენათლა“**).

1770 წლის „არზიდან *იოსებ მამაცაშვილის* ყმის თაობაზე *ერეკლე II*-ის ოქმით“ ირკვევა, რომ ჯავახეთიდან გადმოსახლებული ჯავახი ჯავახეთს დაკარგულა, სადაც ტყვედ ყოლიათ და ყირიმში გაუყიდიათ: „ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ხემწიფის ჭირი მერმე მათ მიწა-მტვერს *მამაცაშვილს იოსებს*. მერმე ამას მოვახსენებთ. **ერთი ჯავახი ჯავახეთს დაიკარგა და ყირიმში გაეყვანათ.** იქ ტყვეთ იყო. იქიდან მოვიდა საქართველოში, თქვენ საფარველ ქვეშ გახლდათ. ნეტარხსენებულს მამის თქვენის ოქმი ქონდა, ვისაც უნდა ეყმოსო. ჩემთან მოვიდა, თოთხმეტი წელიწადი ჩემთან იყო ის კაცი, ბატონყმობის პირობაზედ მემსახურებოდა და არავინ მომდევნებია. ახლა ის კაცი თქვენის ჭირის სანაცვო შეიქმნა; ერთი პატარა ბიჭი დარჩა, შვიდი წელიწადი არის მე ვზრდი. ახლა *დოლმაზაშვილი* მომიხდა შინა და თავის თავათ ბიჭს მართმევდა, ჩემი ნამუხლარი ყვანდაო“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. ი. დოლიძის გამოცემა. თბ. 1981, გვ. 164).

ახლა 1773 წლის დოკუმენტში – „არზა რუსთაველისა მამულის თაობაზე *ერეკლე II*-ის ოქმით“ – ჩავიხედოთ: „ჩუმლაყში, დიახ, ბევრი ბეითალმანი არის მოპარული და ქვევრებიც ბევრი არის მოპარული და დაყიდული. ქვევრი და მარანი გაწყობილი მისცემია რომ დასახლებულან ეკლესიის მამულზე. **ეს კაცნი ზოგი ოსეთიდამ არიან ჩამოსული და ზოგი ჯავახეთიდამ**“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 233).

ვფიქრობთ, არავითარი კომენტარი არ სჭირდება 1774 წლის „არზას ბარალეთელი გლეხებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე მეორის ოქმით“: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი თქვენს **ყმას ბარალეთიდამ მოსხმულს ღვინიას, *გოგიას, გლახას, ბეროასა, ნასყიდასა, ივანესა* და *მამასახლისაშვილს გიორგის* მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებთ: თქვენ რომ ასპინძას გაიმარჯვეთ, ჩვენ ბარალეთიდამ ექვსი კომლი ავიყარენით და აქ გიახელით.** თქვენი ბძანება იყო, რომ ხიდისთავს უნდა ვყოფილიყავით. *ხიდისთავი* ხომ მტრისაგან წახდა, ახლა სამი კომლი *სასირეთს* გახლავართ, ორი კომლი *მეტეხს*, ერთი კომლი ხანდაკს გახლავართ...“ „საცა ვდგავართ ყველგან ძალას და უსამართლოს გვიშვრებიან, თავიანთ მემკვიდრესთანა ჭირს გვაწევინებენ; ამ ქვეყანაში, ლამის მეორეთ საურჯულოდ გაგვხადონ. თქვენად გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ერთ ადგილში, ქართლში იყოს თუ კახეთში, დაგვაყენეთ, რომ ან თქვენ სამსახური შევიძლოთ ან ჩვენი თავი შევინახოთ. ჩვენ ჩვენის ნებით ზემო ხოდაშენს გვინდა დგომა და რომელიც თქვენი ნება არის, ის უნდა ასრულდეს“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 243).

ამრიგად, როგორც ჩანს, *ასპინძის* ბრძოლას სამცხე-ჯავახეთიდან ქართლ-კახეთში მართლმადიდებელი ქართველების გადმოსახლება მოყოლია, კონკრეტულად კი მოყვანილ საბუთში სოფელ *ბარალეთიდან* გადმოსახლებულ ექვს კომლზეა საუბარი. აშკარაა, რომ ჯავახეთიდან მიგრირებულები მეფის ყმობას ირჩევენ, ამასთანავე მათ დასახლების სურვილი აქვთ უფრო კახეთში, ვიდრე ქართლში.

ზემოთ რამდენიმე საბუთი მოვიყვანეთ, რომლებითაც ჯავახი გლეხები შიდა ქართლის გაღმა მხარეში, თავად თარხნიშვილების სამფლობელოში, სახლდებიან, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო ამ რეგიონის ჯავახეთთან გეოგრაფიული სიახლოვით. შიდა ქართლის გაღმა მხარეში ჯავახეთიდან მიგრაციის დამადასტურებელია 1780 წლის „არზა *ზაზა თარხნიშვილის* ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით“, რომელშიც ვკითხულობთ: „ღმერთმან *ბატონიშვილის გიორგის* ჭირი მოსცეს *ზაზას თარხნიშვილს*. მერე ამას მოვახსენებ: **მერმე ერთი კაცი ჯავახეთიდამ მამივიდა *გუდალეთს*.** ეს *გოგია ბიჭი* იქ დაიბადა, შაიქნა. ამ ბიჭმა ასე იჩივლა: მამაჩემი *გუდალეთს* გარდმოვიდა, ათი წელიწადი იქ დაყო, მაგრამ მასუკან აქა-იქ დავიარებოდით, ზაზას ყმა არ ვართ. ზაზა ასე ჩიოდა: ეს ბიჭი ჩემს სოფელში დაიბადა, იქ იდგა. **ჯავახეთიდამ გადმოსულ კაცს ვინ მედავებაო, ჯავახეთიდამაც ჩვენ გარდმოვიყვანეთო მამა ამისიო.**“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 440).

1783 წლითაა დათარიღებული „არზა გიორგისა და *ოქრუაშვილებისა* ყმობის თაობაზე *ერეკლე II*-ის ოქმით“, რომელშიც ჯავახეთიდან კახეთში გადმოსახლებაზეა საუბარი: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴემწიფის ჭირი მოსცეს **ჯავახეთიდამ გადმოსულს *გიორგისა* და *ოქრუაშვილებს ბოდბისხევში* მსახლობელთ. *ივანე ბოდბელმა* იქ დაგვასახლა და წმინდა ნინოს ვეყმევით, საწირავიც მივართვით ბოდბელსა...**“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 599). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ჯავახეთიდან კახეთში მიგრირებული გლეხები საეკლესიო მიწაზე სახლდებიან, წმიდა ნინოს ეკლესიას ეყმობიან.

როგორც ჩანს, ჯავახეთიდან მიგრირებული გლეხები ცდილობდნენ, პირველ ყოვლისა, საეკლესიო მიწებზე დასახლებულიყვნენ. 1784 წლის ერთერთი არზით, მიგრანტი ჯავახი ქვათახევის ღვთისმშობელს სწირავს თავს: „ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ჭირი მოსცეს ქვათახევის მღთის მშობლის ყმას *ნარიაშვილს თეოდორეს*. **ორმოცი წელიწადი არის მამაჩემი ჯავახეთიდამ გადმოსულა და მღთისმშობლისათვის თავი შეუწირავს**“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 627-628). ამ საბუთში გადმოსახლების თარიღი – 1744 წელი – არის მითითებული.

ზემოთ ჯავახეთიდან *ჩუტკერაშვილების* გადმოსახლებაზე გვქონდა საუბარი. აღნიშნული გვარისანი ქართლში სხვებიც გადმოსახლებულან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1794 წლის „არზა *ნიკოლოზ ჩუთკერაშვილისა* ყმობის თაობაზე *ერეკლე II*-ის ოქმით“: „ქ. ღმერთმან მისის უმრავლესობის ყოვლად მოწყალე ჴელმწიფის ჭირი მომცეს თქვენ სამარადისო მლოცველს *ჩუთკერაშვილს* მღვდელს ნიკოლოზს. უმაღლესო ჴელმწიფევ, **ურჯულოს ქვეყნიდამ ამისათვის გიახლნენ მამა და ბიძა, რომ პირველად ქრისტიანობა უნდოდათ და მერე თქვენი ყმობა სურდათ. შენს საბრძანებელს ატენში გიახლნენ და ფურცელაძის ქალმა დანათლა,** რომ იმათი დამნათლავი დღეს ქალაქში გახლავსთ. გამოვიდა ათი-თერთმეტი წელიწადი, მერედში იმყოფებიან. ერთი ჩვენი სახლიკაცი *დემეტრე ციციშვილს* ყმათა ჰყვანდა და იმ აზრით მოვიდა, დავი დაგვეჭირა: თქვენც ჩემი ყმა ხართო. მამაჩემმაც ასე უთხრა: მე შენი ყმა არცა ვყოფილვარ და არცა ვარო. მაინც არ მოგვეშო, წამოვიდა და ნეტრად ხსენებულის მეფის თეიმურაზის იყო მოეტანა და ჰყრიდა. **მამაჩემი ახალი ქრისტიანე გახლდათ და აქაურის სამართლების გამოცდილება არა იცოდა რა.** მე პატარა გახლდით. ამას გევედრები დიდებულო ჴელმწიფევ! არც მამა ყოფილა და პაპა იმისი ყმა და ნურც მე დამკარგავთ. თქვენი ყმობა მსურს და უსამართლოთ ბატონყმობისაგან გამათავისუფლე. **და თუ არა მეშველება რა, კურთხეულ არის ღმერთი, სადიდამაც ჩემი მამა და ბიძა მოსულა, მეც იქ წავალ. მრავალი ქრისტიანე არის უსჯულოში ტყვეთ და მეც იქ წავალ**“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. ი. დოლიძის გამოცემა. თბ. 1985, გვ. 266).

როგორც აღვნიშნეთ, ეს საბუთი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ერთი ის, რომ სამხრეთ საქართველოდან („უსჯულო ქვეყნიდან“) მხოლოდ ქრისტიანები არ გადმოსახლდებოდნენ. *ნიკოლოზ ჩუტკერაშვილის* მამა და ბიძა, რომლებიც *ატენში* დასახლებულან, მაჰმადიანები ყოფილან და აქ მონათლულან. მეორე, ჯავახეთიდან გადმოსახლებულს მაინცდამაინც ხელმწიფის (მეფის) ყმობა უნდა და, როდესაც მას უსამართლოდ თავადი *ციციშვილი* ებრძვის, ჩემი ყმა ხარო, ისევ უკან აპირებს წასვლას, საიდანაც მისი მამა და ბიძა მოსულან.

საბუთიდან ჩანს, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ჯავახეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს თავადაზნაურები, რომ რაიმე შემთხვევის გამო, უკან არ წასულიყვნენ და არ „გათათრებულიყვნენ“. ამ შემთხვევაში, ალბათ, მაინც მთავარი ის იყო, რომ ქართლში დემოგრაფიული სიტუაცია უაღრესად კრიტიკული იყო და ბევრ ბატონს ყმა, მუშახელი ფაქტობრივად აღარ ყავდა. 1782 წლითაა დათარიღებული „არზა კაცია *ლომიტაშვილის* თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით“: **„ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴემწიფის ჭირი მოსცეს ჯავახ *ლომიტაშვილ კაციას*. მერე ამას მოვახსენებ: მე ჯავახი გახლავარ, იქიდამ ავიყარე და *რევაზს მეღვინეთხუციშვილს* ვეყმე,** იმასთან ვიყავ. მომივიდა ეშმაკის საფრჴე და სახლში თუ რამ ქონდა – ზანდუხჩა, საწვრილმანო ქალის, რაც მოვაჴელე, წავიღე, ისევ ჯავახეთს წაველ. საცხენისის მთაზე ლეკმა დამიჭირა და იმ ლეკმა ქარელი წაახდინა, მოგვეწივნენ ქარელნი და გაგვაყრევინეს. მე ამ დანაშაულის პატრონი ვიყავ, ჯავახეთს წაველ. რევაზ ჩემ სიმამრთან მისულიყო. **შენმა სიძემ რაც დააშავაო, ყველა მიპატიებიაო, ოღონდ არ გათათრდესო,** პატრიარქის წიგნიც აეღო უფიქრებლობისა, მენც ვენდევ და მოველ,




➔

# ეთნიკური ისტორიიდან



რუისის ღმრთაების კარზე შემირიგა, ჩემი დანაშაული ფერისცვალების ხატს აპატივა და მეც ბატონყმობის წიგნი მივეც“.

ჯავახეთიდან მიგრირებულნი ამა თუ იმ ფეოდალთან ყმად დამდგარნი, შემდეგ ცდილობდნენ ამ ყმობისაგან განთავისუფლებას და უფრო ღმობიერი ფეოდალის – ეკლესიის – ყმობაში გადასვლას. სწორედ ასეთი რამ ირკვევა 1786 წლის განჩინებიდან *გედევანიშვილის* ყმის ზურაბის საქმეზე: „ქ. *ჯავახი ზურაბა გედევანიშვილებს შოშიასა* და ბეციას სამართალში ყმობაზე ელაპარაკებოდა: მე ძველთაგან *ქვათახევის* ყმა ვყოფილვარო, ჯავახეთს გადავსულვართ, და ჯავახეთიდამ პატრა ჩემმა მოყვარემ ისევ ქვათახევს ყმად გუდით გადმომიყვანა და *ქვათახევს* შემწირაო. სანამ კავთისხევი შენათ იყო, იქ ვიდექით. *კავთისხევი* მოიშალა, იქიდამ სამაჩაბლოში წაველო, და ოცი წელიწადი *დიცს* ვიდეგო, და *დიციდამ ქორდს ერასტი გოსტაშაბიშვილის* ყმის ქალი შევირთე და აქამომდინ ჩემს მოყვარესთან ვცხოვრობდიო. ქორდს მამული არა მქონია გედუანიშვილის წყალობა, და იმ ჩემის მოყვარესთან ხიზნად სახლებისათვის ყმად მეჭიდებაო. *გედუანიშვილებმა* ამ *ჯავახ ზურაბას* მოხსენიებული ძველთაგანვე ქვათახევის ყმობა და იქიდამ გუდით გადმოყვანა და ეკლესიის შეწირვა საბუთით გაუმტყუნეს. და ვერც ამისი მოწამე იშოვნა ზურაბამ, რომ მოსული *ქვათახევის* ეკლესიის ყმად სახლებულიყოს. და ვერც აღმოაჩინეს სამართალში, რომ ამ ოცდაათს წელიწადში თავის ყმად სახლობდესთ. ერთის სოფლიდამ აუყრიათ და მეორეს სოფელში თავიანთ ყმათ დაუსახლებიათ. გაქცევით, მოსწევიან, დაუჭერიათ, მორიგესა და ლაშქრობაში *გედევანიშვილების* ყმად დაწერილა. დღევანდლამდის *ქვათახევის* ყმობა არ უთქვამს“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. ი. დოლიძის გამოცემა. თბ. 1974, გვ. 340).

1768 წლის არზით ჯავახეთიდან მოსული კაცი *ივანე გიორგაძე ერეკლე მეფეს ჯავახიშვილებისაგან* დაცვას თხოვს: **„მამაჩემი ჯავახეთიდან გახლდათ და მეც პატარა თან მოვყევ.** მამა თქვენის ჭირის სანაცვლო გამიხდა. მე იმ ჟამად მეტეხს სხვის შვილად გახლდით. მოვიდნენ *ჯავახიშვილები,* შემომეჭიდნენ, ჩემი ყმა ხარო. იმათ გავექეც, მუხრანის რუსხმულზედ დავიკარგე. ექვსი წელი ტყვედ გახლდი. კათოლიკოზი რომ რუსეთიდამ მობრძანდა, მე მაშინ გეახელ და მას აქეთ *ჩალაუბანს* გახლავარ. ახლა... *ჯავახიშვილი ვახუშტი* მეჭიდება, ჩემი ყმა ხართ. ღმერთი გაგიმარჯვებს ამისი სამართალი გვაღირსეთ“.

1788 წლის საბუთში „არზა *დათუნა ოთარაშვილის* ოქმის ბოძებაზე *გიორგი ბატონიშვილის* ოქმით“ ვკითხულობთ: **„ჩვენ პირველად ჯავახეთიდამ გახლავართ და მე ქალაქს ვარ დაბადებული.** სიღარიბემ შემაწუხა, მიველ *პატარძეულს* და ხიზნად ვდგავარ. არც მამული მაქვს და არც დედული. ჩემმა ძმამ თავის თავი წმინდის დავით *გარეჯის* მონასტერს შესწირა. და მეც ჩემი თავი ამ მონასტრისათვის შემიწირავს...“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 755. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჯავახეთიდან *პატარძეულში* მოსული *ოთარაშვილების* ადრინდელი გვარი *ზარიძე* ყოფილა.

ქართული საისტორიო საბუთებით დასტურდება პირიქითი მიგრაციული პროცესიც შიდა ქართლიდან ჯავახეთში, შემდეგ კი ისევ უკან, ჯავახეთიდან შიდა ქართლში გადმოსახლება. მოვიყვანთ რამდენიმე საბუთს: 1771 წლის საბუთში „სამართალი მდივანბეგებისა და *ბეჟან სააკაძის* ობოლისა და სარდალ-სალთხუცის *დავით ორბელიანის* დავის გამო“ ვკითხულობთ: „ქ. ავი დროის მიზეზით საკარისი (ქვემო ქართლში – კიანეთის ხეობაზე – რ. თ.) რომ დაცლილიყო და ამ სოფლის გლეხი დაფანტულიყო, *მუზუაშვილი როსტომ* და *ავთანდილ* ჯავახეთს გადასულიყვნენ. მასუკან ჯავახეთიდან გადმოსულიყვნენ და *ატენს სააკაძეს ბეჟანთან* მისულიყვნენ, ცოტა ხანს იქ მდგარიყვნენ და მერე *გორს* გადმოსულიყვნენ. კარგა ხანი *გორს* სახასოდ ყოფილიყვნენ. მერე *სააკაძის ბეჟანის* ობოლმა სამართალში ილაპარაკა: **ესენი ჯავახები არიანო და უწინ მამა ჩემს მოუვიდნენო.** ამ გლეხმა კაცებმა თავისი თავი დამალეს და საკარელობით არ გამოაცხადეს, რადგან მოდავე არავინ იყო. ჯავახობის მიზეზით *მუზუაშვილის როსტომასა* და *ავთანდილას* შვილები *სააკაძის* ობოლს მიეცა. ახლა სარდალთუხუცესმა *ორბელიანმა დავით* სამართალში მოწმეები წამოაყენა, რომ ესენი მკვიდრი, *საკარელნი* არიანო. ამ გლეხკაცებმაც თავისი პირით აღიარეს: ჩვენ საკარელნი მკვიდრნი ვართო, მაგრამ გვეშინოდა, ბატონი ჩვენი ქართლიდამ აგვყრის, წაგვასხამსო და ამისთვინ ჩვენი თავი დავმალეთ; *სააკაძის ბეჟანის* ობოლის და *სააკაძეებიც* სამართალში მოვაყვანინეთ, მოწმე ვთხოვეთ, რომ ეს კაცნი ჯავახნი იყვნენ და საკარელნი არ იყვნენ. იმათ ვერც მოწმე წამოაყენეს და ვერც ამათი ჯავახობის საბუთი ქნეს...“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 75-76). ქართლიდან გლეხების აყრასა და ჯავახეთში გადასახლებაზე და ისევ უკან დაბრუნებაზეა ლაპარაკი 1771 წლის „სამართალში ქართლის მდივანბეგებისა *თეიმურაზ ჯავახიშვილის* და *ნინიაშვილის* საქმეზე“: „ქ. *ნინიაშვილს* თავის ბატონის *ჯავახიშვილისაგან ლუულის* მამული ეყიდნა. იმ ნასყიდობის წიგნში ასე ეწერა: *ლუულს* მამული მოგყიდე *ზაქარაშვილითაო*. *ნინიაშვილმა* მღვდელმა *ოტიამ, ბერმა* და *პავლემ ზაქარაშვილს ივანეს, დემეტრეს* და *ხიზანას* სამართალში ელაპარაკნენ. ჩვენ მოსამართლეებმა ამათი საჩივარი გავიგონეთ, მოწმეებისაგან მოვიკითხეთ და ასე გვარწმუნეს: როცა *ჯავახიშვილს* ის მამული გაუყიდნია, მაშინ ის გლეხი კაცი აყრილი ყოფილა და ჯავახეთს სახლებულა. კარგა ხანი გამოსულა, რომ **ეს გლეხი კაცი მას უკან ჯავახეთიდან გარდმოსულა და** *ლუულს* **აღარც შენობა ყოფილა და** *ჯავახიშვილს* **მსახურად ხლებია.** ეს გლეხი კაცი იმასაც ამბობდა, მე გვარათ *ზაქარაშვილი* არ ვარო, *ფარნაძე* ვარო. მაგრამ თუ უნდა *ზაქარაშვილი* იყოს, როცა *ჯავახიშვილს* ის მამული გაუყიდნია, მაშინ ესენი ჯავახეთს ყოფილან. რადგან მამული გაუყიდნია, სხვას ქვეყანას დაკარგულს კაცს ველარ გაჰყიდდა და მერე იმავ თავის ბატონს ამ *ნინიაშვილისათვის* ეს კაცი გასამყრელოთაც გამოერთმია..“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 77).

1780 წლის „არზა მიცემული *პაატა ციციშვილის* მიერ *ერეკლე II*-ისადმი“: „ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა მტვერს *ციციშვილს პაატას*. ორი ობოლი პატარა ბიჭები ნასყიდი კაცის შვილები დავზარდე. ერთი ხაბაზია, ერთი მეჯინიბე არის. ჩემმა სახლისკაცებმა ინადობით შურით დამიწერეს მორიგეში უმამულო, უსახლკარო. გამექცა ჯავახეთს. ღვთის ფიცი მივეც, გადმოვიყვანე. რაც მორიგე გაჩნდა არც ერთხელ არ დაკლებიათ თავის მორიგეობაში და არც დაგაკლებთ...“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 109). ამ საბუთში ქართლიდან ჯავახეთში გლეხთა გაქცევის ერთ-ერთ მიზეზზეა საუბარი: უმამულო და უსახლკარო გლეხის მორიგე ჯარში გაწვევის გამო.

ჯავახეთს გაქცეულები ქართლის ფეოდალებს ძალით გადმოყავდათ. სწორედ ამაზეა საუბარი 1781 წლის ერთ თავდებობის წიგნში: „... ესე წიგნი მოგართვით თქვენ, *სარდარ-მოურავს დავითს*, მე, *ნადირამა* და *ფცქიალაძე ბასილამა,* – ასე რომ, თქვენი ყმა *გოდერძიშვილი კაცია* აგეყარა და ჯავახეთს გადავიდა ცოლშვილითა. ახლა კიდევ ღმერთმა თქვენ მოგცათ და დაიჭირეთ. ხუნდი შეუყარეთ და თავდებსა სთხოვთ. მე, *ნადირა* და *ფცქიალაძე* ამ *გოდერძიშვილს კაციას* თავდებათ დაუდექით: ისევ ცოლ-შვილით გეახლოთ, თქვენის ერთგულების და სამსახურის აღმსრულებელი იყო და თქვენის წყალობის მოიმედეცა“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 118).

1783 წლის „ბატონყმობის წიგნი, მიცემული *გიორგი ჯინჭარაძის* მიერ *გიორგი აბაშიძისადმი*“: „ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, *აბაშიძის* სახლთხუცესს *გიორგის* და თქვენს ძმას სახლთუხუცესს იოანეს ჩვენ, *ჯინჭარაძემ გიორგიმა* და ძმამან *თევდორემ*; – ასე რომ, ამას წინათაც თქვენი ნაყმევი გახლდით. **უდროობის გულისათვის ავიყარენით და ჯავახეთს გადავედით და იქ ფათერაკად ერთი თათარი შემოგვაკვდა. იქიდამაც ავიყარენით ორნივ ძმები** ***ჭალაზედ*** **გიახელით.** ხუთი წელიწადი იქ თქვენს მამულზე გახლდით. მერე აქ ქალაქში მუშაობისა და მოსაგების გულისათვის ჩამოვედით და თქვენს მეტი ბატონი და პატრონი მე არავინ მინდოდეს და არც არავის ჰქონდეს საქმე თქვენს მეტსა ჩემთანა“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 168).

1793 წლის „განჩინება *ზურაბ ფურცელაძის* ყმის *ქურთ-რამაზას* საქმეზე“: *„ქურთ-რამაზა* უჩიოდა *ფურცელაძე ზურაბს:* მე შენი ყმა არა ვარო, სვეტიცხოვლის ყმა ვარო, თრიალელი კნონელიო. ამაზე ზურაბ უპასუხებდა: **შენ მკვიდრი ჯავახი ხარო და ეს სამოცი წელიწადი არისო, რომე მომსვლიხარო** და თუ სვეტიცხოვლის ყმა ხარო, აქამდინ თავი რატომ დაიმალეო და არა სთქვიო, მე სვეტიცხოვლის ყმას რას ვაქნებდიო, და თუ სწორედ გამოაცხადებ, რომ სვეტიცხოვლის ყმა ხარო, ღმერთმა თავი მშვიდობაში მოახმაროსო. ჩვენ *ქურთ-რამაზას* ვკითხეთ: შენ რომ კნონელობას ამბობ, ან რა გვარი ხარო? ამან თქვა: მე არც *კნოლეს* სახლობა მახსოვსო და არც ჩემი გვარი ვიციო. მამაჩემი რომ მომკვდარა, ორის წლისა დავრჩომილვარო, დედაჩემი ჯავახეთს გათხოვებულაო და იქ გერათ გავყოლილვარო. იქ ერთ ქურთს გავუხდივარო და *ქურთ-რამაზას* მეძახიანო; და დედაჩემმა მითხრა, შვილო, შენ სვეტიცხოვლის ყმა ხარო თრიალეთის კნონელიო. მე სხვა არა ვიცი რაო“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 374). მოყვანილი საბუთი არა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჯავახეთსა და ქართლს შორის მუდმივი მიგრაციული კავშირები არსებობდა, არამედ იმასაც რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეების მოსახლეობას, ამჯერად ქართლელებსა და ჯავახებს შორის, არც საქორწინო კავშირები იყო უცხო, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის სხვადასხვა თემებს შორის მჭიდრო კავშირების დასადასტურებლად.

საინტერესოა 1736-1742 წლებით დათარიღებული „პირობის წიგნი მიცემული *პაატა* და *პაპუნა რევაზიშვილების* მიერ მილახვრობაში *მერალბეგ ციციშვილისადმი*“: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე *რევაზიშვილმა პაატამ* და ძმამა ჩემმა *პაპუნამ* თქვენ ბატონს ჩვენს მილახვრობაში *მერალიბეგს;* – ასე რომ, *გუჯარეთს* თქვენს მამულში ვესახლე და ავიყარე, **ჯავახეთს გადაველ. ახლა თქვენს მამულში ჩამოველ,** ცხვარი ჩამოვასხი, თქვენს მამულში დავაყენე. ცოლ-შვილი ისევ ჯავახეთს მყავს. რა წამს გზა გაიხსნას და გატყდეს, მაშინვე გადმოვიდე. თუ ამაში გაგიმტყუნდე და გადმოვიდე, ჯერ ვიყო მღთისა შემცოდე და მერმე ხემწიფისა და ცხვარი ღმერთმა მოგახმაროს, მე ხელი ამიღია“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 374).

1744 წლითაა დათარიღებული „ბატონყმობის განახლების წიგნი *გოდერძი მღებრიშვილის* მიერ *ქაიხოსრო ციციშვილისადმი*“: „ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ჩვენს ბატონს *ქაიხოსროს ციციშვილს* მე *მღებრიშვილმა გოდერძიმ*; – ასე რომე, ქართლი აირივა, ქვეყანა სულ დაიფანტა, ზოგი იმარეთს გარდაცვივდა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი კახეთში ჩამოვიდა, რომ მტერმა შეაწუხა...“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 321).

სხვა საბუთით დადგინდა ზუსტი თარიღი ქართლიდან მოსახლეობის მასობრივი აყრისა და სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ჯავახეთში გადასახლებისა. ესაა 1731 წელი. 1746 წლის საბუთში „აყრილი ხალხის მიბარების წიგნი, მიცემული *ზაზა თარხნიშვილისადმი*“: „ქ. ჩვენი ბძანება არის *თარხნიშვილო ზაზავ*, თხუთმეტს წელიწადს უწინ, რაც ქართველი კაცი ქართლიდამ აყრილა და ჯავახეთს გარდასულა და იქიდამ შენთან მოსულა, ის გლეხი შენთან იყოს, ხელი არავის აქვს. შენთვის მოგვიბარებია. მანამ ჩვენ მოვიკითხავდეთ, შენ გყვანდეს“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 327). 1767 წლის საბუთში წერია: „...ოსმალობას მე აყრილი ვიყავ, ჯავახეთს გადავარდი...“

1768 წლის „არზა სვეტიცხოვლის მოხელეების ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით“: „ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესის და უმაღლესის მეფის ჭირი მათს მონათ ჴელიერთპირათ მცხეთელს მოჴელეებს მოსცეს, რომე: **ნეტარად ჴსენებული მამა თქუენი პირველად საქართველოში რომ გამეფდა, იმ ხანაში ერთი ჩვენის ეკლესიის ყმა ჯავახეთს ნასახლები საქართველოში გარდმოსულიყო** და ჩვენის მალვით მთავარეპისკოპოსს *კირილეს* და *მიროტაძეს* წაეყვანათ და *ქვენატკოცას* დაესახლებინათ, ქვენატკოციდამ წამოვიდა ის კაცი. მერე *მოხისს* დაუსახლებიათ და თორმეტი წელიწადი იქ ესახლა და ჩვენს ეკლესიას მსახურებდა. როცა მოხისი აიყარა, ისიც ავყარეთ და რეხას დავასახლეთ. მკვიდრი ჩვენი ეკლესიის ყმა არის“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 327).

1772 წლის „განჩინება *დავით ორბელიანისა* და *მირზაშვილების* ყმების საქმეზე“: *„ორბელიანი* სარდალი *დავით* უჩიოდა *მირზაშვილებს დავითს* და *ნიკოლოზს:* ჩემი ნასყიდი *ეგრისს* (ქვემო ქართლის სოფელი – რ. თ.) ნასახლები გლეხები *ორსატიშვილი იორდანე* და *არახასშვილი დათა* და *მამულა* აჰყარა ლეკის შიშისაგან პაპაჩემმა *ქაიხოსრო სარდარმა,* ხანჯან რომ ქართლში ხანად იჯდა, და ჯავახეთს გარდაიყვანა. და ნიშანს ამას ამბობდნენ ის გლეხნიცა: ანანური რომ ლეკისაგან დაიწვა და მისი ხალხი დატყვევდა, ჩვენ ისევ ეგრისს ვიდეგით და მერე წავედითო, ჯავახეთს ცოტა ხანი ვიყავით, მერე კურთხეულისა და სანატრელის მეფის *თეიმურაზისა* და დედოფლის *თამარის* მეფობაში გარდმოვედით ცოტა ხანს, *აბაშიძეებთან* და ვიყავით; მერმე *შინდისს* მოვედითო; და ამ გარდმოსვლის ჟამს მირზაშვილებიც ემოწმებოდნენ, მართალია, მაგ დროს მოხვედითო. მის სიმაღლეს მეფეს ჩვენ, მსაჯულთათვის მათი სამართალი ებძანათ. ვიანგარიშეთ: *ანანურის* წახდენის ქორონიკონი იყო უკზ (427 – რ. თ.). სანატრელისა და კურთხევით ხსენებულისა დედოფლის *თამარის* ქართლში დედოფლობის ქორონიკონი იყო ულგ (433). ამ ქორონიკონების გამოანგარიშებით ამ კაცთ ჯავახეთში დაუყვიათ ექვსი წელიწადი (1740-1746 წწ. – რ. თ.). ამ კაცთ ჯავახეთს ამ ანგარიშით რომ ექვსი წლის მეტი არ დაეყოთ, სამართლის ძალით ეს გლეხნი სარდალს დავითს დარჩა. და თუ მირზაშვილებს სხვა სიტყვა აქვსთ რამე, ან ძველად მემკვიდრედ ეჭიდებიან ან ოცდაათს წელიწადს ჯავახეთში სახლობის საბუთს მოიტანენ, ის იჩივლებს და სამართალი ისე მიეცემათ“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 637).

*გაგრძელება იქნება*

## არცერთი დღე წიგნის გარეშე!

*(გამოხმაურება რეზო ადამიას სტატიაზე – „წიგნს ქუჩაში ნუ გააგდებ!“)*

ჩვენი საყვარელი გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ 2017 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულმა ბატონ რეზო ადამიას წერილმა – „წიგნს ქუჩაში ნუ გააგდებ!“) – ძალზე დამაფიქრა და შემძრა.

დღეს, მართლაც, ბევრ შემთხვევაში, რაც შეიძლებოდა, ის აღარ შეიძლება და რაც იკრძალებოდა, ის დასაშვებია და მისაღებიც კი, მაგრამ წიგნმა – ადამიანის ყოველდღიურმა მეგობარმა და თანამგზავრმა, რატომ უნდა დაკარგოს თავისი ისტორიული დანიშნულება კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქის მოსვლით იქამდეც კი, რომ ქუჩაში გაგდებაც კი ემუქრება... უფრო მეტიც, სანაგვე ურნებთან მათი დაყრა ხომ, საერთოდ, შემზარავია – ჩვენი ყოფისა და კულტურის შემფასებელი ფაქტია.

მე მჯერა, რომ ამ გარემოების გამო, ჩემს მსგავსად, არა ერთი მკითხველი იქნება აღშფოთებული.

ოჯახი, სადაც წიგნებსა და მის მკითხველებს ეცნობი, სულიერი და ზნეობრივი სიმდიდრის დასტურია, ხოლო პირიქით, – ოჯახი, წიგნის გარეშე (წინასწარ ბოდიშს ვიხდი) უწიგნურთა თავშეყრის ადგილს წააგავს (აღარაფერს ვამბობ წიგნების ნაცვლად სხვადასხვა ანტიკვარული ავეჯითა და ძვირადღირებული ნივთებით გამოჭედილ და მუზეუმს დამგვანებულ საცხოვრისებზე...).

ალბათ, ამას გულისხმობდა თავის დროზე ციცერონი: „სახლი, რომელშიც არ აქვთ წიგნი, იმ სხეულსა ჰგავს, რომელსაც სული აკლია“;

აქვე მახსენდება ცნობილი გერმანული ანდაზა: „ვისაც უწიგნოდ სურს ისწავლოს რამე, ის საცერში აგროვებს წყალსა“.

სხვადასხვა კონტექსტით ხალხში საყოველთაოდაა დამკვიდრებული გამონათქვამები: „წიგნი ჩემი მეგობარია“, „წიგნი საუკეთესო საჩუქარია“, „ჩემი პირველი წიგნი“, „წიგნიერი და განათლებული საზოგადოება თუ ადამიანი“, ან პირიქით – „უწიგნური პიროვნება“ ანდა, – „ერთი წიგნი არ წაუკითხავს ბოლომდე“ და ა.შ.

დიახ, წიგნს – ამ დიდ საგანძურს, ვერანაირი თანამედროვე და ულტრატექნიკური მიღწევა ვერ შეცვლის, მისი დანიშნულება მარადიულია.

შეცდომა იქნება წიგნის ნივთის დანიშნულებით მოხსენიება, რადგან ის, რაც უფრო ძველია და კითხვისგან გაცრეცილი, უფრო ძვირფასია, ხოლო ბევრი მართლაც ძვირად ღირებული, მაგრამ გაცვეთილი ნივთი, წიგნისგან განსხვავებით, ახლით დროულ შეცვლას საჭიროებს.

ნებისმიერ თემაზე დაწერილი წიგნი ყოველთვის საჭიროა საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის, ალალი თუ არამი შრომით დაგროვილი ქონება საწყობს წააგავს, დიდი რაოდენობის წიგნებს კი სამკითხველოს ან ბიბლიოთეკას ვეძახით.

წიგნისადმი სიყვარულს სხვა, მიმზიდველი ელფერი დაჰკრავს, რასაც ვერ შევადარებთ ძვირფასი ქონებისადმი არსებულ სიყვარულს, წიგნებით თავის გამოჩენა მისაღებია, ქონებით თავის მოტანა კი ტრაბახს ემსგავსება და დასაგმობ მდგომარეობაში იგდებენ თავს.

რაოდენ პატივისცემას იმსახურებს ადამიანი, როცა გებულობ, რომ პურისთვის გადადებული ფულით წიგნები შეიძინა, ან მეგობარს უსაჩუქრა, რადგან სწამს, რომ სადაც წიგნია, იქ ცოდნაა.

ბატონ რეზო ადამიას ამ სტატიას, ვფიქრობ, ყველა უნდა გაეცნოს და გაითავისოს, იქნებ ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდოს და დარიგდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ წერილმა, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო და გაგვაფრთხილა – ადამიანებო, წიგნებს ქუჩაში ნუ გააგდებთ! წიგნი და ადამიანი ოდითგანვე ხომ განუყრელი ცნებებია.

*შალვა ტაბატაძე*

# სოსო გიქოშვილი

## მარადიული თანამედროვე

### (მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

*გაგრძელება. დასაწყ. იხ. N 11, 2016*

„კვაჭი კვაჭანტირაძის“ შემდეგ გამოქვეყნებულმა რომანმა „ჯაყოს ხიზნებმა“ (1924) საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, თხზულება აზრთა გაზიარების ფართო განხილვის საგნად იქცა. „ჯაყოს ხიზნების“ ირგვლივ ცხარე პოლემიკა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მას მომხრეებიც მრავლად ჰყავდა და მოწინააღმდეგენიც, რაც, ჩვენი აზრით, სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. პოლემიკის მთავარი მიზეზი თვით ნაწარმოების იდეაში იყო მოცემული, ხოლო საზოგადოების დიდი ინტერესი განაპირობა ნაწარმოების ავტორის იშვიათმა მხატვრულმა ნიჭმა, სინამდვილის ობიექტურმა ასახვამ, სახე-ხასიათების შექმნამ, ნეგატიურის მხილების სიმწვავემ. ცხოვრების ის სიმრუდე, რომელიც „ჯაყოს ხიზნებში“ იყო მხატვრულად წარმოჩენილი, ჯერ კიდევ არ ეკუთნოდა ახლო წარსულს, მისი პერსონაჟების პროტოტიპები ჯერ-ჯერობით კვლავ არსებობდნენ და „მოღვაწეობდნენ“. ამდენად, ლოგიკურია, რომ ისინი საჯაროდ მხილებას მშვიდად ვერ შეხვდებოდნენ, თეიმურაზ ხევისთავი არ მიაჩნდათ ტიპურ სახედ. საგულისხმოა, რომ რომანის ავტორს მოშურნეთა მითქმა-მოთქმა სულაც არ ანაღვლებდა, პირიქით, ეს ყოველივე თავისი თხზულების ღირსების, მისი იდეურ-მხატვრული სინამდვილის დამადასტურებლად მიაჩნდა. მართლაც, „ჯაყოს ხიზნები“ დიდი სულიერი მღელვარებითა და ცხოვრების აუცილებელი განახლების თანაგრძნობით არის განმსჭვალული. უნდა აღინიშნოს რომ, როდესაც კამათის, პოლემიკის დრო უკვე წარსულის კუთვნილებად იქცა, მიხ.ჯავახიშვილი წერდა: „უცნაურია, ყველაზე მეტი დავა „ჯაყოს ხიზნებმა“ გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა – იმ დღეს ნამდვილ ბალღად გადავიქეცი, რომელსაც დიდი ბედნიერება დაატყდა, ვეღარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ვეღარც ჩემი ცოლ-შვილი მცნობდა“.

კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ რომანმა განსაკუთრებული ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ თხზულებაში გაჟღერდა ქვეყნის განახლების მძაფრი სულისკვეთება. ნაწარმოები მდიდარი იყო ცოცხალი სახეებითა და დიდი შთაბეჭდილებების მქონე ხატოვანი ეპიზოდებით, ჯავახიშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ: – „სულიერი თუ უსულო საგნების ურთიერთობით“. მიხეილ ჯავახიშვილის ერთი მთავარი შემოქმედებითი ხერხი გახლავთ – პირველ რიგში, დახატოს ნაწარმოების მხატვრული სახეების გარეგნული (ვიზუალური) პორტრეტი და, შემდეგ, თანდათან, საქმიანობით, მოვლენებზე რეაგირებით, გაგვაცნოს მათი მორალურ-ზნეობრივი ბუნება და ხასიათები. ჩვენი აზრით „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრული სახეები შეიძლება პირობითად სამ ჯგუფად დავყოთ: კერძოდ, ერთნი არიან ძველი სამყაროს უფლებააყრილი, უშინაარსო ადამიანები – თეიმურაზ ხევისთავი და მისი მეუღლე მარგო. მეორენი – ახლებური ურთიერთობების დამამკვიდრებელი, ოპტიმიზმით აღსავსე უბრალო ადამიანები – ნინიკა, თედო, თანდილა, ილია და, მესამე – ყოფილი მოჯამაგირე ჯაყო ჯივაშვილი – მოძალადე, ხარბი, გაიძვერა. მან ბოროტად ისარგებლა თეიმურაზის ნდობით, მისი ხასიათის სისუსტით და ხელში ჩაიგდო მისი მთელი ქონება, ვაჭრობასაც მიჰყო ხელი, სოფელს მტარვალად მოევლინა, – უკიდურესად ავიწროებდა ნაშინდარელებს, ძარცვავდა და ატყუებდა. სულითა და ხორცითაც მტაცებელი, მგელს მიმსგავსებული, გარეგნულად პირუტყვივით გამოიყურებოდა: „ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდა უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა.

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავი, ხშირი და აბურძგნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულიყო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ წამოწეულ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყო თავი. ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ“.

თეიმურაზმა ყოფილ მოურავს რომ შეხედა, გაოცდა, ისე გასუქებულიყო, სამაგიეროდ თავად ნაადრევად დაბერებულიყო, მიმქრალმილეულიყო, თითქოს საამქვეყნო აღარაფერი ეტყობოდა: „ნაბატონევი თეიმურაზ ხევისთავი თავის ნამოურავალს იღლიამდე ძლივს სწვდებოდა. თეიმურაზი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული, მაგრამ გამხმარი და გაძვალებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქული ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად მხოლოდ თვალწინ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი“.

მიხ.ჯავახიშვილი თეიმურაზ ხევისთავს რომანის დასაწყისში ლმობიერად ეპყრობა და ერთგვარად სიმპატიურად გვიხატავს, თუმცა რეალიზმის პრინციპებს არ ღალატობს და მკაცრად აკრიტიკებს ნათავადარის ხასიათის სისუსტეს, მის ლიბერალიზმსა და გზააბნეულობას. თეიმურაზ ხევისთავი, მაშინ, როცა ჯერ კიდევ შერჩენოდა მამულები და ქონება, წინაპართაგან განსხვავებით, არ იჩენდა ქედმაღლობას. იგი თანამედროვე განათლებას უაზრო ლიბერალად ექცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ჟურნალ-გაზეთებს წაუკითხავს არ ტოვებდა



და თავადაც კარგად წერდა. ქველმოქმედებას ეწეოდა ნაბატონარი, ეხმარებოდა ღარიბ სტუდენტებს, სკოლებსა და გლეხკაცობასაც ლოიალურად ეპყრობოდა: „ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე“ – ძალიან უფრთხილდებოდა საკუთარ ღირსებას, ცდილობდა თავისი საქციელით საბაბი არ მიეცა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის (ეს მისი სიტყვებია. ს.გ.), რათა სახელი არ გაეტეხათ მისთვის. მიუხედავად ჯავახიშვილის მიერ გმირის ასეთი დახასიათებისა, აშკარად ჩანს სატირაც – მკითხველი ხედავს და გრძნობს, რომ თეიმურაზის ღირსებები ფუჭად მეოცნების სიცარიელე უფროა, ვიდრე ჯანსაღად მოაზროვნის. როცა „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი უპირისპირდება თეიმურაზს, „ნადირივით თავაგლეჯილ, კადნიერსა და რეგვენს, ხეპრესა და მოუხეშავ“ ჯაყო ჯივაშვილს წერდა: „თეიმურაზმა თითქმის ყველაფერი იცოდა, სამაგიეროდ ბევრის შემძლე იყო. პირველი თვალახილული და სმენიანი იყო, ხოლო მეორე – თითქმის უთვალჩინო და სმენა დახშული“, მაგრამ „სიცოცხლის წყურვილი, უნარი და სამართებლივით გალესილი ცხოვრების ფხა ჰქონდა. სწორედ ასეთმა საპირისპირო თვისებებმა განაპირობა თეიმურაზის ცხოვრების დეგრადაცია, დაგლახავება და დაცემა, სამაგიეროდ, ჯაყოს არაადამიანური თვისებების აღზევება, ნაბატონარზე უფრო სასტიკ ბატონად ქცევა. თეიმურაზი თავის მოურავს სულ მუდამ ჩასძახოდა: „ტყე და სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნის, თავი დაანებე, ღალას ნუღარ გამოართმევ, ხალხი არ შეაწუხო, აყალ-მაყალს მოერიდე, თორემ ჩემი მტრები ისარგებლებენ, გაზეთებში გაგლანძღავენ და საქვეყნოდ თავს მომჭრიანო“! როცა მუდამ მოუცლელი, ვითომ საქვეყნო საქმეებით დატვირთული, ხევისთავი ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც თბილისიდან ნიშანდარში ავიდოდა, გლეხები შემწეობასა და ღალის შემცირებას ეხვეწებოდნენ. თეიმურაზი მართალია, უარს ვერ ეუბნებოდა, მაგრამ ჯაყოს რისხვას თავს ვერ აღწევდა.. ჯივაშვილს ხელში ეჭირა უნიათო ხევისთავი და რასაც მოისურვებდა იმას აკეთებინებდა. ჯაყო უტიფრად ექცეოდა ნაშინდარელებს, გადასახადს ორჯერ ახდევინებდა, ფიზიკურ ძალასაც იყენებდა, თანაც თეიმურაზის ქონებას მოტყუებითა და გაიძვერობით ეპატრონებოდა. საგულისხმოა, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ამ ორ პერსონაჟს, გლეხები – ნინიკა, ილო, თედო და ნახუცარი ივანე დაუპირისპირა, ეს უკანასკნელი თხზულებაში ერთი საყურადღებო მხატვრული სახეა. თეიმურაზისა და ნახუცარის რამდენიმე დიალოგში დაპირისპირებულია წარმავალისა და მომავლის, მომაკვდავისა და სიცოცხლისუნარიანობის ფილოსოფია. ორივე განათლებულია, ორივე ძველი სამყაროდან მოდის, მაგრამ ამათგან ერთი უაზრო შეხედულებებით გონებადახშულია, უიმედოა, ხოლო მეორე – თვალახილული, პროგრესულად მოაზროვნე, პერსპექტიული. თეიმურაზის ირონიული კითხვა – „ახლა შენ მითხარი, ივანე, შენ მარტო ანაფორა გაიხადე თუ რწმენაც იმ ანაფორას გააყოლეო?“ – ივანემ ღიმილით უპასუხა:

– რწმენა კი არ გავაყოლე ანაფორას, არამედ ანაფორა გავაყოლე რწმენას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მე შენსავით არ დავცარიელებულვარ. ღვთის რწმენა დავკარგე, სამაგიეროდ უფრო ძლიერი რწმენა შევიძინე.

– რომელი? – გაოცებით შეეკითხა თეიმურაზი, – მწამს ჩემი მშრომელი ხალხის ძალა და მისი მომავალი“.

ივანემ კიდევ უფრო მკაცრად ამხილა თეიმურაზ ხევისთავი:

„ – მე ეკლესიის მსახურებას მოვწყდი და ხალხს დავუბრუნდი. შენ კი ძველსაც მოსწყდი და ახალსაც ვერ შეურიგდი“.

თეიმურაზი და ნახუცარი ივანე ერთმანეთის ანტიპოდები არიან: – „დავიღუპეთ“, – კვნესით ამბობდა თეიმურაზი.

– ვშენდებით, – ნუგეშიანად უპასუხებდა ივანე, – ქართული სული და კულტურა მხოლოდ ეხლა იღვიძებენ“.

ივანეს ეს სიტყვები პესიმისტ ხევისთავს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და ირონიულად ბუტბუტებდა:

– „ქართული სული! ქართული კულტურა“!.. თეიმურაზს აღარ სწამდა არც ქართული სულისა და არც ქართული კულტურის, როცა ნახუცარმა ქართველი ერის უკვდავებაზე ახსენა ორიოდე სიტყვა, მკვახედ მიუგო:

„ – უკვდავია მხოლოდ მეტაფიზიკური ბოდვა, დრო და მისტიკური ზღაპარი. ეხლა უკვდავება შეყვარებულ სტუდენტსაც არ სჯერა“!

გონებადახშულ თეიმურაზს მხოლოდ ქართველი ერის უკვდავებაში როდი ეპარებოდა ეჭვი, მას აღარც კაცობრიობის არსებობის სჯეროდა, გულში დაფარულმა ბოლმამ თვალთახედვაც დაუბნელა და გონებაც.

„ – კაცობრიობა! კაცობრიობა! – წამოიძახა თეიმურაზმა – ისე ახირებულხარ, თითქოს კაცობრიობა მართლა არსებობდეს“! იგი ძალიან ჩქარა მიექანებოდა კატასტროფისაკენ, თუმცა თავის რწმენას, ამას რწმენა თუ შეიძლება ვუწოდოთ, მაინც ებღაუჭებოდა: – „ივანე, ერთი რამ დაიმახსოვრე სამუდამოდ, მე მომღუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერასოდეს დამიმორჩილებენ, ვერრრასოდეს, გესმის? ვერრრრა-სოდეს, მეთქი! როცა იქნება მე ჩემს ნამდვილ სათქმელს ვიტყვი“. როგორც ვხედავთ, მიხ.ჯავახიშვილმა თეიმურაზის ამ სიტყვებში მწარე ირონიაც გაურია. დროთა განმავლობაში ხევისთავის გულსა და გონებაში რაღაც ცვლილებები ხდებოდა, ნელ-ნელა იმედის სხივი ჩნდებოდა, თუმცა ეს სხივი ისევ ჩქარა ქრებოდა და მის გონებაში კვლავ შავი ბინდი ჩამოწვებოდა. თეიმურაზის სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან შორი-შორს იდგა. ერთ დღეს, როცა ხევისთავმა ნახუცარს აღსარება გაანდო – ახლა მივდივარ ახალი ბედის საძებნელად და ახალი ცხოვრების მოსაწყობად, რაც მოხდა, წავიდა, აღარ დაბრუნდებაო, – ივანემ არ დაუჯერა, თუმცა არც შეედავა და, პირიქით, გზა დაულოცა. ცოცხალ-მკვდარმა თეიმურაზმა სამსახურის მოძიებაც გადაწყვიტა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ახალი ქვეყანა და ხევისთავი მოპირდაპირე ნაპირზე აღმოჩნდნენ, მათ ერთმანეთისა აღარ ესმოდათ. იგი იმდენად დაბეჩავდა, სულიერად გამოიფიტა, რომ არათუ საზოგადოებრივი ცხოვრების გაეგებოდა რამე, არამედ იმასაც ვეღარ ამჩნევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო, ოჯახში. გული რაღაც უბედურებას გრძნობდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის უნარიც დაკარგული ჰქონდა. თეიმურაზ ხევისთავის ინტელექტუალურ დეგრადაციას, ზნეობრივი ატროფიაც დაემატა, ცხოვრების დინებას ინერციით გაჰყვა, ხოლო ცხოვრება მას სასიკეთოს ვერაფერს ჰპირდებოდა. საოცრად გაიძვერა და მოძალადე ჯაყო ჯივაშვილმა ხევისთავთა უკანასკნელ ნაშიერს მხოლოდ სახლ-კარი და ქონება როდი წაართვა, ოჯახიც დაუნგრია, – მეუღლეც მიისაკუთრა. რომანის ავტორი მარგოს ხელის ერთი აღებით არ ადანაშაულებს ბედის უკუღმართად შემობრუნებაში, რადგან თვლიდა, რომ მის ზნეობრივ გადაგვარებაში სწორედ თეიმურაზს მიუძღვოდა ბრალი – სულით და ხორცით აღსავსე ახალგაზრდა ქალი მეუღლეს უყურადღებოდ ჰყავდა მიტოვებული, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს გადაყოლილი, ახლადშერთული ცოლისთვის ვერასდროს იცლიდა: „იმის დაშრეტილ და დონდლო სისხლში ვნების ქარიშხალი არასოდეს არ ატეხილა და მისი გული, – ისიც მჩატე გაზეთებივით დაჭმუშნული და გაჩვარებული, – ღვთაებრივ ხანძრით არ ანთებულა. იქ, სადღაც ჯურღმულში, ოდნავ-ღა ბჟუტავდა მილეული ჭრაქი და მასზე ძლივსღა შიშინებდა ნელთბილი სიყვარული. იმ მილეული ჭრაქის ალი გაყინულ მარგოს ერთხელაც ვერ მოეკიდა, ვერ გააცეცხლა და ვერ აადუღა მისი თბილი სისხლი ვნების დუღილით, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სიცოცხლის ხალისი, დინჯი ბედნიერება და ხევისთავთა გვარის უკვდავება“. მარგო „ერთხანს თეიმურაზის შუქით და სახელით იკვებებოდა“, იმისი მოღვაწეობით მოხიბლული, „იმის დღეს ფიცულობდა და იმის ხატს ლოცულობდა“, მაგრამ ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. როცა იგი ნელ-ნელა დადნა და დაპატარავდა, მარგოსაც ყველაფერი მოსწყინდა, მობეზრდა, „მისი მჩატე ნააზრევიც, მისი მუდმივი ფუსფუსი და საქვეყნო მოღვაწეობაც“. საკმარისი იყო ოდნავი ბიძგი, შემთხვევა, რომ მათი ცოლ-ქმრობის საძირკველი შერყეულიყო. ამას მარგო ქვეცნობიერად უკვე გრძნობდა და ეშინოდა კიდეც. ჯაყო თბილისში უკანასკნელად როცა ჩამოვიდა და გაღატაკებული, დაუძლურებული თეიმურაზი იხილა, გულში ბოროტმა აზრმა გაუელვა – თეიმურაზსა და მარგოს სთხოვა, მასთან წასულიყვნენ ნაშინდარში, სადაც ლაღად იცხოვრებდნენ, არაფერი მოაკლდებოდათ: „- კნეინაჯან, ამ ოხერ ქალაქში რას აკეთებდე!.. მოდი, ჩემთან სტუმრად წამოხვიდოდე, ღმერთმანი! ჯაყო ისე შინახავდე ნათლიებსა (მარგო ჯაყოს ერთი შვილის ნათლია იყო. ს.გ.), როგორც ბატკნებასა, მაშა!“ თეიმურაზ ხევისთავი ჯაყოს სურვილის ფარულ აზრს ვერ მიუხვდა, ჯაყოს წინადადებამ იგი გაახარა კიდეც. მეუღლეებს ქალაქად ცხოვრება უჭირდათ, ვალები ჰქონდათ ძალიან ბევრი და ლუკმაპურსაც ვეღარ შოულობდნენ. ჯაყოს წინადადებას მარგო ცოტა სხვანაირად შეხვდა, თავიანთ ნასახლარში, ისიც ყოფილ მოჯამაგირესთან შეხიზვნა თავმოყვარეობას ულახავდა, თანაც გული რაღაც ცუდს უგრძნობდა. ქმრის საყვედურზე: „ – შენი არ მესმის, თითქოს ჯიბრში მიდგეხარო“, – მარგომ არც თუ ორაზროვნად უპასუხა: „ – ჯიბრში კი არ გიდგები, ხელს ვიბან-მეთქი. თუ ჩვენი საქმე უარესად წავიდა, მე ნუღარაფერს დამაბრალებ-მეთქი. შენგან გამიგონია: ვინც მალე ჭრის, ის დიდხანს ნანობსო“. თეიმურაზმა თავისი გაიტანა, თბილისში შიმშილს, ჯაყოს ხიზნობა არჩია: „ჯერ მე წამოვალ, – უთხრა ჯაყოს, – იქაურობას დავხედავ და მერე მარგოსაც დავიბარებ“.

ამ შემთხვევაში მიხ.ჯავახიშვილი მარგოს უარყოფითად როდი გვიხატავს, იგი გვეუბნება, რომ მარგომ მშობლიურ ქალაქს გულისტკივილით შეაქცია ზურგი, მატარებლით მიემგზავრებოდა გორისკენ, თუმცა არ მიუხაროდა. რომანის ავტორი მარგოს თანაგრძნობით ეკიდება, მას მიიჩნევდა უნებლიე მსხვერპლად თეიმურაზის უყურადღებობისა და უუნარობისა. ბუნების ძალამ ადამიანის ნებისყოფას სძლია: უშნომ, უზრდელმა, მაგრამ ჯანიანმა ჯაყომ, ლიახვის პირას ურემზე პირველად აგრძნობინა მამაკაცი, პირველად აუჩქროლა სისხლი ნამდვილი ვნებით, ხოლო ეს ცოტას როდი ნიშნავდა ჯანსაღი ქალის სხეულისთვის. აი, როგორ ხატავს მიხ.ჯავახიშვილი მარგოს სულში მომხდარ ცვლილებას: „იმ ჭალაში, ლიახვის პირზე, როცა ცამ თვალი მოიფშვნიტა და ფერი იცვალა, მიძინებულმა მარგომაც გამოიღვიძა. გაკვირვებით თვალი გაახილა და ხარბად დასწვდა ცხოვრების ერთ საუნჯეს, რომელიც ამქვეყნად არც კი ეგულებოდა. რაც უნდილმა და ჭიანაჭამმა თეიმურაზმა თავის უმის ვნებით ათ წელიწადში ვერ გაუთბო მარგოს, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა – ჩაკირულმა ჯაყომ – ათ წუთში აუდუღა და აუჩქროლა. მარგო უძილობით იყო გალახული, მაგრამ მაინც მდედრულის თვალით დაინახა და ცხადად იგრძნო უცნაური ცვლილება“. მარგო მაინც დიდხანს ებრძოდა თავის თავს, ფიქრობდა – მარტო რომ დარჩებოდნენ, თეიმურაზს ყველაფერს ეტყოდა, თან გააფრთხილებდა, ხმას ნუ ამოიღებ, ნურც შენ მოიჭრი თავს და ნურც მე მომჭრიო, ავდგეთ, ჩქარა წავიდეთ აქედანო. რამდენჯერმე დააპირა თქმა, ერთხელ კიდევაც დაიწყო, – თეიმურაზ... მაგრამ თეიმურაზი განზე იყურებოდა და ცოლის ლაპარაკი არ ესმოდა... მერე და მერე, უკვე უაზრო შეიქმნა აღსარება, თანაც მარგოს თვალში თეიმურაზი თანდათან უფრო მცირდებოდა.

ხევისთავთა უკანასკნელი შთამომავალი არაკაცად იქცა ფიზიკურადაც, სოციალურადაც და ზნეობრივადაც, დაკარგა ადამიანის სახე, ყველაფერს ხედავდა და თვალს არიდებდა, ეუბნებოდნენ და ყურს იყრუებდა. ჯაყომ მარგო წაართვა თეიმურაზს და მასზე ჯვარი დაიწერა, ხოლო გაუბედურებული ქმარყოფილი უძლური მოწმესავით უყურებდა ყველაფერს. მარგო მადლიერი არ იყო თავისი ბედისა, მაგრამ არარაობად ქცეული თეიმურაზი თანდათან შესძულდა, იგი ჯაყოს ხელში იტანჯებოდა, ბოლოს კი ხელზე მოსამსახურედ იქცა, ჯაყო მარგოს ცემასაც არ ერიდებოდა, თუმცა ქალს თავზევით ძალა აღარ შესწევდა, აღარსად წაესვლებოდა და მძიმე ხვედრს უსიტყვოდ ურიგდებოდა, მარგო ახლა უფრო სიბრალულს იწვევდა, ვიდრე გაკიცხვას... უმართებულო იქნებოდა მარგოსთვის მოგვეთხოვა ფეხზე წამოეყენებინა დაცემული და დამცირებული თეიმურაზი, ეს მარგოსაც შეეძლო, არა იმიტომ, რომ არ სურდა, არამედ იმიტომ, რომ თვითონ თეიმურაზის ხასიათი ამის საშუალებას არ აძლევდა. თეიმურაზი თავისივე „ფილოსოფიის“ ტყვე იყო და ჯანსაღი განსჯა მოვლენებისა დახშული ჰქონდა: არც არავის უსმენდა, არც არავის უჯერებდა. მან არც მულის თხოვნას გაუწია ანგარიში – თბილისში

→

დარჩენილიყვნენ და არ წასულიყვნენ ნიშანდარში ჯაყოს ხიზნებად, ხოლო როცა გაუბედურებულმა თეიმურაზმა მარგოს თანაგრძნობა სთხოვა, უკვე გვიანი იყო ყველაფერი. ხევისთავს არ შეეძლო ახალი ცხოვრების დაწყება. მისთვის რომ თანაგრძნობა გაეწია, მარგოს, ამ შემთხვევაში ქალს უფრო მეტი ჩრდილი მიადგებოდა, მან ჯაყოსთან საბოლოოდ დარჩენა, მასთან მონური ცხოვრება მხოლოდ ტანჯვისთვის აირჩია, რათა ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა თავისი დანაშაული, თუმცა ამ დანაშაულის მთელი სიმძიმე მას როდი აწვა კისერზე, რაც ბოლოს თავად თეიმურაზმაც გააცნობიერა. თავისთავთან დარჩენილმა ხევისთავმა გააანალიზა განვლილი გზა, მარგო უდანაშაულოდ აღიარა და თავისი ბრალეულობა „უსაზღვროდ და უძიროდ“ წარმოადგინა, მას საკუთარი დანაშაულის შეგნებამ სულიერი ტკივილები გაუათკეცა და მარგოს სიბრალულის გრძნობა გაუღვივა. სწორედ ამის გამო იყო, რომ „ქადილით წასული მებრძოლი, ერთგული ძაღლივით უბრუნდებოდა ჯაყო ჯივაშვილს“. როცა თეიმურაზი კოოპერატივში მოეწყო გამყიდველად და ვითომ „დამოუკიდებელი ცხოვრება“ დაიწყო, მაშინ მუდამ მარგო ედგა თვალწინ.

მიხეილ ჯავახიშვილი წერს, რომ როცა ქმარყოფილი მარგოს სახელს გაიგებდა, ან, საერთოდ – თვალს როგორმე მოჰკრავდა, უმალვე მყიდველებს თავს მიანებებდა, სიტყვას შუაზე გაწყვეტდა და ფანჯარას მივარდებოდა, შორიდან მაინც დაენახა იგი.

მედროვე ჯაყოს ამორალური სახე გამოიკვეთა თეიმურაზსა და მარგოსთან ურთიერთობაში, ამ ურთიერთობაშივე გამოჩნდა მისი, როგორც სოფლის ხორცმეტი წარმომადგენლის იდეურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები. მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში, გლეხობასთან ურთიერთობაში კიდევ უფრო დაკონკრეტდა ჯაყოს ვერაგი ბუნება – თავისი პრაქტიკული ჭკუის წყალობით ჯაყო ჯივაშვილმა კარგად ისარგებლა რევოლუციით, მას უფრო გაუცხოველდა მტაცებლური მადა; უფრო მეტიც, ადგილობრივი ძალაუფლებაც ჩაიგდო ხელში და მთავრობის დასაყრდენი გახდა. როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მას მოსვენება დაეკარგა, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა და ისევ თავისი მოხერხებულობის იმედი ჰქონდა, ძველი ყველაფერი დაივიწყა, სამაგიეროდ – ახალს დაუწყო ქება-დიდება: „ – ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობა, რომელმაც საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიც და კარგი ზაკონიცა...“ მაგრამ გაიძვერას ეს ხრიკები აღარ გაუვიდა: ნიშანდარში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამ „კარგი ზაკონით“ ჯაყოს ნიღაბი ჩამოხსნეს, მიტაცებული მიწა-წყალი ჩამოართვეს და ხალხს გაუნაწილეს, თეიმურაზის სახლიდან გამოაგდეს და ისევ იქ გომურში მიაბრძანეს, საიდანაც გამოძვრა ერთ დროს. ბევრი ფიქრი არაა საჭირო, რომ ბოროტებას წერტილი დაუსვა მიხ.ჯავახიშვილმა, როგორც ავტორმა და აქედან, კიდევ ერთხელ გამოკვეთა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია. საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მწერლის დამოკიდებულება, თეიმურაზის, მარგოსა და ჯაყოს – ანუ თავის პერსონაჟებთან დამოკიდებულებაში ნათლად გამოიხატა რომანის თითქმის ყველა ეპიზოდში. დაკვირვებული მკითხველისათვის რთული ამოსაცნობი „ჯაყოს ხიზნებში“ არაფერია. რომანის იდეის ირგვლივ გამართული დავა, მასში რაღაც განსაკუთრებულად უცნაურის ძიება ყოველთვის ხელოვნური იყო და დამაჯერობლობას მოკლებული. ავტორმა რომანში მხატვრული ოსტატობით წარმოჩენილი მარადიული თემა ორიგინალურად გაიზიარა, ფართო არეალის მქონე საზოგადოებრივ ცვლილებებთან დააკავშირა და ძლიერ ემოციურ ძალას, მართლაც რომ ეპოქალური მნიშვნელობის მხატვრული ნაწარმოები შესთავაზა.

# „არავი“-ს დიდი პერსპექტივები აქვს

თბილისი. მაჩაბლის ქუჩა N13. რამდენი რამის მთქმელია ეს დიდი ისტორიული ღირებულების შენობა. რამდენი რამე უნახავს და რამდენი რამის მომსწრეა თითქოს მშვიდი, მაგრამ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების, ქართული მწერლობის კორიფეების სულით გამთბარი კედლები. ეს ის შენობაა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ათიან წლებში ქართველ მწერლებს უანგაროდ, „სამარადჟამოდ“, უანდერძა დიდმა მამულიშვილმა და მეცენატმა **დავით სარაჯიშვილმა,** თუმცა, ბედის ირონიით, ბევრჯერ იქცა იგი საჯილდაო ქვად და ვაჭრობის საგნადაც.

ამ კედლებს დღესაც ახსოვთ პაოლოს, ტიციანის, გოგლას, გალაკტიონის, დიდი კონსტანტინეს, თბილისის უკანასკნელი მებაირახტრის – გრიშაშვილის, ლადო ასათიანის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა მრავალ შეჭმარიტ მწერალთა ხმები, რომელთა წიგნები, ქართული სულიერების მარგალიტები, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილები არიან, მათზე თაობები იზრდებოდნენ და მტრის ჯინაზე კიდევ მრავალნი დაიზრდებიან.

„სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“ – ბრძანებდა დიდი გალაკტიონი და დღეს ათასგზით ნაჯიჯგნ, კოსმეტიკურად შეცვლილ შენობაში, მავანთა წყალობით, იმ დიადი წარსულის მხოლოდ ნატამალიღა დარჩა, თუმცა ახლადფეხადგმული ბავშვივით, მრავალგზის ჩატარებული კულტურული ღონისძიებებით, ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ სახეს მწერალთა ეს დიდებული სავანე, რომელიც ყოველდღირად იზიდავს თანამედროვე ახალგაზრდა, პატრიოტ, ნიჭიერ შემოქმედებს და იმედს იძლევიან, „სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“ – კიდევაც დაიზრდებიან საქართველოში წინამორბედთა დარი „ადამიანის სულის ინჟინრები“.

სასიხარულოა, რომ მწერალთა კავშირის რეგიონებთან ურთიერთობები უფრო და უფრო პროდუქტიული ხდება და ქართულ მწერლობას, იმედის მომცემი ძალა ემატება.

მიუხედავად იმისა, რომ მათ დღემდე არ სწყალობთ ელექტრონული მასმედია და მარტოოდენ დაბალტირაჟიანი ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით საზრდოობენ, ალბათ, ამ სახადსაც მოიხდიან და დადგება დრო, როცა მწერლის სიტყვას რკინის ძალა ექნება და უფრო ღრმად ჩასწვდებიან ადამიანის სულებს, რომელთა გაკეთილშობილება ღმერთმა მათ მიანდო.

ეს იმედი კიდევ ერთხელ დაადასტურა ახლახან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ჟურნალის **„არავის“** წარდგინებამ, რომლის ორგანიზება საქართველოს მწერალთა კავშირმა უზრუნველყო. ეს წარდგინება იმითაც იყო ნიშანდობლივი, რომ, ფაქტიურად, რეგიონებიდან პირველ სტუმრად სამცხე-ჯავახეთი მოგვევლინა, სადაც ერთწლიანი „სტაჟის“ მქონე ჟურნალის ოფიციალური წარდგინება პომპეზურად მოხდა, რომელსაც ცნობილი ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები, უნივერსიტეტის სოლიდური წარმომადგენლობა, დაესწრო.

„არავი“, მიუხედავად თავისი არსებობის მცირე დროისა, უკვე იქცა ლიტერატურულ საზოგადოებაში ერთ-ერთ საინტერესო აკადემიურ გამოცემად და იმდენად პოპულარული გახდა, რომ მისი გავრცელების არეალმა თითქმის მთელი ქვეყანა მოიცვა. ამ ჟურნალში, რომლის სარედაქციო საბჭოს მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესურა წარმოადგენს, შესაშური ინტენსიურობით იბეჭდებიან როგორც პროფესიონალი ავტორები, ასევე იმედისმომცემი ახალგაზრდებიც.



სწორედ ამიტომ, ჟურნალის წარდგენისას, ხაზგასმით აღინიშნა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

შესავალი სიტყვით გამოვიდა და წარდგინებას უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი.** ჟურნალის დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, **მერაბ ბერიძემ** ისაუბრა ჟურნალის გამოცემის მნიშვნელოვან პერიპეტიებზე, ავტორებზე, თანამშრომლებზე, მომავალ პერსპექტივებზე, რომელიც სარედაქციო საბჭოს წინაშე დგას.

სიტყვაში გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომრის მოადგილე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, **რევაზ მიშველაძე,** ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი **ამირან გომართელი**, გორის უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი სოსიაშვილი,** მწერლები – **ივანე ჯაფარიძე, ზაალ ბოტკოველი, ზელიმხან მაღრაძე,** მწერალი და მთარგმნელი **გივი შაჰნაზარი,** ცნობილი მხატვარი და მწერალი **რეზო ადამია,** გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი **ავთანდილ ბერიძე,** პოეტები – **ეკა ბაქრაძე** და **კლარა გელაშვილი;** დასასრულს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ **მაკა კაჭკაჭიშვილმა-ბერიძემ** დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა, ხოლო მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მწერალთა კავშირის სახელით ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის **მერაბ ბერიძე** დააჯილდოვა **ნიკო ნიკოლაძის,** ხოლო **მაკა ბერიძე – ნიკოლოზ ბარათაშვილის** სახელობის პრემიებით.

**ავთანდილ ბერიძე**

# „ქვიშის გალაქტიკა“

*სიცრუეა ჩემი ოცნების ძგიდე,*
*დავიკოცნები ღრუბლის თავშლებით,*
*გალაქტიკიდან ქვიშა მოვზიდე,*
*და მისი სუნთქვის ცეცხლში გავშრები!*



იკა ქადაგიძის შემოქმედება ფართო და მრავალმხრივია. ამჯერად ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო მისი ლექსების მეოთხე კრებული – „ქვიშის გალაქტიკა“.

კრებულში შესულია ლექსები მოყოლებული 1992 წლიდან 2017 წლამდე, რაც საშუალებას იძლევა მისი პოეტური აზროვნების განვითარებას, დახვეწას და, მე ვიტყოდი, დაოსტატებას გავადევნოთ თვალი.

იკა ქადაგიძის ლექსების პირველ კრებულშივე იგრძნობოდა მაღალი ევროპული მხატვრული აზროვნების შემოქმედება, რაც ამ კრებულმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მავანმა და მავანმა უკულმართად რომ არ გაიგოს, დავაზუსტებ: მე მასში ვგულისხმობ კლასიკურ ევროპულ მხატვრულ მაღალ კულტურასა და აზროვნებას და არა პორნოგრაფიას, რომლის მიმდევარი „შემოქმედნი“ საკმაოდ მომრავლდნენ დღეს ქართულ პოეზიაში. დიახ, სექსუალური მანიაკიზმია, როცა პოეტი ქალის საკუთარ საშოს პოეზიის საგნად აქცევს, ან რაღაც მაზოხისტური სიამოვნებით აღწერს მამაკაცთან სქესობრივი ცხოვრების პერიპეტიებს.

გადავხედოთ იკა ქადაგიძის ლექსების ახალ კრებულს. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ისაა, რომ იკა ქადაგიძის პოეზია დაზღვეულია ხელოვნურობისაგან და ბუნებრივად არის შერწყმული ქართული ეროვნული ტრადიცია ევროპულ პოეტურ აზროვნებასთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, როცა იკა ქადაგიძის ლექსების კრებულს კითხულობ, გაოცებული რჩები მის მიერ გალაქტიკის წდომის კოსმიური უნარით. მას ღმერთმა დაანათლა დიდი ტალანტი, რათა ჩასწვდეს მოკვდავი ადამიანისთვის მიუწვდომელი სამყაროს საიდუმლოს და ყოველივე ეს პოეზიის საგნად აქციოს.

არც თუ იშვიათად შემინიშნავს – იკა საზოგადოებაშიც კი ისე გაირინდება ხოლმე, სახეზე რაღაც არაამქვეყნიური, იდუმალი ელფერი გადაეკვრება, თვალები ჩაეფერფლება, რეალურ სამყაროს მოწყდება და შინაგან მეში ჩაეფლობა. აი ამ დროს იბდება მის სულში ქვიშის კოსმიური გალაქტიკა, რაც მის ლექსებში განსხეულდება მაღალი მხატვრული ფორმით:

*უდაბნოში გამოეღვიძა ჩემს თავის ქალას,*
*ქვიშაუძლომელს,*
*მე ვარ გავროში“! – დამკივის ქარი –*
*სიკვდილის ძიძა.*
*მზეს არ ვპატიობ საწუთროს ღალატს,*
*ქვიშაუძლომსა,*
*გალაქტიკებს უნდა ვუძლოდე!*
*ამ საუკუნეს არ ვგავარ,*
*რომელს წაართვეს ღმერთის სხივმდინარობა.*

ამ ლექსში პოეტმა გადმოსცა მისი მსოფლმხედველობა, მსოფლშეგრძნება. შეიძლება ითქვას, შემოქმედებითი პროგრამა. ეს სიტყვა მშრალად ჟღერს, მაგრამ ლექსის იდეა – შინაარსს, უსათუოდ მიესადაგება.

*არ მენანება უალქაჯო სივრცის თაღები,*
*ხელაღებით ნასამართლები დედამიწა*
*გულის ფიცარზე მესამანება და...*
*დრო მდარაჯობს...*
*ქვიშაუძლომელ თავის ქალაზე გაცურდება*
*ღრუბლების კანჯო.*

და მაინც, სჯობია მივყვეთ ლექსს, რომელშიც ცნაურდება პოეტის მარტოსულობა, სულის ტკივილი და შენც მასთან ერთად განიცდი მარტოობის აუტანელ ტკივილს. აი ეს არი დიდი პოეზია, ამგვარი პოეზიის შექმნა ყველას არ ეხელმწიფება. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია:

*... სჯობს გზად არ შემეფეთო,*
*სიმარტოვეში გამოტანჯული ჩემი სისხლი*
*უმალ დაგიტანს ქვიშაუძლომელ რუკაზე,*
*სადაც გავფოთლე სულის სიუცხოვე,*
*გალაქტიკებს წინ მივუძღოდე!*
*ქვიშაუძლობელ თავისქალაზე სახრჩობელები –*
*ლექსი დაღვინდა,*
*მიწამე ერთგზის,*
*ჩემი ხელები ჯვარცმულ მზეს ზიდავს*
*ქვიშის თაღიდან!*

პოეტს გულს უსერავს სულის მარტოობა, მაგრამ მას ვერ ღუნავს, ვერ ტეხს და შემართებით ამბობს:

*სიმარტოვევ, ასე რიგად*
*რატომ შემინაპირდი,*
*ნალურსმანზე წამომტკივდა*
*შენი უფრთო თოთო კვირტი,*
*ვის დაუფრთხო სიმყუდროვე,*
*ვის მივანდო სულის კვირბი,*
*სიმარტოვე, გამეცალე,*
*მზის ცრემლივით გამიფრთხილდი!*

ახლა ლექსს – „ავტოპორტრეტს“ გადავხედოთ:

*ულვთოდ ბავშური და უკარება,*
*ვისთვის ელვა და ვისთვის სამიწე,*
*დროს თავგზას ვუბნევ*
*შეუდარებლად,*
*შემომაგელვა მზემ, ხელს*
*გავიწვდენ,*
*გალაქტიკური ჩანჩქერის ჭერში,*
*ჭუჭრუტანების ამოსავსებად,*
*ვაგნერის ბგერით უხმოდ*
*გალეშილს*
*ვერას დამაკლებს მავანთა ვნება.*

ანდა:

*დუმილი ზოგჯერ შარავანდია*
*შურის,*
*ქუხილის სივრცედ დაგებელტო,*
*რარიგად მწყურის...*
*ცრემლი არ ალტობს ჩემს წამწამთა*
*წარღვნა-ღიობებს*
*თავი წააგე, ხმაურით რომ იმსახიობე.*
*მზეში რძევდები, ჩრდილს თარგმნიან*
*შენი ნაკვთები.*
*ცინიზმი კვლავაც თალხია და*
*სიცარიელის*
*ყინულ-ხერგილთა სიახლოვედ*
*სიახლოვედ მეანდერძები.*

იკა ქადაგიძეს რამდენიმე ლექსში აქვს განქიქებული მედროვე, უნიჭო პოეტები:

*პოეტ-ბელურას რა საერთო აქვს პოეტ არწივთან?*
*ბელურა არწივს ეხმატკბილება*
*ოდეს ერთია დილემა თუ სძულთ*
*ხდომილება,*
*ბინძურ ეპოქას*
*პარნასზე რიხით საჭურისთა*
*ბრბო რომ აწვია!*

ანდა:

*წყალწყალა ლექსებს*
*უნიჭოდ ხრჩოლვენ მედროვე ყბედები,*
*მედროშე ჩრდილშია...*

და ა.შ.

პოეტის ეროვნული სული შეუძრავს და პოეტური შთაგონების წყაროდ გამხდარა ტაო-კლარჯეთი, კერძოდ, შატბერდი:

*მე ვერ მომდრიკეს უფსკერო ქედი,*
*რამეთუ სულში ბორგავს შატბერდი,*
*ქვიშის გასდევს გადასახედი,*
*არც ოდენ სიზმრად გადავსხვაფერდი.*
*ჩემში არ მღერის სხვა ტომის სისხლი,*
*რამეთუ გენით მომდგამს შატბერდი,*
*უცხოთა ქვეყნებს წვავს ჩემში ნისლი,*
*წმინდა ქართულ ჯიშის დავბერდი!*

იკა ქადაგიძის პოეზიაში სიტყვაქმნადობა ცალკე თემაა, გამოირჩევა აგრეთვე მეტაფორების და ორიგინალური შედარებებით: „მზეში რძევდები“, „ჩრდილს თარგმნიან შენი ნაკვთები“, „მზე ულაწუნებს...“ „ეკლის გვირგვინზე მილურსმული შუქი ეპკურა“ და ა.შ.

და ბოლოს: მკითხველი მიხვდება, ეს წერილი არ არის იკა ქადაგიძის პოეზიის ლიტერატურული შეფასება. ის არის მაღალი პოეზიით მიღებული შთაბეჭდილებათა, კრიალოსანი. მისი პოეზია და მთლიანი შემოქმედება, ალბათ, ფართო განსჯის საგანი გახდება პროფესიონალ ლიტერატორთა და კრიტიკოსთა მიერ. ეს დღეს თუ არ გაკეთდება მიზეზთა და მიზეზთა გამო, ხვალ აუცილებლად მოხდება. მწამს იკა ქადაგიძის შემოქმედება კუთვნილ ადგილს დაიკავებს ქართულ კლასიკურ მწერლობაში.

ჩემი წერილი მსურს დავასრულო ისევ პოეტის სტრიქონებით:

*ქვიშით შევბოჭო ჩემი ცრემლი,*
*როგორ მწყურია,*
*მზის სანახებში ცა სხივს ტკეპნის,*
*იქ მიწურია,*
*სხვას მოუსმინო, თუნდაც ზოგჯერ, უცნაურია...*

**ბონდო არველაძე**

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ



მიმდინარე წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მე-80 და მხარეში პირველი სამუზეუმო უჯრედის – საოჯახი მუზეუმის შექმნიდან 140-ე საიუბილეო წელია.

ეს ღირსსახსოვარი მოვლენაა მხარის ისტორიით დაინტერესებული ადამიანებისათვის. მუზეუმმა თავისი არსებობის მანძილზე განსაკუთრებული როლი შეასრულა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის კვლევის საქმეში. აქ თავმოყრილი მრავალი ექსპონანტი, დოკუმენტი, ხელნაწერები და სხვ. უძვირფასესი საისტორიო წყაროა მკვლევარებისათვის, დასაქმებული თანამშრომლები კი საინტერესო კვლევებს ეწევიან და არაერთი ღირებული ნაშრომიც გამოსცეს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მხარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სათავეებთან ვხედავთ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, პატრიოტთა შორის იყო ,,ვინმე მესხის'' ფსევდონიმით ცნობილი ქართველი კათოლიკე მოძღვარი **ივანე გვარამაძე.** მან, როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმულმა პიროვნებამ, მრავალი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მათ შორის, ხელნაწერები, უნიკალური გამოცემები, ფოლკლორული მასალები და სხვ. რომელიც 1937 წელს მისმა შვილმა **კონსტანტინე (კოტე) გვარამაძემ** გადასცა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული უძველესი ხელნაწერი წიგნების პირველი აღწერა და გამოცემა შესაძლებელი გახდა 1987 წელს პროფესორ **ილია აბულაძის, მიხეილ ქავთარიასა** და **ცაცა ჭანკიევის** ძალისხმევით, იგი გამოიცა ,,ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა''-ს სახით.

გარდა აღნიშნული ხელნაწერებისა, ამავე ფონდში დაცულია სხვადასხვა პირთა საარქივო მასალები, რომლთა აღწერილობაც ჩვენ მიერ მომზადდა და გამოიცა 2011 წელს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაზეთი ,,ლიტერატურული მესხეთი'' სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებისთვის (და არა მარტო ჩვენთვის) ერთ-ერთი საინტერესო და საყვარელი გაზეთია, სადაც ხშირად იბეჭდება ჩვენი თანამშრომლების სტატიები და წერილები, რომლებიც საზოგადოების დიდ ნაწილში განსაკუთრებულ ინტერსესს იწვევს. მისი რედაქტორი ავთანდილ ბერიძე კი ყოველთვის მუზეუმის სასურველი სტუმარია. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს მან, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მიზანშეწონილად ჩათვალა, გაზეთის ფურცლებზე ასევე დაიბეჭდოს ფონდებში დაცული ხელნაწერთა ორიგინალური ტექსტები. ეს ფრიად საყურადღებო ფაქტია და ჩვენც მართებულად მიგვაჩნია მკითხველს ორიგინალში მივაწოდოთ მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცული მასალები. ამჟამად გთავაზობთ ივანე გვარამაძის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა სოფელ ხიზაბავრაში ეკლესიის კურთხევისას (აღწერილი ხელნაწერის ნომრით – ე. №1909) 1900 წელს.

**გრიშა (გრიგოლ) ჯვარიძე,**
*მუზეუმის ფონდების მენეჯერი*

**ლევან ლაფაჩი,**
*მუზეუმის ფონდების ასისტენტი*

# სახარება მარკოზისა

◄დასაწყისი გვ. 2

ღირსად სცნო იესო ქრისტე.

იმ დროს, მაცხოვრის უსაყვარლესი მოწაფე პეტრე, განმარტოებით ცეცხლთან იჯდა, როდესაც ჰკითხეს, განა ის იესოს კაცი არ იყო? პეტრემ ცივად იუარა; სამჯერ განმეორდა ასე და უკვე გამთენიის ჟამს, მამალმაც იყივლა.

ზუსტად მაშინ, პეტრეს გაახსენდა საყვარელი მასწავლებლის

– იესოს სიტყვები: მამლის „ყივილამდე სამჯერ უარმყოფო, და ტირილი დაიწყო".

მეფეს წესად ჰქონდა: ყოველ დღესასწაულზე, ხალხის სურვილით ერთი რომელიმე სიკვდილმისჯილის განთავისუფლება.

მღვდელმთავარმა მეფე პილატეს წარუდგინა იესო ქრისტე და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

მეფეს კარგად ესმოდა იესოს უდანაშაულობა და ამიტომ ხალხს ჰკითხა, რომელი დაესაჯათ: ავაზაკი ბარაბა, თუ იესო? პილატეს სჯეროდა, რომ ხალხი მაცხოვრის განთავისუფლებას მოითხოვდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა, რადგან მღვდელმთავრებს მოესწროთ ხალხის მოსყიდვა და მათაც, თითქმის ყველამ ერთად იყვირა იესო ჯვარს ეცვათ.

ვეღარაფერი გააწყო მეფემ, ვერ გაბედა ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა.

როცა ბრბომ გული იჯერა იესოს დაცინვით, „ჯვარზე საცმელად წაიყვანეს იგი. და აიძულეს მინდვრიდან მომავალი ერთი კირენელი კაცი, სახელად სიმონი, ალექსანდრესა და რუფუსის მამა, წამოეღო იესოს ჯვარი".

მიიყვანეს იესო იმ ადგილას, რომელსაც გოლგოთა ჰქვია და თხემის ადგილს ნიშნავს.

მაცხოვარი გოლგოთას მთაზე ჯვარს აცვეს „და მისი ბრალი ამ წარწერით იყო გადმოცემული: „იუდეველთა მეფე".

ურწმუნონი კვლავინდებურად განაგრძობდნენ იესოს დაცინვას და ამბობდნენ, თუ ქრისტეა დაიხსნას თავი, „რათა ვიხილოთ და ვიწამოთ". იესოსთან „ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი", რითაც „აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: ბოროტმოქმედთა შორის შეირაცხა".

მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა საწადელი აისრულეს და ნიშნის მოგებით „ერთმანეთს ეუბნებოდნენ: სხვები იხსნა და თავისი თავის ხსნა კი არ შეუძლია"; ეს კი არადა, მასთან ერთად ჯვარცმული ყოვლადუღირსი, ბოროტმოქმედნიც კი აგინებდნენ იესოს.

ჯვარცმიდან მეცხრე საათზე „ხმამაღლა შეღაღადა იესომ: ელოი, ელოი, ლამმა საბაქთანი? რაც თარგმანით ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?"

ზოგიერთმა იქვე მდგომმა გაიგონა და იფიქრა: ალბათ უხმობს სახსნელად ელიასო და ელოდნენ მოვიდოდა თუ არა ელია მის ჩამოსახსნელად.

იესომ განუტევა სული „და, ზემოდან ქვემომდე, შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა". იმ ამბების შემყურე ერთმა ასისთავმა სთქვა:

– „ჭეშმარიტად, ეს კაცი ძე იყო ღმრთისა".

ეს მოხდა პარასკევს. იესოს ჯვარცმას უყურებდნენ: მარიამ მაგდალელი, იაკობ მცირის და, – მარიამი, იოსეს დედა, და სალომე.

ღვთისნიერმა კაცმა, – იოსებ არიმათიელმა პილატესაგან იესოს სხეული გამოითხოვა.

პილატე დასთანხმდა.

იოსებმა ჯვრიდან ჩამოხსნა მაცხოვარი, ტილოში გაახვია და კლდეში გამოკვეთილ სამარხში დაასვენა.

მარიამ მაგდალელმა, მარიამ იაკობისამ და სალომემ შეიძინეს ნელსაცხებელი, რითაც იესოს სხეულის გასუფთავება ჰქონდათ განზრახული.

სამარხთან მისულებმა დაინახეს გადაგორებული უზარმაზარი ლოდი.

შევიდნენ სამარხში და იხილეს თეთრ სამოსში მჯდომარე ჭაბუკი, რომელმაც შეძრწუნებულებს უთხრა, რომ ვისაც ეძებდნენ,

– აღდგა; ამიტომ წასულიყვნენ და ყოველივე ეთქვათ მოწაფეებისათვის. იმდენად შეშინდნენ იმ სურათის მნახველი ქალები, რომ ვერც კი გაბედეს მაცხოვრის მოწაფეებისათვის რაიმეს მოყოლა და საერთოდ დუმილი არჩიეს.

ცოტა ხანში, იესო ქრისტე მარიამ მაგდალელს ეჩვენა და შვიდი ეშმაკიც განდევნა მისი სხეულიდან. ახლა უკვე, მარიამმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო მაცხოვრის მოწაფეებს, თუმცა მათ მაინც არ ირწმუნეს ყოველივე.

სწორედ ამიტომ, იესო „ეჩვენა თვით თერთმეტს, ინახად მსხდომთ; და დაჰგმო მათი ურწმუნოება და გულქვაობა, რადგან არ ერწმუნენ არავის, ვინც აღმდგარი იხილა იგი" და უბრძანა მათ, მოევლოთ მთელი ქვეყანა და ყველასათვის ექადაგათ სახარება.

– „ასე მათთან საუბრის შემდეგ, ამაღლდა უფალი ზეცად, და დაჯდა ღმრთის მარჯვნივ"; ხოლო იქედან მოყოლებული, მოწაფეები ყველგან ქადაგებდნენ უფლის შეწევნით უფლისავე სიტყვას. ამინ.

ლევან გვეტაძე

# სიტყვა თქმული ხიზაბავრის მაცხოვრის ეკკლესიის კურთხევისას



„უფალო შევიყვარე შვენიერებაჲ სახლისა შენისა და ადგილი საუფლო დიდებისა შენისა". ფს.ვე დიდად საქებ სადიდებელნი არიან მარად, ის რომის კათოლიკეთ პატრები, რომელთაც ოსმალოს საშინელ დევნულებისა სარწმუნოებისათვის, შეუკრებიათ როგორც ახალციხეს და მისი მაზრების სხვა და სხვა სოფელ-დაბები, ისე ს.ხიზაბავრასაცა თვთო ოროლობით სხვა და სხვა სოფელ დაბებითგან კათოლიკენი, როგორც თორითგან, ხულგუმოთგან, ახალქალაქითგან, ბარალეთითგან, აზავრეთითგან, ოროჯოთგან, გოკიითგან, ხერთვისითგან, დადეშითგან, აწყვრითგან, წყრუთიდგან და მისთანა სოფლებითგან და დაუსახლკარებიათ თავანთ შემწეობით, ს.ხიზაბავრის მცხოვრებლებთან ერთად, რომ ერთობილი სიმრავლით შესძლებოდათ როგორმე დაცვა ქრისტიანული წა. სარწმუნოებისა და ისეც ასრულებულა მათი გონივრული დაწყობილება!

დღეს ხიზაბავრის მცხოვრებთ ნახევარზედ მეტს აწყვრელები შეადგენენ, როგორც ვიცით გადმოცემით ჩვენ წინაპართაგან, ესენი ჯერ გარიდებიან ოსმალოს მწარე დევნულებას ხეობის სოფლებში და დვირს. მერმე მისულან ასპინძას და ხვლიშას ერთ ხანს თავშეუფარებიათ, სადაც ხვლიშას ნანგრევი ეკკლესიაც შეუკეთებიათ და და იქ უწირია, ულოცია მათ წინამძღვარ მღვდელსა, რა უფრო გაძლიერებულა ტაცვა გლეჯა და ტყველობა აკლებულა ჩიხორშთან ერთად ხიზაცა, მაშინ ასულან ხიზაბავრას შეხიზვნიან, რა მერმე ხიზაბავრასაც დასცემიან, ჩაკეტილან ერთიან მცხოვრებნი თავანთ დარნებში ორ თვე უცდიან, რა ვერ გაუტეხიან სიმაგრე, ამდგარან და წასულან მტერნი ხელცარიელნი.

ხიზაბავრის ს. უფრო გასაძლიერებლად ხუციანთ მამა სიმონ მღვდელ გოდებაძეს სოფლის დახმარებით, შეუკრებია სხვა და სხვა სამესხეთოს სოფლებითგან შეწუხებული მართლმადიდებელნი მეზობლად, დაუთმია მათი მღვდელ ერისთვის ძველი ქვითკირის ეკკლესია და თვთონ კათოლიკებისთვის სხვა მოზდილი ეკკლესია აუშენებია, მრავალი სიკეთე უქმნია ქრისტიანობისათვის. შემდგომ მისულა თბილისიდგან მამა დონ ფრანჩისკე და უმწყსია ხიზაბავრასთან ერთად ს.აზავრეთსა და ხერთვისის კათოლიკენი, მეტად თავგანწირული სარწმუნოებისთვის.

ასეთივე ღვთისმსახურებრივად უმწყსიათ მის დროს ახალციხელ მღვდლებსა ამრიგად. მრავალი შეწუხება და ტანჯვა სიგლახე მოუთმენიათ ოსმალოების მძლავრობისგან, მრავალი შეძლებული კათოლიკობა გარდახვეწილან მოზდოქს, აშტარხანს, ვლადიკავკავს და სხვაგანაც. ამ ხიზაბავრითგან, 1807 წ. კურთხვილა მღვდლად მამა ანტონ ხუციანთი (გოდებაძე) ხიზაბავრელი, მაგრამ ახალციხეს ყოფილა გაწესებული და მის მახლობელ სოფლებში ერთ ხანს უდეს, ვალეს და არალსაცა. ხიზაბავრას სხვა და სხვა მღვდლები ყოფილან განწესებულნი. მათში შესანიშნი ღვთის სიტყვს მოქადაგე ყოფილა მამა სტეფანე მღვდელი მღებრიშვილი. შემდგომ რომ განწესებულა ანტონ მღვდელი ხუციანთი, უკანასკნელი განმვნების დრო ყოფილა ოსმალებისა. ხერთვისს ისეთვ ღვთის რისხვა ბატონი დაუსვიათ ვიღაც ლაზი ბაშალა, რომ უსამართლობით აუოხრებია ერთვან ხერთვისის მაზრა, აუყვანია ქრისტიანებისაგან ძევლები და ტყვედ უყიდია მრავალი ქვრივ-ოხრები და ობლები.

დიდი წინაღმდეგობა გაუწევია ბაშალისთვის მამა ანტონ მღვდელსა, ხმალამოღებული გმირისავით წინ დასდგომია ყოველ წინაღმდეგს შემთხვევაში, არც მძევალი მიუცია და არცა რა ქვრივ ობოლნი გაუყიდვინებია ტყვედ ხიზაბავრითგან. რის გამოც ქვეითად უვლია ახალციხეს მომჩივნედ ფაშებთან და მიუტანია თავისუფლების ქაღალდი ხშირად, მაგრამ არ გატეხილა ბაშალა, არ შინებია ფაშებისა, მით ბევრჯერ უდევნებია აჭარლები გზაში მოსაკლავად, მაგრამ ვერ მოუგდიათ ხელში მამა ანტონ მღვდელი, ამას გაუმხნევებია ს.ხიზაბავრელები, მიუჩენია გასავალ გზებში ქართლითგან ტყვეების მტაცავ ლეკებისთვის და მრავალნაირი ხერხ ღონით ხელითგან უგლეჯიან მრავალი ტყვეები და გაუთავისუფლებიათ. ვიდრე ერთხელ ახალჯვარდაწერილი მეფე-დედოფალი და მასთან ჭალელი მღვდელიც წაურთმევიათ ხელითგან ლეკებისაგან. მამა ჰყოლია ძლიერი კაცი, გოგალათ გოგია, რომ მისი შიშით თურმე ვერც ოსმალონი და ვერც ლეკები მიადგემდნენ ფეხს ს.ხიზაბავარაში. ასე ამრიგად დაუცვია კათოლიკენი და მართლმადიდებელნიც.

ქართულ მწერლობაშიც განთქმული იყო მამა ანტონ მღ. ხუციანთი მთელ თავის დროინდელ სასულიერობაში, დაუწერა მხედრულად მთელი დაბადება, 60 თ.მაკემველი, 40. ღვთისმშობლის სასწაულის წიგნები 120. სასწაულისა, ასობით ლოცვის წიგნები, ეკკლესიის ცხოვრება და ქადაგების წიგნები და ეფემერდნიცა. სხვათა შორის მაჰმადიანნიც მოიქცა კათოლიკედ რომ 100 სულზედ მეტნი არიან. იცოდა საკმაოდ მხატვრობაც, ამის ახლო ნათესავი იყო მამა იოსებ მღვდელი ხუციანთი, რომელმანც ქართული წიგნების საბეჭდი მოიგონა და ძველ ნანგრევ კოშკის ადგილას ააშენა ეს ეკკლესია 1844 რიცხვში და უვლიდა ერთ რიგიანად: საუკუნოდ იყოს კეთილი სახსენებელნი ამათნი და ყოველ ამ სოფლის მწყემსველ მღვდელთა გაანათლოს უფალმან ღმერთმან ზეცას სასუფეველში.

ამათთან ერთად დღეს საქებ სადიდებელია ამ ნაეკკლესიის ზედამხედველი მამა მიხეილ მღ. ვარძელაშვილი, რომელმანც ესრე შვენიერი ეკკლესია აღაშენა ქვითკირისა თავს გამჭრიახის მეცადინობითა არ დაერიდა არავითარ მგზავრობას, შრომას, ქველმოქმედ მორწმუნეთაგან წვლილნი და განაშვენა ყოველნაირად შიგნით თუ გარეთ შესაფერის მოწყობილობითა, სამღვდელო შესამოსებით, ბარძიმ ფეშხუმითა და ხატ ჯვრებითა. შეუწიროს უფალმან ყოველი ღვაწლი, აგრეთვე ყოველთ მის ხელისმომწყობელთა, შემწირველთა, შემწეთა თუ მოსაქმე მუშაკთა, მასთან ერთადერთის წილ ათასეული მიაგოსთ თუ სააქაოს ამ ცხოვრებაში და თუ მერმისს საუკუნო ცხოვრებაში.

კარგად იცით თქვენც მამაო და ძმანო, თუ რამდენი მომსახურენი არიან სოფელ ქალაქში თავიანთ ეკკლესიების აშენებისა და გაახლებისათვის მოწადინებულნი, აუცილებელი საჭიროებაც სთხოვსთ, ზოგიერთთ საკმაო შეძლებაც აქვთ, მაგრამ ვერავითარი ღონისძიებით ვერ მოუგვრიათ. ასეთს მწირ დაგლახავებულ დაჩაგრულს სოფელში ამ ნაირი დიდის შენობისა ასრე ხელად მოხერხებულად თავსგატანა და სისრულეში მოყვანა. სწორედ ღვთიურ სასწაულად უნდა ჩაითვალოს: – „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი. ცუდად შვრებიან მამცნენებელნი მისნიო". ფს.მ. მით ღვთიური კურთხევა ცხებულებით განწმენდილი ესე ეკკლესია ქრისტეს სძლად წარმოდგენილი მხიარულად გვიღაღადებს ჩვენ. „იხარებს სული ჩემი ღვთისა მიმართ, რამეთუ შემმოსა მე სამოსელი მაცხოვარებისაჲ და კვართი მზიარულებისაჲ ვითარცა სიძესა გარემომდცა მიტრაჲ და ვითარცა სძალი შემამკო სამკაულითა". ესაი. ჲ.10.

მაშ მეც დიდის მხიარულებით თანამგრძნობი გილოცამთ ამ მაცხოვრის წა. ეკკლესიის კურთხვა განწმედასა ს. ხიზაბავრის ღირსს მღვდელსა და ერსა. უფალმან კეთილად მოგახმაროსთ და დაგამშვენებინოსთ ყოველი ქრისტიანული სულიერის წარმატებითა თავის ყოვლად წმინდა სახელის საქებ სადიდებლად, რომ იყოთ ნამდვილი ღვთისმსახურნი. ღვთის მოშიშნი და ღვთისმოყვარულნი, წინდახედულნი, შორს მხედველნი, წყნარნი და მდაბალნი გულითა. გაკურთხოსთ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ თავის წა.მარჯვენითა, დღეკეთილგყოსთ, განგაძლიეროსო და განგამხნეოსთ სულიერად თუ ხორციელად

➔

ყოველს თქვენს საქმე ყოფაში განგარიდოსთ თქვენი მხურვალე გავლენიანი განწმენდილის ლოცვითა ყოველი ეშმაკის განსაცდელნი. დაგიმდაბლოსთ მტერნი, მოგცესთ ერთობა ყოველს კეთილ საქმეში, მშვიდობა და ძვირფასი უინტერესო კაცთმოყვარეობა ერთიმეორის გამტანი, იქამდის ვიდრე ხშირად თქვენს მტერთაც იმოყვრემდეთ თქვენის სამაგალითო ქრისტიანულის შურისუძიებლობითა.

გაქვთ უკვე ადრითვე სასწავლებელი დაფუძნებული, შეაყვარეთ სულით გულით თქვენს შვილებსა სამღთო და საერო სწავლა განათლება, ის არის უკვდავი საძირკველი და შესავალი კარი თქვენის ეკკლესიისა, ცხოველი სულიერი ღვთის ტამარნი თქვენი სულგულნი უნდა იყვნენ, როგორც ასწერია: – რამეთუ თქვენ ტამარნი ღვთისა ცხოველისანი ხართ, ვითარცა თქვა ღმერთმან: დავმკვდრო და ვიქცეოდე მათ შორის და ვიყო მე მათდა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერად. კარ.ვ.17. ეს იქმნება ქრისტიანული წა. ცხოვრებითა, უმისოდ ქვთკირითშენებულ ეკკლესიას არავითარი გავლენა არ ექმნება უცთ უმეცართ ქრიასტიანთ სულის ცხონებაზედა, არავითარ ნაყოფს და სარგებლობას არ მოგიტანსთ. ცალიერ ნაოხარი იქმნება. ტყე ღრეში მდგარ ძველ ნანგრევ ნაქცევ ეკკლესიებსავით ოხერტიალი. ახალს შვენიერს ეკკლესიას წა. ქრისტიანული ცხოვრებაც სჭირია. გაახლებულ განცხოველებული, მოცლილ დღეებში, დილა საღამ ლოცვა წირვას არ უნდა ვაკლდებოდეთ.

თქვენს გასაჭირს ყოველ წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მომაკვდავ ნაკლულოვან ცოდვილ კაცთა მისმართეთ ხოლმე ამ წმ. ტაძარს ღვთის სადგურს სახლსა, როგორც ყოველ წლიურს ახსარება ზიარებისათვის აუცილებლად მართალის წა. სულგულით მონანულნი ისეც ყოველ თქვენ სულიერს და ხორციელს გასაჭირში მიისწრაფვო მხურვალედ ღმერთთანა და სთხოვეთ განწმენდილი ლოცვა ვედრებითა ყოველი თქვენი მოთხოვნილების საჭიროება ცხოველის სარწმუნოებითა, რომელსაც უეჭველად გაგივლენსთ და აღგისრულებსთ რაც რამ სასიკეთო იყოს თქვენთჳს. მაცხოვრის დაპირებისამებრ როგორც გვიანდერძა: „ამინ, ამინ გეტყჳ თქვენ, რამეთუ რაოდენიცა სთხოვოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგეცეს თქვენ“. იოან. 23. სულის ცხონებისთვის მიმართული ყოველი სათხოვარი ღვთის მადლით უეჭველად აგვისრულდება. ხორციელიც მხოლოდ იმ ნაირი სათხოვარნი მიგვენიჭება ჩვენ ღვთისაგან, რაც კი რამ სასიკეთო იყოს თუ ჩვენის ცხოვრებათ თუ ჩვენთ მოყვასთ სასარგებლო.

მაშასადამე: „ითხოვდეთ და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და სპოვოთ, იღებდეთ და განგეღოსთ თქვენ. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მიიღოს და რომელი ეძიებდეს სპოვოს და რომელი ირეკდეს განეღოს“. მათ. 8.7. ეს სულ ქრისტეს ნათქვამი სიტყვები არიან. თქვენ თავს სიავე რომ არავის არ ენდომება, ღმერთს რომ უფრო არა, თქვენის თხოვნის უმალ წინადვე იცის მან ყოველი სულიერ



და ხორციელი საჭიროების საქმე თქვენია დღევანდელ ბრწ ყინვალე ენკენიობის დღესასწაულის მადლისათვის ვთხოვოთ უფალსა მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რათა განსვენება საუკუნო მიანიჭოს ყოველს თქვენს კეთილად მიცვალებულთა ძველათ თუ ახალთა, რომ ჩვენის სულის მეოხენი იყვნენ წინაშე ყოვლად წმინდა სამებისა, ახვენას ჩვენგან ყოველი სულიერი და ხორციელი რისხვა ბოროტება, ყოველ მართალთა სულთა მისცეს სიმტკიცე ძლიერება ღვთისმსახურებაში და ცოდვილთა მართალი სინანული იმ ქცევა, რომ ქრისტიანულ კეთილ ცხოვრების გზაკვალ დაადგნენ, მგზავრთა და მხედართა მისცეს გამარჯვება. განაქარვოს ყოველი მავნე სნეულებანი. ნუგეში სცეს ყოველ გაჭირვებულთა, გაჰკურნოს ყოველი სნეულნი, აღადგინოს დაცემულნი, უძლურნი გააძლიეროს. გლახაკთა, ქვრივთა, ოხერთა, უპატრონოთა ნურაოდეს მოაკლოს შემწეობა და უხვმოწყალება, დაამშვიდოს ქვეყანა, განაპოხიეროს მიწა-წყალი ასაღორძინებლად და სარჩო ჭინახულისა. აკურთხოს ყოველი თქვენი ნამუშევარი, სახმარი ძალ ღონე, ძლიერება მისცეს თქვენს მუშა ხელთა, ხვნა თესვასა, ფარცხვა კვალვასა და მკვალევნასა ხელი მოგიწყოსთ უფალმან ყოველ თქვენი ხილნარის რგვა მოყვანასა, ვენახის გაშენებასა, მოგცეს მოთმინება ვაზების გამრავლებისათვის და განაყოფიერებისა წიდნასა, გვალვასა გაკმაზვასა, გარგვლასა, ასარვასა და წნეხასა, არაოდეს მოგაკლოს უფალმა დიდად ღირს სახსოვარი თქვენი მამა პაპეული სასეფისკვერე საზედაშე ადგილობრივი ღვინო, პური და ნაირ ნაირი საზრდელ სარჩო საბადებელი, დაიმშვენოთ ყოველივე კეთილად ამას ცხოვრებასა და შემდგომ ღირს იქმნათ ზეცას სასუფეველისა.

ამინ.

*ოდესმე თქვენ მღვდლად ყოფილი უღირსი მონა მესხი* ***ივ.გვარამაძე,***
*23 თებ. 1900 წელსა. ქ.ახალციხეს*

# მუზეუმში დაცული უნიკალური მინიატურული წიგნები

სამცხე-ჯავახეთში პირველი მუზეუმის დაფუძნება ივანე გვარამაძის – ცნობილი მესხი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის სახელს უკავშირდება. იგი ხშირად მოგზაურობდა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, აჭარასა და თურქეთში, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ. ასეთი მოგზაურობის დროს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად იგი აგროვებდა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ნუმიზმატიკურ, ისტორიულ მასალებს, ხელნაწერ წიგნებს, ძველ სამკაულებს, საბეჭავებსა და სხვადასხვა ნივთებს. სწორედ მოძიებული მასალებით XIX საუკუნის 80-იან წლებში მოაწყო საოჯახო მუზეუმი (მოგვიანებით კი მის ბაზაზე აღმოცენდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი).

მისი ვაჟის – კონსტანტინეს გადმოცემით, ივანეს სხვადასხვა იშვიათი ნივთები თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონია მოთავსებული. იგი წერდა: **„მისი კაბინეტი სწორედ ერთგვარ იმ დროის საუცხოვო მუზეუმს შეადგენდა, რომლის სანახავად და გასაცნობად ბევრი მეცნიერი, ისტორიკოსი და უცხოეთის ტურისტებიც კი ესტუმრებოდნენ ხოლმე“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N4054, კონსტანტინე გვარამაძის წერილი.)* სტუმართა შორის დასახელებული ჰყავს მოსკოვის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარე – გენერალი *კომაროვი*, რომელიც 1882 წელს ეწვია ივანე გვარამაძეს სოფელ ხიზაბავრაში. იქ რამდენიმე დღის დარჩა და გაეცნო



მის ნუმიზმატიკურ მასალას. უფრო ადრე მისი სტუმარი ყოფილა ქალბატონი ***უვაროვისა***. ხოლო 1910 წელს ლონდონის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრი, მსოფლიო მოგზაური – ***პრაისი.*** იგი ხუთ დღეს დარჩენილა ახალციხეში. ივანე გვარამაძისაგან თავის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის წიგნ-რვეულში ჩაუწერია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული და არქეოლოგიური ცნობები. პრაისი განსაკუთრებით განუცვიფრებია ვერცხლით მოჭედილ ყდაში ჩასმულ ბატის ფრთის კალმით ნაწერ პატარა, მინიატურულ წიგნს, რომლის შესახებ აღუნიშნავს, რომ თავისი ზომითა და მშვენიერი ხელოვნებით მთელ მსოფლიოში მეორე კატეგორიათ ჩაითვლებაო (*პირველი ინახება ლონდონის ბიბლიოთეკაში*). ამასთანავე, გამოუთქვამს მისი შესყიდვის სურვილი 100 000 ფრანკის საფასურად. ივანე გვარამაძემ უცხოელის სურვილი ვერ შეასრულა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოხსენებული წიგნი თვითონ ივანე გვარამაძის მიერ XIX საუკუნის ბოლოს იყო გადაწერილი და შედგენილი, რელიგიური ციკლების მოხატული ლოცვების წიგნი – **„ლოცვები და გალობანი“**, ე.წ. „ვარშავის“ ვერცხლის ყდაში ჩასმული (ფურცლის ზომა 6,5X5 სმ-ია). ყდის პირველ გვერდზე გამოსახულია თაიგული, შუაში – ღვთისმშობლი იესო ქრისტეთი ხელში. უკანა ყდაზე იგივე სახის გვირგვინია. შუაში ფეხზე მდგომ იესოს ხელში უპყრია და გულთან აქვს მიტანილი ბერძნული ასო X (*რაც ნიშნავს ქრისტეს*). (*გ. ჯვარიძე, ივანე გვარამაძის პირადი არქივის აღწერილობა, გვ. 32, 2011*). ივანე გვარამაძე წიგნს მუდმივად უბის ჯიბით ატარებდა (*მის მიერ შედგენილი მსოფლიო მნიშვნელობის წიგნი სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ერთ-ერთი უნიკალური ექსპონატია (N3159)*, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ფონდში იყო დაცული. ამჟამად კი საგამოფენო დარბაზშია განთავსებული და ქართველ საზოგადოებას მისი ხილვის საშუალება აქვს.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში დაცული ოცდახუთი ათასი ექსპონატიდან ასევე გვინდა განსაკუთრებული ყურადღება შევაჩეროთ **იოსებ ხუციშვილის** სტამბაში დაბეჭდილ უნიკალურ წიგნებზე. სამცხე-ჯავახეთში პირველი სტამბის დაფუძნება სწორედ მას, ხიზაბავრელ კათოლიკე მღვდელს – იოსებ ხუციშვილს უკავშირდება.

ივანე გვარამაძეს იოსებ ხუციშვილის მრავალხრივ მოღვაწეობაში უპირველეს დამსახურებად სტამბის დაფუძნება მიაჩნდა: ***„იქამდის მახვილ აზროვანი იყო, რომ პირველში თავისთავად გამოიგონა ქართული ასოების კალაპოტი და ერთხანად ჰბეჭდა ლოცვის წიგნები, ვიდრე დაეშლებოდა მთავრობისაგან“*** *(სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემდეგში ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.) N 3776).*

ივანე გვარამაძის ცნობით ***„იოსებ ხუციშვილმა თავის სტამბაში „დაბეჭდა რამდენიმე რიგი ლოცვის წიგნები და მოთხრობები, საკმაოდ მოხერხებული იყო და მეტად გარჩეული ნაწერი. ყველა კაცი სიხარულით კითხულობდა.“*** (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N 2447).

მოგვიანებით იგივეს აღნიშნავდა კონსტანტინე გვარამაძეც: ***„ის იყო ქართველების ჰუტენბერგი. ამ 40-50 წლის წინეთ ხეზე ამოსჭრა ქართული ანბანი და თავის ნაწერებს და ლოცვებს უწყო ბეჭდვა. მეტად შესანიშნავი ნაბეჭდია. რა გინდა თვალნაკლული და ბეცი ადამიანი იყოს, ამ ნაბეჭდს უსათვალოდაც წაიკითხავს. ტამბა სახლში ჰქონდა და მსხვილადაა ნაბეჭდი“*** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N 1896).*

იოსებმა ასოები ხისგან გამოთალა, მელანი კი ღორის ქონისა და ჭვარტლისაგან დაამზადა. თვითონვე აფორმებდა წიგნის ფურცლებსაც ე.წ. არშიებითა და სხვადასხვა ხასიათის სურათებით. ამიტომ, მის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს ხელნაწერის სახე ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან ორმა სწორედ ივანე გვარამაძის დამსახურებით მოაღწია ჩვენამდე და ამჟამად დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ერთ-ერთი მათგანი **„პარტეზი სულიერი, რომელსაცა შინა შეიკრიბებიან მრავალნი მხურვალე ლოცვანი დაბეჭდილი წელსა უფლისასა 1836, მაისის 7. პირმშო“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.) N 918* – ი. ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნია. ამასთანავე, ამავე წიგნის ბოლო გვერდზე ლექსადაა წარმოდგენილი ავტორის სიტყვა:

*„ჩემს ძალზედ მეტი საქმე, დიაკვნობაში ავსახე,*
*სადნობელი მადნისაგან წერვის ასონი ჩავსახე,*
*საბეჭდავი არ მენახა, ორი საქმე გამოვნახე,*
*კურსი ვჰკარი ჩამოვასხი, ქაღალდზედა ასო ვსახე,*
*წამკითხველსა გიადვილებს, ამ წიგნის თარილი ნახე,*
*ჩინი ასო ხელთ დაიპყარ, ყარი მის ახლოს მონახე,*
*ოცდაათი ლასით შეჰკარ, ექვსიც მასთან გამონახე,*
*სრული თარიღი მუნ გამცნოს, მეხუთე თვის შვიდი ნახე,*
*აღვასრულე ქრისტეს ძალით, ზემ ხსენებულ თარიღისა,*
*სასჯელი ბევრი გავწიე, გვირგვინად მივეცი ერსა,*
*სახელი დავსდევ პარტეზი, ქართულად ბალი თარგმნისა,*
*მომიხსენეთ მეც ამანო, რომ ვქმენ ლოცვა წინ მხედისა“.*

მოხსენიებული ლექსიდან გამომდინარე, ილია მაისურაძე სამართლიანად შენიშნავდა: **„ნათლად ჩანს, რომ ჩვენ მართლაც საქმე გვაქვს მოხალისე, თვითნასწავლ ხელოსანთან, ისეთ მესტამბესთან, რომელსაც სტამბა არასოდეს ენახა და მაინც წიგნის ბეჭდვა მიზნად ჰქონდა დასახული“** *(ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. N 3065).*

იოსებ ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი ერთ-ერთი წიგნის სათაური „მოთხრობანი სულთა განსაწმენდელისა: დაბეჭდილი წელსა უფლისასა 1838 მარტს ხელითა ხუციანთ



იოსებისა ხიზაბავრაში“ გვაფიქრებინებს, რომ ი. ხუციშვილმა სტამბა თავდაპირველად დააფუძნა სოფელ ხიზაბავრაში და იქვე ფუნქციონირებდა 1836-1838 წლებში, შემდეგ კი გადაიტანა ახალციხეში.

იოსებ ხუციშვილი სტამბაში ბეჭდავდა საერო და სასულიერო ხასიათის წიგნებს, გაზეთ „ივერიის“ ცნობით, მას საკუთარი ლექსების კრებულიც დაუბეჭდავს.

ქალაქ ახალციხეში ი.ხუციშვილის სასტამბო მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1846 წელს მას მთავრობამ ოფიციალურად აუკრძალა წიგნების ბეჭდვა და განადგურებულ იქნა საბეჭდი დაზგა. ამრიგად, იოსებ ხუციშვილის სტამბა ფუნქციონირებდა 1836-1846 წლებში. არსებობის ათი წლის მანძილზე რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხასიათის წიგნი იქნა დაბეჭდილი. რომელთა უმთავრესი დანიშნულება სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობაში განათლებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-შენარჩუნება და კულტურული დაწინაურება იყო. სწორედ ამიტომ, წიგნები იმთავითვე ადგილობრივ მოსახლეობაში გაიბნა, ამჟამინდელი მდგომარეობით ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე წიგნმა მოაღწია. გარდა აღნიშნულისა, მათ სახელმძღვანელოს დანიშნულებაც ჰქონდათ, რამდენადაც იოსების სახლში ე.წ. „სავაჟებო“ და „საქალებო“ სკოლა ჰქონდა, სადაც თავის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს იყენებდა. იოსების გარდაცვალებამდე ქართველი საზოგადოებისთვის უცნობი იყო მისი სასტამბო საქმიანობა. მოგვიანებით – 1890 წელს გაზეთი „ივერია“ საზოგადოებას ამცნობდა: **„ვინ მოიფიქრებდა, რომ საქართველოს მიყრუებულ ადგილებში თურმე გუტენბერგები ჩნდებიან. წელს თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ახალციხეში გარდაიცვალა ერთი ასეთი გუტენბერგი“.** *(გაზ. „ივერია“, 1890, N61, გვ.2).* აღსანიშნავია ისიც, რომ იოსებ ხუციშვილის სტამბა ამ დროს ერთადერთი ქართული სტამბა იყო.

ამჯერად ყურადღება შევაჩერეთ მუზეუმში დაცულ მხოლოდ ორ უნიკალურ ექსპონატზე, რომლებიც შემონახულნი ჩვენი ლოცვული თანამემამულენი არიან და, ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოება უნდა ფლობდეს ამ საინტერესო ინფორმაციას.

**ნატო ყრუაშვილი**

# მატიანე



სურათზე: ***იოსებ გრიშაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია. გასული საუკუნის 50-იანი წლები. სურათი მოგვაწოდა ი.გრიშაშვილის დისშვილმა ნოდარ გრიგოლაშვილმა***

# ბედისწერა

(ზღაპარი)

იყო ერთი უშვილო მდიდარი კაცი. სულ იმას ეხვეწებოდა ღმერთს, რომ, ოღონდ შვილი მომეცი და მთელი ცხოვრება შენთვის ვილოცებო.

შეისმინა ღმერთმა კაცის ვედრება და ვაჟი შესძინა, თან გააფრთხილა – ოცი წლისა რომ შესრულდება, მგელი შეგიჭამსო.

სიხარულით ცას ეწია მდიდარი კაცი, ღმერთს მადლობა შესწირა და თან გაიფიქრა, როგორ შევაჭმევ მგელს შვილს, ისე გავუფრთხილდები, ბუზიც კი ვერ მიეკარებაო!

გავიდა დრო. იმ კაცმა დიდი ციხე-კოშკი ააგო და ერთ ძლიერ დაცულ ოთახში მიუჩინა ბინა, ამასთან, დააქორწინა კიდეც და პატარძალიც იმასთან ერთად გამოკეტა ისე, რომ ვერავინ გაიჭაჭანებდა იმ ტერიტორიაზე.

მაგრამ, დახეთ ბედისწერას: ქორწილის მეორე დღეს შვილისა და პატარძლის სანახავად მისულს, მხოლოდ პატარძალი დახვდა ოთახში.

შვილი მოიკითხა კაცმა.

– ღამე მგლად გადავიქეცი და შენი შვილი მე შევჭამეო, – უთხრა პატარძალმა.

გადაირია კაცი, მაგრამ რაღას იზამდა, ყველაფერი ხომ ღმერთის ნება იყო – ღმერთისგან შუბლზე დაწერილ ბედისწერას ვერავინ გაექცევაო.

*მთქმელი შუშანა დავლაშერიძე,*
***82 წლის, დაბა ასპინძა,***
***ჩაიწერა რობერტ ბერიძემ 2017 წელს***

**განცხადება**

ძვირფასო მეგობრებო, გაზეთის „ლიტერატურული მესხეთი“ რედაქცია გამოსაცემად ამზადებს კრებულს – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“. ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი ლექსები, მესხურ თემატიკაზე, შეტანილი იქნას ამ კრებულში, მოგვაწოდეთ ელექტრონული ფორმით (რაოდენობა შეუზღუდავია) შემდეგ მისამართზე: lit _ meskheti@yahoo.com

***

ქალი აგებს ლოგინსა,
მეც დამიწყებს ლოდინსა,
კარებზეც იცქირება,
როდის მოვა, როდისა?

### საყვარელო

საყვარელო, რისაგან,
გაჩენილხარ ღვთისაგან,
ბევრი ვაჟი გაფუჭდა
მაგ შენი ეშხისაგან.

***

საყვარელო, ნუ სტირი,
შორს მივდივარ, ნუ სტირი,
ღმერთსაც საღმრთო შევწიროთ,
ერთ დღეს მოვალ, ნუ სტირი.

***ჩაწერილია გასპარ ანტონოვისაგან, 60 წლის, ს.ბარალეთი, 1936 წლის 4 ივნისი***

### ვაჟ-კაცის სიკვდილი

ბრალია ვაჟკაცის სიკვდილი,
უდროვოთ მოიშალოსა,
იმისი კოკობ ულვაში
მიწის ქვეშ დაიშალოსა.

***

ნეტა ვიცოდე, ვისია ის ქალი,
ასრე დააგებს ლოგინსა,
კარებსაც ღიას გაუშვებს,
ბიჭებს დაუწყებს ლოდინსა.

***

გამჩენის მადლმა ბეჭედი
ნებით არ მიმიცემნია,
ნეკიდან ძალით მამტაცა,
ნებით არ მიმიცემნია.

***

ადუღდა ბებრისა სისხლი,
როცა რო ხმალ სათრევლად გასჭირდა,
წადით, უთხარით დიაკვანს
ბერი კაცის დაკრილს რა სჭირდა?

### სიყვარული

სიყვარული რა ძნელია
ახლოს, მეზობლის ქალისა,
დილა-საღამოს კარზე დგას,
როგორც ამღები ვალისა.

***ჩაწერილია 82 წლის როსტომ წინწკალაძისაგან, 1936 წლის 7 მარტს,***

***

თოფი მქონდა გუმუშლი,
გოგოვ, კოცნას ნუ მიშლი,
თოფი მქონდა შაშხანა,
გოგომ გულში ჩამახალა.

***ჩაწერილია სოფელ ბარალეთში 1936 წლის 20 ივნისს, 70 წლის ვართან მამულოვისაგან, საქართველოს ეროვნული არქივი (1275 ა). ჩაიწერა გიორგი გოგოლაძემ***

### ზურაბი

გათენდა და გაანათა,
მზემ სამწუთრო მთა და ბარი,
ზურაბ შეჯდა საიმედსა,
ტანთ ჩაიცვა საომარი,
აჰა, ლომო, კარქა მოდი,
ვინ მოჰკალი ზანდაროზი*.

მისივე

* ზანდაროზი – მესაზე

### როსტომიანი

მამა და შვილი შეიბნენ,
ნეტა ვინ გააშველამდეს?
ცალი ხელი შარვალ სტაცა,
ცალი კისერ გაუხვია.
ასწია და დაარხია,
ტვინი ძირსა დაურხია
ხორასანი ხანჯალი
მუცელში გამიყრია.

*მისივე*

**განცხადება**

შეგახსენებთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საბანკო რეკვიზიტებს:
GE72LBO113115795007000;
ს/კ223100908.
ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი.

## პეტრეს სარდაფი

# „მას ტანსა ქაბა ემოსა...“

1963 წელს, 15 წლის ასაკში რომ გავხდი პირველად ბორჯომის რაიონის ჩემპიონი ჭადრაკში, 2007 წლამდე უცვლელად ვფლობდი ამ საპატიო ტიტულს. გივი ელიოსიძის, კოკა ნოზაძისა და უშანგი ჯანგირაშვილისაგან დრო და დრო იყო სიტუაციის შეცვლის უსუსური მცდელობები, მაგრამ ამაოდ. ასე იყო 44 წელი, თითქმის ნახევარი საუკუნე! არ მეკუთვნის ახლა მე გინესის რეკორდების წიგნში შეტანა? უდავოდ! მაგრამ, პატრონი არ მყავს... ყველაფერს ხომ აქვს დასასრული და ჩემი „ჰეგემონია“ დაამხო თბილისიდან წაღვერში გადმოცხოვრებულმა მეფუტკრე-ინჟინერმა, ერთ დროს საქართველოს ჩემპიონმა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის, ოსტატმა თამაზ ჩიკვაიძემ და ადგილები, ბუნებრივად, ასე გადანაწილდა: I ადგილზე გავიდა თამაზ ჩიკვაიძე; II ადგილზე – მე; III საპატიო ადგილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაინაწილა კოკა ნოზაძემ და უშანგი ჯანგირაშვილმა, მაგრამ არაგვისპირელს (ჯანგირაშვილის ფსევდონიმია), ასეთი დე-ფაქტო არ აწყობდა და ილიაში ჭადრაკის დაფაამოჩრილი ჩასაფრებული დასდევდა ჩიკვაიძეს „ანგარიშის გასასწორებლად“. და იქამდე სდია, ვიდრე მათ შორის ანგარიშმა 103;7-ს არ მიაღწია ოსტატის სასარგებლოდ (მე „საჭადრაკო პენსიაში“ გასვლა უშანგისთან 863;845-ით დავასრულე. აქვე გეტყვით, რომ ჩიკვაიძე, ჯანგირაშვილისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი პარტიითაა წინ 1:0. მეტიც არ გვითამაშია).

მახსენდება მოკლემეტრაჟიანი ქართული ტელე-ფილმი „სერენადა“. ის სქელი, ძლიერი, ადვილად რომ უსწორდება ფიზიკურად სუსტ, გამხდარ ახალგაზრდას (მსახიობი გიორგობიანი), მაგრამ სუსტი რომ არ ეშვება. ასე მოხდა ამჯერედაც. მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ რაიონის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს სწორედ ჩიკვაიძე და ჯანგირაშვილი შეხვდნენ. უკეთეს პოზიციაში (ლაზიერი და ფიგურა ორ ეტლში) თამაზმა შემთხვევით დაუშვა შეცდომა და გაიმარჯვა ჯანგირაშვილმა. სიხარული გამიგია, მაგრამ ამგვარი?! – სასწრაფოდ იკისრა ოთხკაციანი სუფრა (46 ლარი დაუჯდა).

პირველი სადღეგრძელო ჩიკვაიძისა შესვა. დაუფასდა კიდეც – პირველი პრიზი (100 ლარი) თვით მუნიციპალიტეტის განყოფილების გამგის ქ-ნ მარინა ხუჯაძისაგან მიიღო. მე ჩემი ნახევარსაუკუნოვანი ჩემპიონობის დროს არასოდეს მრგებია ამგვარი პატივი...

მეორე დღეს, დილის 8-ის ნახევარზე, ვიღაცის ტელეფონმა გამომაღვიძა და გაოცებულმა მკითხა – „მართალია“?.. ამის შემდეგ ზარი არ წყდებოდა... ბედნიერ უშანგის ბორჯომის მთელი მოსახლეობისთვის უცნობებია ეს „საოცარი“ ამბავი.

მე, ჩემის მხრივ, მის მეუღლეს ქ-ნ მარინას მივულოცე, რაზეც ქოქოლა დამაყარა და რა ქოქოლა: „ჭადრაკის სწავლის ნაცვლად ფულის კეთება გესწავლებინათ მისთვის, თქვე დალოცვილოო“!

ისღა დამრჩენია ჩემს ძმას და მეგობარს ახლა კიდევ ერთხელ მივულოცო ეს ლეგენდარული წარმატება.

ომარ ჩხეიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ "ლიტერატურული მესხეთის" შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო "თავისუფლების" გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – "საქპრესის" ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com